გაზეთი „ქართული სიტყვა“ ინტერნეტში www.qartulisityva.ge

გამოდის ოთხშაბათობით

№2 (317)

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გალაკტიონ ტაბიძე

# ქართული სიტყვა

ფასი 1 ლარი

20 – 26 იანვარი 2016 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## „ვაჟაობაზე“, ვაჟას სახლ-მუზეუმიდან, მწერლები გამოყარეს?!

მე-16 გვ.

## „2016 წელს მთავრობისა და ლიდერების შეცვლა მოხდება!“



მე-15 გვ.

ასტროლოგი რამაზ გიგაური



# ორი სისხლიანი ნათლისღება – თბილისის განგსტერული ქრონიკები

მე-2-3 გვ.

ვისია „მაკაროვი“, რომლითაც პროკურორი მოკლეს

ვაზაგაშვილის აფეთქებიდან ქირიას მკვლელობამდე

გასროლა რესტორანში და მტკვარში ნაპოვნი მამაკაცის გვამი

## სოზარ სუბარის უწყება დევნილებს აშანტაჟებს?

მე-4 გვ.

## რა კავშირი აქვს კოდუას „ფოტორეპორტიორების საქმესთან“




მე-10-11 გვ.

## ყოფილი პარლამენტარი: „ჩემს შვილს ნარკოტიკი ჩაუდეს!“

რეპორტაჟი გლდანის ციხიდან – რა შეიცვალა საპატიმროებში 2012 წლის არჩევნების შემდეგ

## „ბიძინა ამ პროცესებში შიგნითაა!.. ის ალღოიანი კაცია, შეუძლია, კარგად დაალაგოს პერიპეტიები!“

„ვინ ამბობდა, რომ მთლიანად ყველა პრობლემა გადაიჭრებოდა? სულ ვამბობდი, არავის გეგონოთ, რომ ოქროს თევზი შემოვა ყველას სახლში, მაგრამ შეატყობთ, რომ ამის ტენდენცია არის-მეთქი. თავისუფალ სივრცესა და დემოკრატიის ასეთ პირობებში ეფექტური მმართველობა ძალიან ძნელია. ეფექტური მმართველობა დიქტატურის სტილია. ახლა სხვა სიტუაციაა, ისეთი ხალხი გამოდის, რომელიც თავის დღეში არ გამოსულა, იწყებს ლაპარაკს და ყველასთან უნდა შეაჯერო გადაწყვეტილებები. ამას თავისი დრო სჭირდება და ეს პროცესი მიდის“.



მე-8-9 გვ.

## ნუკრი ქანთარია „ოცნებაში“ დაძაბულობას ადასტურებს?!

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# ორი სისხლიანი ნათლისღება

**ნაახალწლევს, საქართველოში მოვლენები ჰოლივუდური თრილერივით ვითარდება: სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორი ვახტანგ ქირია სახლიდან გადის და, რამდენიმე დღის განმავლობაში, მის კვალს ვერ აგნებენ. ამასობაში, ერთ ყოფილ პროკურორს მანქანას უწვავენ... ასევე, ცხრილავენ კიდევ ერთი ძალოვანის ავტომანქანას. ამასთან ირკვევა, რომ დაკარგული პროკურორი მოკლულია... ვახტანგ ქირიას ცხედრის აღმოჩენიდან მეორე დღეს, შუა ქალაქში, იუსტიციის სახლთან, იქ, სადაც რამდენიმე წლის წინ, ე.წ. კორტების სპეცოპერაცია ჩატარდა, ისევ სროლა ისმის და, როგორც მოგვიანებით ირკვევა, ტელე-რადიო კომპანია „საქართველოს ხმის“ დამფუძნებელი ბიძინა კუჭავა თავს იკლავს. გამოძიების ვერსიით, კუჭავამ სიცოცხლე თვითმკვლელობით მას შემდეგ დაამთავრა, რაც სამართალდამცავებმა ეჭვი აიღეს, რომ ქირია, შესაძლოა, მისი მოკლული ყოფილიყო... მოკლედ, 2016 წელიც, 2015-ისა არ იყოს, განგსტერულად დაიწყო — თუ გახსოვთ, შარშან, სწორედ ამ დროს, იური ვაზაგაშვილი მოკლეს. შეიძლება, ცოტა არაკორექტული ნათქვამია, მაგრამ „ოცნების“ „ანგარიშზე“ უკვე ორი სისხლიანი ნათლისღებაა! უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ტრადიციული ინტერვიუების ციკლში აცხადებს, რომ ყველაფერი ეს ძალოვანთა არაპროფესიონალიზმისა და პრევენციის არარსებობის ბრალია!**

## ვაზაგაშვილის აფეთქებიდან ქირიას მკვლელობამდე — თბილისის განგსტერული ქრონიკები



**კონსტანტინე ფორჩხიძე:** — ვახტანგ ქირია ჩემი ახლობლის ნათესავი იყო. გარდა ამისა, იმ დროს, როცა სამეგრელოში ვმოღვაწეობდი, ძალოვანი უწყების ყველა წარმომადგენელს ერთმანეთთან შეხება, ასე თუ ისე, გვქონდა. როგორც ვიცი, ის უპატიოსნესი ადამიანი იყო. ერთხანობას, როგორც ვიცი, პროკურატურაში აღარ მუშაობდა, შემდეგ კი, ისევ დაბრუნდა. იმის თქმა, რეალურად რა მოხდა, ჯერ ძნელია და ყველაფერი, ალბათ, უახლოეს დღეებში გაირკვევა, მაგრამ ის, რაც მოხდა, თავისთავად ამაზრზენია, რადგან საგანგაშოა, რომ ხელს უკვე პროკურატურასა და, საერთოდ, ძალოვან უწყებებზე წევენ! ასეთი ფაქტი პროკურორ მიხეილ ქურდაძის მკვლელობის შემდეგ აღარ მომხდარა და იმ დღიდან ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. მომხდარზე რეაქცია, პირველ რიგში, ხელისუფლებამ უნდა მისცეს. ისე, ვფიქრობ, ის რეაქცია, რომელიც მთავარ პროკურორსა და შს მინისტრს ჰქონდათ, სწორი და აბსოლუტურად ადექვატური ნაბიჯი იყო.

**— რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რომ გამოძიებაზე მკაცრი კონტროლი დაწესდა, თუმცა პოსტფაქტუმ გადადგმული ნაბიჯია და ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ამ ქვეყანაში დაცულები უკვე პროკურორებიც აღარ არიან, არათუ, რიგითი მოქალაქეები! ხუმრობა ხომ არ არის, ერთ კვირაში, ერთ პროკურორს კლავენ, მეორეს ესვრიან და ეს მხოლოდ კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესებაზე კი არ მიუთითებს, არამედ, იკვეთება, რომ ძალოვან უწყებებს საქმის მიმართ არაპროფესიული დამოკიდებულება აქვთ! შესაბამისი პრევენცია და შესაბამისი სოციალური ფონი რომ არსებობდეს, მსგავსი ფაქტები არ მოხდება!

**— სოციალურ ფონს რა მნიშვნელობა აქვს? კრიმინალი ნებისმიერ ქვეყანაში ხდება და ქირიას მკვლელობაც, შესაძლოა, ჩვეულებრივი კრიმინალი ან, სულაც, პირადი ანგარიშსწორებაა!**

— კი ბატონო, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს! თუ ეს კრიმინალური გარჩევა იყო, მით უარესი — როცა კრიმინალურ გარჩევას პროკურორის სიცოცხლე ეწირება, ესე იგი, ქვეყანაში საქმე ძალიან ცუდადაა! მოკლედ, მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არასათანადო პროფესიონალიზმი, პრევენცია და იმ მუშაკების დაცულობა, რომელთაც ხალხზე ზრუნვა ევალებათ!

ისე, თუ გავიხსენეთ, თუ როგორ დაიწყო გასული წელი, წლევანდელთან ბევრ ანალოგიას მოვნახავთ: წელს, ნათლისღებამდე, პროკურორი მოკლეს, შარშან კი, — იური ვაზაგაშვილი. არ მინდა, რომ ეს ტენდენციად იქცეს და ყოველი წელი სისხლიანი ნათლისღებით დაიწყოს! იცით, ასეთი რაღაცები რატომ ხდება? — იმიტომ, რომ ყველა დანაშაულს სამართალდამცავების მხრიდან სათანადო პასუხი და დამნაშავის დასჯა სჭირდება. არაერთხელ მითქვამს, რომ დამნაშავის დაუსჯელობა ყველაზე დიდი უსამართლობაა!

მოდით, ისევ იური ვაზაგაშვილის მკვლელობას დავუბრუნდეთ. ამ შეკვეთილი მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა — დადასტურდა, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო, მაგრამ შემკვეთი არ დასჯილა.

**— თუ არ ვცდები, გამოძიებას ვაზაგაშვილის მკვლელობის მოტივიც არ დაუსახელებია...**

— დიახ, ასეა...

**— გამოძიება არც პროკურორ ქირიას მკვლელობის მოტივზე საუბრობს...**

— არადა, გამოძიების უპირველესი მიზანი მოტივაციის დადგენაა, ანუ სისხლის სამართლის დანაშაული რეალურად რომ გაიხსნას, გამოძიება, პირველ რიგში, მოტივაციაში უნდა გაერკვეს. ვერსიებიც იმისთვის დგება, რომ დანაშაულის მოტივი დადგინდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, ის ძაფი გამოიწიოს, რომელიც გამოძიებას რეალობამდე მიიყვანს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დამნაშავე დასაჯა, ვაზაგაშვილის მკვლელობის შემკვეთი ისევ თავისუფალია და არავის გაურკვევია, ეს მკვლელობა მართლაც, ფირცხალავამ შეუკვეთა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოზე ეს არ გამოჩენილა. ამიტომ, შეკვეთის დადგენა პროკურატურის, ასე ვთქვათ, მინუსშია და შესაბამისად, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა მანამ არ იქნება წერტილდასმული, ვიდრე შემკვეთი არ დაისჯება!

მოდით, ჩავუღრმავდეთ, თუ კიდევ რა დეტალი და ნიუანსია ამ ამაზრზენ მკვლელობაში პასუხგაუცემელი. სასამართლო მიმდინარეობდა და ამაზე აქამდე არ ვსაუბრობდი, მაგრამ ვინაიდან დამნაშავეს უკვე მისჯილი აქვს, მე, როგორც მოქალაქემ და ექსპერტმა შემიძლია, ბევრი რამ ეჭვქვეშ დავაყენო. ისე, სასამართლომ განაჩენი იმის მიხედვით გამოიტანა, პროკურატურამ რა მტკიცებულებებიც წარუდგინა. შესაბამისად, პრეტენზია სწორედ პროკურატურასთან მაქვს.

ვანო, გაგახსენებთ, ამ საქმის გამოძიება როგორ დაიწყო: მკვლელობა მოხდა თუ არა, ტელევიზიით რაღაც ასაფეთქებლის დარჩენილი ნაწილი გვანახეს. პარალელურად, ერთ-ერთი ექსპერტი გამოვიდა და განაცხადა, ვაზაგაშვილი „ეფ1“ ტიპის ხელყუმბარით ააფეთქესო. გამოძიებაც სწორედ ამ ვერსიას გაჰყვა. ახლა, მიჩნდება შეკითხვა: ეს გამოძიებაზე ზეწოლა იყო თუ არა?

დავუშვათ, „ეფ1“ ტიპის ხელყუმბარა აფეთქდა. ამ ხელყუმბარის ნამსხვრევების გაბნევის რადიუსი 200-250 მეტრია, ან ამ რადიუსის ფარგლებში შეუძლია, ნებისმიერი ცოცხალი არსება სასიკვდილოდ დააზიანოს. წარმოგიდგენიათ, ვაზაგაშვილის დამახინჯების ხარისხი, რომელიც სასაფლაოზე ფილას ასწორებდა, როგორი უნდა ყოფილიყო?

**— ამ თემაზე თავის დროზეც ვისაუბრეთ...**

— დიახ, მაგრამ ამ შეკითხვას პასუხი არ გასცემია... ეს საქმე მაღალპროფესიონალურად რომ წარმართულიყო, გეფიცებით, სხვანაირი ნიუანსები გამოიკვეთებოდა. სხვათა შორის, ნებისმიერი გამოძიების შემადგენელი ნაწილი საგამოძიებო ექსპერიმენტია, მით უმეტეს, ასეთ საქმეში, მაგრამ ექსპერიმენტის ჩატარება აზრადაც არავის მოსვლია. არადა, თუკი ექსპერიმენტი ჩატარდებოდა და „ეფ1“ ტიპის ხელყუმბარას ააფეთქებდნენ, ნახავდნენ, რომ გარშემო, კაფსულდეტონატორის გარდა, არაფერი დარჩებოდა... გარდა ამისა, საკითხავია, ნუთუ, მკვლელი, რომელსაც მკვლელობა წინასწარგანზრახული და გააზრებული ჰქონდა, ისეთი სულელია, რომ შინ „ეფ1“ შეინახა? ისე არ გამიგოთ, რომ მკვლელს ვამართლებ, მაგრამ ვფიქრობ, ამ შეკითხვებს პასუხი უნდა გაეცეს!

**— ერთი სიტყვით, ბატონო კოტე, ვაზაგაშვილის საქმეში შეკითხვები რომ არ გაჩენილიყო, შესაძლოა, პროკურორის მკვლელობა თავიდან აგვეცილებინა?**

— ასე ვერ ვიტყვი, მაგრამ ვაზაგაშვილის, ეროსი კიწმარიშვილისა და სხვა გახმაურებულ საქმეებში, რომლებიც დღემდე გამოუძიებელია, კითხვის ნიშნები რომ არ არსებობდეს, კრიმინალურ ჯგუფებს, რომლებმაც ბოლო დროს ძალიან „აიშვეს“, დაუსჯელობის განცდა არ გაუჩნდებოდათ! საერთოდ, კრიმინალთან ბრძოლა მხოლოდ პოსტ ფაქტუმ რეაგირება არაა. წეღანაც ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: ქვეყანაში ძალოვანი უწყებების მხრიდან დანაშაულის პრევენცია არ არსებობს, რაც არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს, თორემ ყველა პროფესიონალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე ფიქრობს!

არ ვიცი, ხელისუფლება ამ მიმართულებით ნაბიჯებს დგამს თუ არა, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთგვარი გამოცოცხლება იგრძნობა — კადრები იცვლება.

**— სხვათა შორის, პროკურორს სწორედ მაშინ კლავენ, როცა შსს-ში ერთგვარი რეორგანიზაცია მიმდინარეობს...**

— ეს დამთხვევაც არსებობს... ბუნებაში კი, შემთხვევით არაფერი ხდება და ყველაფერს თავისი გამომწვევი მიზეზი და ლოგიკა აქვს. მოკლედ, ყველაფერი ეს შესაძლოა, ერთმანეთთან კავშირში იყოს.

**— ანუ, პროკურორის მკვლელობასა და ვაზაგაშვილის აფეთქებას გულისხმობთ?**

— არა, არა. ერთმანეთთან კავშირში შეიძლება, კრიმინალის ზრდა და შსს-ში მიმდინარე პროცესები იყოს, ანუ არ გამოვრიცხავ, შსს-ს ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ ახალი სისხლი და მეტი პროფესიონალიზმია საჭირო, რათა ამ გამოწვევას გაუმკლავდეს, თუმცა არ მგონია, ასე იყოს, რადგან კადრების მონაცვლეობა ხდება. ამის მაგალითია აჭარის პოლიციის უფროსის, ამირანაშვილის შს მინისტრის მოადგილედ დანიშვნა — ცნობილია, ამ ადამიანს რა სკანდალიც უკავშირდება. ბოლოს და ბოლოს, უფლებადამცველი მერაბ ბლადაძე შიმშილობდა კიდეც და მის გათავისუფლებას ითხოვდა. ამ საქმეს არ ჩავძიებივარ, მაგრამ რახან ამირანაშვილთან დაკავშირებით შეკითხვები არსებობდა, დავიჯერო, შსს-ს კადრების სამმართველო არ აქვს? კადრების დაწინაურება, ან გათავისუფლება როგორ ხდება? — ამას, პირველ რიგში, კადრების სამმართველო და გენინსპექცია სწავლობს. ეს სტრუქტურები სად არიან, ამირანაშვილის სკანდალზე რატომ არაფერს ამბობენ? ესე იგი, ეს ადამიანი ვილაცასთან პოლიტიკური ნაცნობობის გამო დაწინაურდა?! საერთოდ, საქართველოში ასეა — უბრალო პროფესიონალს, თუ ნაცნობები არ ჰყავს, მინისტრად და მინისტრის მოადგილედ კი არა, დეპარტამენტის უფროსადაც არ ნიშნავენ! ეს მანკიერი პრაქტიკა მხოლოდ შსს-ს კი არა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და სხვა უწყებებსაც ახასიათებთ. არადა, ეს დასავლური მიდგომა არაა. ხომ გვინდა, რომ ევროპული ცივილიზაციის ნაწილი გავხდეთ? ჰოდა, ყველა საჯარო სამსახური დასავლური მეთოდებით უნდა მუშაობდნენ! ისევ საბჭოთა და რუსული მენტალობის საკადრო პრინციპები რატომ გვაქვს? კლანური მმართველობა ქვეყანას დაღუპავს, გეუბნებით! არ შეიძლება, არაპროფესიონალმა პროფესიონალთა ჯგუფს უხელმძღვანელოს, მით უმეტეს, ძალოვან უწყებებში! ვიდრე ამას ჩვენი პოლიტიკური მამები, ანუ ისინი, ვინც გადაწყვეტილებებს იღებენ და პროფესიონალიზმზე მაღლა პირად ერთგულებას აყენებენ, არ შეიგნებენ, არაფერი გვეშველება და მხოლოდ პოლიტიკური მკვლელობები კი არა, სხვა სახის დანაშაულობებიც მოხდება. შესაბამისად, გარე საფრთხეებსაც ვერ ვუპასუხებთ! საბოლოო ჯამში, დიახ, ქვეყანა დაიღუპება! დროზე უნდა მიხვდნენ, რას აკეთებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, 90-იან წლებში, კრიმინალური გარჩევების პერიოდში დავბრუნდებით და, იკითხონ, ხალხს ეს გვინდა? — ნამდვილად არ გვინდა!

დიახ, პროკურორის მკვლელობა საგანგაშოა! ორ ათეულ წელზე მეტია, ასეთი შემთხვევა არ მომხდარა. რა მნიშვნელობა აქვს, რის გამო მოკლეს? ფაქტია: ერთი პროკურორი მოკლეს, მეორეს კი, ესროლეს და მანქანა დაუწვეს! როცა მუნდირიან ადამიანს ესვრიან და კლავენ, გეკითხებით, რიგითმა მოქალაქემ რა ქნას, თავი როგორ დაიცვას?! მართალია, პროფესიონალი ვარ, მაგრამ არ ვმალავ: დღეს თავს დაცულად ვეღარ ვგრძნობ! ეროსის, ვაზაგაშვილის, ბესო ხარძიანის მკვლელობებს თუ გავიხსენებთ, თავი თრილერში გვეგონება! ყველაფერი ეს ამ ქვეყანაში აღარ უნდა დამთავრდეს?! ეს ძალოვანი უწყებების არასათანადო მუშაობის შედეგია და მეტი არაფრის! კი ბატონო, დანაშაული „ნაცმოძრაობის“ დროსაც ხდებოდა, მაგრამ კარგად იფუთებოდა. ისე, მაშინ უფრო უარესობა იყო — დანაშაულს თვითონ ძალოვანები ჩადიოდნენ!

**— სახელმწიფოსთვის რომელი უფრო საშიშია: როცა დანაშაულს ძალოვანები სჩადიან, თუ როცა ე.წ. ქუჩის კრიმინალი იზრდება?**

— რა თქმა უნდა, როცა დანაშაულს რეჟიმი სჩადის. განგაშის ზარი მაშინ უნდა შემოეკრათ, როცა იური ვაზაგაშვილის მკვლელობისთვის შსს-ს მოქმედი თანამშრომელი დააკავეს!

იცით, რას ვაკვირდები? — ისევ ის პოლიტიკა გრძელდება, რაც 9 წლის განმავლობაში იყო.

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317)

ქართული სიტყვა

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

**— ანუ?**

— თანამდებობაზე ბავშვებს ნიშნავენ! უნდა გავიგოთ: ახალგაზრდა ადამიანი, ციდან ვარსკვლავებსაც რომ წყვეტდეს, ისეთ უწყებაში, როგორიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, თავდაცვის, ან შს სამინისტროა, მაღალ თანამდებობაზე არ უნდა დაინიშნოს! ეს ცუდი, პირველ რიგში, ამ ადამიანებისთვისაა და მერე — ქვეყნისთვის! თუ ამას ვერ შეიგნებენ, ბოლოს, ყველაფერი იმ „პოლიტიკურ მამებს“ მიუბრუნდებათ, რომლებიც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებენ! როცა ახალგაზრდებზე ვლაპარაკობ, 30 წლამდე ასაკის ხალხს ვგულისხმობ, თორემ 35 წელს მიტანებული ადამიანი თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს, ანუ ყურადღებას ისეთ დანიშვნებზე ვამახვილებ, მაგალითად, „ნაციონალებმა“ 19 წლის კოტარია ოპერატიულ-ტექნიკური სამსახურის უფროსად რომ დანიშნეს. გაიგეთ, რა, არ შეიძლება, რეგიონის პოლიციის უფროსი 28 წლის ადამიანი გახდეს! თუ ეს მიზანმიმართულია, ანუ ვიღაცას, ან ვიღაცებს სურთ, რომ ქვეყანა უფრო მართვადი გახადონ, მაშინ მთლად დაღუპულები ვყოფილვართ!

**— კრიმინალის ზრდაც ქვეყნის მართვას ხომ არ ემსახურება?**

— დიახ, ასეა. საერთოდ, კრიმინალის ზრდა ჩვენი ყველა არაკეთილმოსურნის ინტერესშია — დაწყებული რუსეთიდან, დამთავრებული თურქეთით.

**— კი, მაგრამ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია!**

— მერე რა მოხდა? რა, თურქეთს, ან სომხეთს ჩვენს მიმართ პოლიტიკური ინტერესი არ აქვს?! ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები გავლენას გარე საფრთხეებზეც ახდენენ. ყოველ შემთხვევაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისთვის ნოყიერი ნიადაგი იქმნება, რომ საქართველოში თავიანთ პოლიტიკურ მიზნებს უფრო ადვილად მიაღწიონ, თორემ იქ, სადაც სტაბილურობაა და ყველაფერი ჯანსაღ ოპერატიულ კონტროლს ექვემდებარება, ამ მიზნის მიღწევის შანსი ნაკლებია!

**— კოტე ბატონო, როგორც პროფესიონალი სპეცსამსახურელი, როგორ ფიქრობთ, დღეს საქართველოში, ოპერატიული თვალსაზრისით, დაძაბულობაა?**

— რა თქმა უნდა და ეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ასევე, არასწორი და არასათანადო მართვით, ანუ მართვაში არსებული პრობლემებითაა განპირობებული. ამის ნათელი დასტურია პრემიერის გადაყენება. მართვის პრობლემებია, აბა, რა არის, როცა სახელისუფლებო შტოები ერთმანეთთან ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში არიან და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, აშშ-ში რომელი დელეგაცია უნდა გაემგზავროს?!

საარჩევნო წელია. ასეთ დროს ნებისმიერი კრიმინალური შემთხვევა დესტაბილიზაციის თამასას მაღლა სწევს და ესკალაციის საშიშროებას ქმნის! ამ კუთხით აღსანიშნავია სამეგრელოში მიმდინარე პროცესები.

**— სამეგრელოში რაღა ხდება?**

— ცდილობენ, ისეთი კომპანიები შეიყვანონ, რომლებიც ხალხში გაღიზიანებას იწვევენ.

**— რომელ კომპანიებზე ლაპარაკობთ, ბატონო კონსტანტინე?**

— როგორც ვიცი, სამეგრელოში თურქული კომპანიის შეყვანა უნდოდთ, რომელიც ზუგდიდი-თბილისის სამარშრუტო ტაქსებს ჩაანაცვლებდა. ამას ერთი ამბავი მოჰყვა და ხალხი ქუჩაშიც გამოვიდა. ხელისუფლებამ ეს მომენტებიც უნდა გაითვალისწინოს. თუ გინდა, ინვესტორი შეიყვანო, შესაბამისი დრო უნდა მოძებნო. ამ ნაბიჯს წინასაარჩევნო პერიოდში რომ დგამ, გეკითხებით, ყველაფერი ეს რას ემსახურება? რას ემსახურება და, — ვითარების ესკალაციას და მეტს არაფერს! ესე იგი, აქ ვიღაცის პოლიტიკური ინტერესებია.

**— ეს „ვიღაც“ ვინ შეიძლება იყოს?**

— ვისაც უნდა, რომ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭიროს, თორემ ვითარების ესკალაცია ხელისუფლების ინტერესში არ უნდა შედიოდეს და თუ შედის, ამ ხელისუფლების საქმე მთლად წასულია!



საერთოდ, მმართველი პარტიისა და კოალიციის ლიდერები ისეთ პოსტულატებს ისვრიან, რომლებიც საზოგადოებაში ნიჰილიზმს ბადებენ, ამათ სიტუაცია ერთმანეთში ვერ გაურკვევიათ, სკამებისთვის იბრძვიან და ჩვენ ხმა რატომ უნდა მივცეთო. ყოველ შემთხვევაში, ადამიანებში ასეთი განწყობა ნელ-ნელა მკვიდრდება. აი, მაგალითად, ირაკლი კობახიძემ განაცხადა, პარლამენტში მსახიობები და სპორტსმენები არ უნდა შევიდნენო. შემდეგ კი ითქვა, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ისინი, ვინც პარლამენტში აღარ იქნებიან, აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაინაცვლებენო. მოკლედ, ყველაფერი ეს ამომრჩეველზე ძალიან ცუდად მოქმედებს. პრაქტიკულად, იცით, რა ითქვა? — პარლამენტში ისინი უნდა შევიდნენ, ვინც პარტიას უნდა და არა — ხალხსო, ანუ პოლიტიკოსებიო.

**— პრინციპში, ამაში ცუდი რა არის?**

— ადამიანი შეიძლება, პოლიტიკოსი არა, მაგრამ ექსპერტი, ან რიგითი მოქალაქე და თავისი საქმის პროფესიონალია. დიახ, პარლამენტში ისინი უნდა შევიდნენ, ვისაც ხალხი აირჩევს და არა — პოლიტიკოსები, მით უმეტეს, ის პოლიტიკოსები, რომლებიც 20 წელია, ერთ წრეზე ტრიალებენ და ხან ხელისუფლებაში არიან, ხან — ოპოზიციაში! პარტოკრატიული მმართველობის ფორმა სწორედ ესაა, ანუ როცა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზემოხსენებულ განცხადებას აკეთებს. ირაკლი კობახიძეს არ ვაკრიტიკებ, ახალგაზრდა კაცია და ღმერთმა გაუმარჯოს, მაგრამ მის განცხადებაში პრობლემას ვხედავ. გავიხსენოთ, კონსტიტუციით ჩვენ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“ ვართ, ანუ ქვეყანაში ხალხის ჰეგემონია უნდა იყოს, მაგრამ დღეს ყველაფერი თავდაყირაა — ხალხი აბსოლუტურად იგნორირებული, გვერდზე გაწეულია და ხელისუფლება ერთი და იგივე პოლიტიკურ კლანებს აქვთ უზურპირებული, გააჩნია, დაფინანსებას ვისგან იღებენ! ამ ქვეყნის მთავარი ავადმყოფობაც სწორედ ესაა. ეს ჯაჭვი როგორმე უნდა გაირღვეს და არ უნდა დავუშვათ, რომ ქვეყანაში პარტოკრატიული მმართველობა დამკვიდრდეს. ეს მხოლოდ ჩვენს არაკეთილმოსურნეებს აწყობთ! პარტოკრატიის დროს ქვეყანას მართავენ პარტიული კლანები, რომლებიც შეიძლება, ჩვენს მტრებს არიან მიყიდულები!

**— მტერს შეიძლება, ნებისმიერი ადამიანი მიეყიდოს!**

—კი ბატონო, მაგრამ ადამიანი ერთია, პარტია კი, ძალაუფლებაა!

გაიძახიან, არჩევნების მაჟორიტარული პრინციპი გავაუქმოთო. კი ბატონო, ოლქები დაყავი და ბარიერიც 50 პროცენტამდე აწიე, მაგრამ ხალხს არჩევანის უფლებას რატომ ართმევ? ესე იგი, პოლიტიკურ ველში შეიძლება, მხოლოდ ლიბერტარიანული, ან ნეობოლშევიკური ძალა დარჩეს, რომელიც მე, როგორც რიგით ამომრჩეველს, შეიძლება, არ მომწონდეს და მაჟორიტარული სისტემა რომ გაუქმდეს, საშუალება აღარ მექნება, რომ თანამოაზრეებთან ერთად, არჩევნებში მონაწილეობა მივიღო!

**— ბატონო კოტე, ისიც ფაქტია, რომ ხალხს მაჟორიტარები არ მოსწონს!**

— ხალხს მაჟორიტარები იმიტომ არ მოსწონს, რომ რეფორმირებას მაჟორიტარების სისტემა საჭიროებს, თორემ თუკი მაჟორიტარულ სისტემას საერთოდ გავაუქმებთ, პარტოკრატიულ მმართველობას მივიღებთ! ბოლოს და ბოლოს, პარტიებს ერთი და იგივე სახეები 30 წელი მართავენ, ანუ პოლიტიკური ველი, პრაქტიკულად, ჩაკეტილი აქვთ!

**— მაგალითად, „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხშირად იცვლება ხოლმე...**

— ეს არაფერს ნიშნავს, რადგან „რესპუბლიკური პარტია“ 20-30 ადამიანის კლუბია. „ნაცმოძრაობაში“, „მოქკავშირიდან“ მოყოლებული, ერთი და იგივე „ტიპები“ არიან და თუკი ეს ტენდენცია „ოცნებაშიც“ დამკვიდრდა, რა გამოვა? — ხალხი არჩევნებზე ან საერთოდ არ მივა, ან თუ მივიდა, არჩევანი იმ სახეებს შორის უნდა გააკეთოს, რომელსაც მთელი ცხოვრება უყურებს! დროა, გადაწყვეტილების მიმღებები ამაზე დაფიქრდნენ და არა იმაზე, რომ ადამიანები ერთგულების მიხედვით შეარჩიონ! დროა, პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა წინა პლანზე ხალხის ღირსება დააყენოს, თორემ ეს ქვეყანა თავზე ჩამოგვექცევა! 20-25-წლიანი პარტიული სახეები პოლიტიკურ ველს, ერთხელ და სამუდამოდ, ან უნდა ჩამოცილდნენ, ან იგივე წრეზე სიარულს გავაგრძელებთ, რომელზეც ამდენი ხანია დავდივართ და არ ვიცი, რა გვეშველება, მით უმეტეს, დღეს არსებული საგარეო ფაქტორების ფონზე.

**— ამჯერად, აქცენტს რომელ საგარეო ფაქტორებზე აკეთებთ, ან საგარეო გამოწვევები ვინმეს კიდევ ახსოვს?**

— შეიძლება, არ ახსოვს, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში ძალიან რთული ვითარებაა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აქტიური ველარაა, რადგან ობამას ადმინისტრაციის ბოლო პერიოდია. დიდი ალბათობით, აშშ-ს ხელისუფლებაში „რესპუბლიკელები“ მოვლენ, რომლებიც უფრო მეტად „ქორები“ არიან, ანუ საგარეო პოლიტიკას უფრო მეტ დროს დაუთმობენ და აშშ-ს გავლენის გაზრდაზეც იფიქრებენ. ყოველ შემთხვევაში, „რესპუბლიკელების“ მმართველობა ყოველთვის ამით გამოირჩეოდა, გავიხსენოთ თუნდაც ჯორჯ ბუშ უფროსის პრეზიდენტობა და ერაყის მაშინდელი კრიზისი. მოკლედ, ახლო აღმოსავლეთის ესკალაცია, ალბათ, აშშ-ში ახალი ადმინისტრაციის მოსვლას დაემთხვევა და საამისოდ ნაბიჯები უკვე იდგმევა. ობამას ადმინისტრაციამ, რომელიც წასვლას აპირებს, ხომ ხედავთ, რა გააკეთა? — ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება დაიწყო და ნავთობის ფასი თითქმის 80 პროცენტით დაეცა. ამით „აი-სი-სი“-ს ფინანსური ნაკადების შესუსტებას ცდილობს. ამ პროცესში ოპეკ-ის ქვეყნებიც არიან ჩართულები, რომელთაც ნავთობის ფასის დაცემა არ აწყობთ, რადგან ეს მათ შემოსავლებსაც ურტყამს, მაგრამ როცა არასტაბილური პოლიტიკის ელემენტები ჩანს, იძულებულნი არიან, ამ ნაბიჯზე წავიდნენ, ანუ ნავთობის მოპოვება არ შეამცირონ. ყველაფერი ეს მხოლოდ რუსეთის, ან აზერბაიჯანის ეკონომიკას კი არა, ძირითადად, „აი-სი-ს“-ს ურტყამს. მოკლედ, აშშ ცდილობს, როცა ახლო აღმოსავლეთში სახმელეთო ოპერაციების საჭიროება დადგება, მომზადებული იყოს და ამის საჭიროება, ადრეც მითქვამს, აუცილებლად დადგება! ყველაფერ ამის მიღმა არც რუსეთი დარჩება, რომლის მთავარი ამოცანა სირიაა და ის სირიის საზღვრებს არ გასცდება!

**— ნავთობზე გამახსენდა, ორიოდ დღის წინ, „გაზპრომის“ წინააღმდეგ გამართულ აქციაზე არცთუ ბევრი ადამიანი მივიდა. ესე იგი, საზოგადოებას ეს თემა არ აღელვებს?**

— „გაზპრომთან“ დაკავშირებით ჩემი აზრი მაქვს... საერთოდ, აქ არაჯანსაღი პროპაგანდაა, ანუ გაიძახიან, აზერბაიჯანული გაზის რუსულით ჩანაცვლება ხდებაო, მაგრამ ეს ტუტუცური განცხადებაა.

**— რატომ?**

— თუკი აზერბაიჯანული გაზის რუსულით ჩანაცვლება ხდება, მაშინ რა გამოდის? — ყველა აზერბაიჯანული პროექტი, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი განუხორციელებელია? ეს წარმოუდგენელია, რადგან ამ პროექტების ამუშავება ევროპის ინტერესშია. აქ საკითხი სხვა რამეშია, ანუ მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანი რუსულ ორბიტაზე დაბრუნდა, რა მნიშვნელობა აქვს, გაზს საიდან შემოვიტანთ?! ჩვენ ხელიდან სავაჭრო ბერკეტი გამოგვეცალა, რომლითაც მაქსიმალურ სარგებელს ვნახავდით. ეს „მაქსიმალური სარგებელი“ კი, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ქვეყნის გაერთიანებაა! ამ სიტუაციაში, რეალ-პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელობა აღარ აქვს, საქართველოში გაზი აზერბაიჯანიდან შემოვა თუ რუსეთიდან!

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საზოგადოება

# სოზარ სუბარის უწყება დევნილებს აშანტაჟებს?



**2015 წლის დეკემბრის ბოლოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ დევნილებს საკუთრებაში ბინები გადასცა. მაშინ მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილმა „ქართულ სიტყვასთან“ განაცხადა: „თბილისში, დადიანის, კალოუბნისა და დოდაშვილის ქუჩებზე, ასევე, თბილისის ზღვაზე ახლადაშენებულ მაღალი სტანდარტის ბინებში — კორპუსებში პირველად შევასახლებთ დევნილებს. წინასწარ გამოვაცხადეთ კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა 10 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო, თუმცა განმცხადებელი კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, ანუ მძიმე სოციალური და საცხოვრებელი პირობების, აგრეთვე, ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება ქულებით, კომისიურად ხდება. მონიტორინგს შიდა აუდიტის ჯგუფები აწარმოებენ, რომლებიც დოკუმენტურად და კომისიურად ავლენენ გამარჯვებულებს. ამჯერად, 10 ათასი ბენეფიციარიდან 561 ოჯახი იღებს ოთხოთახიან ბინას. თებერვალში კიდევ 600 ბინის გადაცემაა დაგეგმილი. ახალციხეში 30-ზე მეტი დევნილი შესახლდება ბინებში, მასშტაბური პროექტი გვაქვს ზუგდიდშიც, ქუთაისსა და გორში. მომავალი წლიდან „სოფლის სახლის“ პროექტიც შევა ძალაში — ჩვენი ბენეფიციარები საცხოვრებლად ვარგის სახლებს თავად მოიძიებენ, რომელთაც კერძო მფლობელებისგან, 17-დან 31 ათასამდე ლარის ფარგლებში გამოვისყიდით. სახლებს თან ახლავს საკარმიდამო ნაკვეთები, რაც მეპატრონეებს გაახარებთ“.**

## „დევნილები დააბოლეთ!“ — რა კორუფციულ სქემას ასაჯაროებს „დევნილთა პარტია“

**ლენა ქურასბედიანი, დევნილი:** „— საახალწლოდ ასეთ სიხარულს ყველას ვუსურვებ, ძალიან მაგარი საჩუქარი გაგვიკეთა სამინისტრომ, ყველას სიხარული და ბედნიერება მისცეს, ვინც ოდნავი წვლილი მაინც შეიტანა ჩვენს სიხარულში. ოჩამჩირის რაიონის სოფელ არდუდან ვართ, შვიდსულიანი ოჯახი ოთხოთახიან ბინაში შევსახლდებით. ბინა, სადაც კომპაქტურად ჩასახლებულები ვცხოვრობდით, ნგრევაშია. ვერ ვიტყვი, აფხაზეთში დავბრუნდითმეთქი, მაგრამ ნამდვილად დიდი სიხარული გვაქვს“.

**მოკლედ, ასეთი განწყობა იყო 2015 წლის დეკემბრის მიწურულს პროფკავშირების სასახლეში, სადაც დევნილთა მრავალრიცხოვანი ოჯახები ლოტოტრონით ბინებს ინაწილებდნენ. 2016 წლის 9 იანვარს კი, თბილისის ზღვაზე, ოლიმპიურ სოფელში, „ჰუალინგის“ წინ, სადაც დევნილებისთვის მთავრობამ ბინები გამოყო, „დევნილთა პარტიამ“ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილენი მთავრობას ბრალს სდებდნენ, რომ დანაპირები არ შეუსრულა და დევნილებს იმაზე გაცილებით ნაკლები ფართი გამოუყო, ვიდრე ეკუთვნოდათ. „ქართული სიტყვა“ დევნილთა პარტიის თავმჯდომარე ლელა გულედანს ესაუბრა:**

— ჩვენი პარტია, რომელიც გასულ წელს დარეგისტრირდა, აფხაზეთსა და სამაჩაბლოდან დევნილთა უფლებების დაცვაზეა მოტივირებული. ძირითადი პრობლემა — მათი საცხოვრისით უზრუნველყოფა — წელში გატეხილიც კი არაა. 60 ათასი დევნილი საკუთარი ჭერის გარეშეა. დევნილთა ოჯახში მესამე თაობა იზრდება. ისე, ვერ ვიტყვი, რომ დევნილთა რიცხვი მატულობს — სტატისტიკა ერთგვაროვანია, რადგან მას გარდაცვალება და დაბადება აბალანსებს. საერთოდ, დევნილები მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფია.

**— ავი ენები ამბობენ, დევნილები ზოგჯერ ბოროტად სარგებლობენ და სახელმწიფოსგან საცხოვრებლებს რამდენიმეჯერ იღებენო.**

— სამინისტრომ ძალიან კარგად იცის, დევნილებს რაც აქვთ, რადგან გარიგებებში ერთად მონაწილეობენ.

**— კორუფციულ გარიგებებს გულისხმობთ?**

— კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებზე სამინისტროს, პოლიციისა და უშიშროების ორგანოების მეშვეობით, უტყუარი ინფორმაცია აქვს, ანუ თუკი ცხოვრებაში ვინმეს რამე დაულაგდება, საქმის კურსში არიან და უკანონო პროცესებში დევნილებთან ერთად მონაწილეობენ. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობას ორივე მხარე ინაწილებს. სამინისტროს პოზიცია არ მოგვწონს მათთან მიმართებაში, ვინც წლების განმავლობაში, წელებზე ფეხს იდგამდა, შრომობდა, შვილს ლუკმას აკლებდა, ფულს აგროვებდა, რომ საცხოვრებელი შეეძინა. გასაგებია, რომ ასეთები სამინისტროსთვის პრიორიტეტულები არ არიან და, პირველ რიგში, უსახლკაროები უნდა დაკმაყოფილდნენ, მაგრამ არც უვადო განსახლების პერსპექტივით ვიხიბლებით.

**— „უვადო განსახლება“ რას ნიშნავს?**

— „უვადო განსახლების“ მიხედვით, კაცმა არ იცის, დევნილს ბინით დაკმაყოფილება როდის მოუწევს. ერთხელ, მინისტრ სოზარ სუბარს ამის თაობაზე დევნილმა შეკითხვა დაუსვა, მან კი უპასუხა, დევნილები იმდენი ხართ და მრავლდებით, რომ ამდენი ფული არ გვაქვსო. ამიტომაც პროცესი უსასრულოდ იწელება.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— თუკი სახელმწიფო საცხოვრებელთან დაკავშირებით დევილთა მოთხოვებს ერთხელ და სამუდამოდ დააკმაყოფილებს, ბიუჯეტსაც დაზოგავს და სამინისტროს თანამშრომლებზე გამოყოფილ ხარჯებსაც.

დევნილებზე გრძელვადიანი გასხვისებით გადაცემული მიწებიც ხშირად პრობლემური ხდება — შეიძლება, ძველი კანონიერი მფლობელი ნებისმიერ დროს მიადგეს და ქონება მოითხოვოს. ამის მწარე მაგალითებიც არსებობს.

**— დევილებს სოფლად სახლების შეძენის პროექტი მოსწონთ?**

— თბილისში მცხოვრები ბევრი ოჯახი თანახმაა, რეგიონში, სოფელში გადასახლდეს, სადაც სახლს შეუძენენ, რომელსაც მიწის ნაკვეთიც მოჰყვება — მიწაც დამუშავდება და შენობა-ნაგებობასაც პატრონი ეყოლება.

ლტოლვილთა პრობლემების გადაჭრას 2 მილიარდი დოლარი სჭირდება, მაგრამ დღეს გადახდილი თანხა ხვალ სახელმწიფოსვე სასიკეთოდ მოუბრუნდება. დევნილების გონება და რესურსები საკუთარ ჭერთან დაკავშირებულ გაურკვეველ, მშფოთვარე მდგომარეობაზეა გადართული, რაც მათ ფსიქოლოგიურ სტრესს, აგრესიას იწვევს. ამ სტრესის მოხსნის მერე კი, ისინი ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები გახდებიან. მათ აქვთ კონტაქტი აფხაზებთან, ოსებთან და კონფლიქტების მოგვარებაში, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა იყვნენ ჩართულები.

**— ქალბატონო ლელა, ყველაფერი ეს გასაგებია, მაგრამ 9 იანვარს, დევნილებთან ერთად, რას აპროტესტებდით?**

— თბილისის ზღვის დასახლება „ჰუალინგის“ ტერიტორიაზე დევნილებს ფართები გადასცეს, ლაპარაკია 23-ე კორპუსზე, სადაც სტანდარტები არაა დაცული, ანუ ერთ სულზე, 15 კვადრატის ნაცვლად, რვა კვადრატი გამოუყვეს და დევნილებს, ოთხის ნაცვლად, ხელთ ოთხოთახიანებად გადაკეთებული ოროთახიანი ბინები შერჩათ. თუ საძინებელში საწოლს დადგამ, გარდერობი აღარ დაეტევა და პირიქით. ამ კორპუსში შესვლას სულ რამდენიმე ოჯახი დასთანხმდა, რადგან ქირით ცხოვრობდა და სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ეს გამაფრთხილებელი აქცია იყო, რასაც სამინისტროს მხრიდან დევვნილთა ჩვეული დაშანტაჟება და დაშინება მოჰყვა, თუ არ შეხვალთ, კარგა ხანს ვერაფერს ეღირსებითო.

**— როგორ ფიქრობთ, საქმე კორუფციასთან გვაქვს?**

— დევნილები ხანდახან ამბობენ, მეგობარმა ამდენი გადაიხადა, ნაცნობმა ასე თქვა, ამდენს ითხოვენო. კონკრეტულ ფაქტებზე კი, თავად მინისტრი და სამინისტრო აცხადებს ხოლმე. მაგალითად, ზაფხულში, ქვემო ქართლში პროკურატურამ ჯგუფები გამოააშკარავა ყალბი სამედიცინო დოკუმენტების დამზადებისთვის. სამედიცინო დოკუმენტები, კერძოდ, ონკოლოგიური დაავადებები მაღალ ქულას იძლევა და დევნილებიც ცდილობენ, სამედიცინო საბუთები მოიპოვონ, ამასთან, ბინებს ჯურღმულებში ქირაობენ. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ სოციალურად დაუცველის სტატუსი ქულების რაოდენობაში არ უნდა შედიოდეს. დევნილი ხარ და მორჩა. საერთოდ, ეს კრიტერიუმები შესაცვლელია, ოჯახს სტატუსი უნდა მიენიჭოს, თავის რიგს დაელოდოს და დაგეგმარებაც უკეთ მოხდება, პროცესი გამარტივდება. ვნახოთ, ამ გამაფრთხილებელ აქციას რა შედეგი ექნება.

სამინისტროში დევნილები ხშირად არაკომპეტენტურობას, გულგრილობას აწყდებიან — იქ იურიდიულ კონსულტაციას ვერ აძლევენ, ხშირად გზის აბნევაც კი ხდება. იქიდან წამოსულები ჩვენთან მოდიან და შეძლებისდაგვარად ვეხმარებით. „ნაციონალების“ მმართველობის დროს, მინისტრი კობა სუბელიანი უწყების თანამშრომლებს მოუწოდებდა, დევნილები „დააბოლეთო“. სამწუხაროდ, იგივე პოლიტიკა გრძელდება.

ერთი ასეთი შემთხვევაც იყო: კენჭისყრის შედეგად, ოჯახმა ბინა მიიღო, ახალმოსახლეობაც იზეიმა, მეორე დღეს კი, სამინისტროდან დაურეკეს და აცნობეს, რომ ბინა არ ეკუთვნოდა, რადგან ერთი საბუთი სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა და ქულების რაოდენობაც, შესაბამისად, საკმარისი არ აღმოჩნდა. ბოლოს, როგორც გაირკვა, ომის ვეტერანის დოკუმენტის ნაცვლად, დევნილმა რომელიღაც პარტიის მოწმობა წარადგინა.

**— კომისიის შემადგენლობა და მუშაობა რამდენად გამჭვირვალეა?**

— კომისიაში სამინისტროს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები შედიან, თუმცა ბევრჯერ მოვითხოვეთ გასაჯაროება.

**— დევნილებისთვის საკუთრებაში გადაცემული ბინები ხარისხიანია?**

— არის პრობლემები. მაგალითად, ჯიქიას ქუჩაზე სახლს საწვიმარები შიგნიდან აქვს დატანებული, რის გამოც კორპუსში წვიმს, მაგრამ სამინისტროს ძვირი უჯდება ამ ხარვეზის გასწორება, ამიტომ თავს არიდებს. კანონიდან ამოიღეს მუხლი და თვითმმართველობა ვალდებული აღარაა, დევნილთა პირობების გაუმჯობესებაზე იზრუნოს. გამგებლისგან გაგვიგონია, თანხა კი გვაქვს, მაგრამ დევნილებს ვერ დავეხმარებით, რადგან კანონით გაწერილი არააო. გული გვწყდება, რომ დევნილთა თემა თანდათან არაპოპულარული და არააქტიური ხდება. დევნილთა საკითხი კვლევებში მესამე-მეოთხე ადგილზე არ უნდა ინაცვლებდეს. ყველაფერი ეს ნიჰილიზმს მხოლოდ დევნილებში კი არა, ქვეყნის სხვა მოქალაქეებშიც იწვევს. ვაპირებთ, პარლამენტში გავიტანოთ ჩვენი ხედვები და მოვისმინოთ, რა სტრატეგია აქვს ხელისუფლებას. ამ წლების განმავლობაში, კონფლიქტების მოგვარების კუთხით არაფერი გაკეთებულა, არადა, ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ებრაული დიასპორის გამოცდილება უნდა შევისწავლოთ, თუ როგორ დაბრუნდნენ ისინი აღთქმულ მიწაზე, შერიგების ფილოსოფია გავითავისოთ, სოციალური ქსელებით აგიტაცია-პროპაგანდა გავწიოთ. დროა, პირდაპირ დიალოგზე გავიდეთ, შუამავლების გარეშე. ჩვენი ზნეობა, სახე დოკუმენტებთან თანხვედრაში უნდა იყოს. ორჯერ ომით შევედით აფხაზეთში და ეს დღემდე ახსოვთ, დროა, რიტორიკა საქმით შევცვალოთ.

**„ქართული სიტყვა“ დევნილ მაგული ჩიქოვანსაც ესაუბრა, რომელმაც განაცხადა, რომ სამინისტროს მიერ გამოყოფილი ბინა დაპირებულს არ ჰგავს — ვიწროა, არც გაზია შეყვანილი.**

„ქირით ვცხოვრობ, წარმოდგენაც ძნელია, თუ რამდენად ძნელია ასეთი ყოფა. სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ ბინის პერსპექტივას სიხარულით შევხვდით, მაგრამ „ჰუალინგის“ ნახვისას, სიმართლე რომ ვთქვა, იმედი გაგვიცრუვდა. განცხადება შევიტანეთ და გვითხრეს, რომ ათი დღის განმავლობაში პასუხით დაგვაკმაყოფილებენ. ვნახოთ, მეშინია ისიც არ დავკარგო, რაც შემოგვთავაზეს, იმედია, არ გაგვწირავენ“.

**ნათია გოგიტიძე**

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
20-26 იანვარი | № 2 (317)
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“


პოეზია

# სტეპის ოდისეა

# მანასი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქართული სიტყვა“ 2015 წ. №41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50; 2016 წ. №1)

ყოველ ერს აქვს თავისი მთავარი წიგნი, ქვეყნის უკვდავების ნიშანსვეტი. ყირგიზი ხალხისთვის ასეთია ეპოსი „მანასი“, რომელსაც იუნესკო-მ „სტეპის ოდისეა“ უწოდა. მე-11 საუკუნის შედევრი მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ქართული სიტყვა“ პირველად გთავაზობთ პოემის ქართულ ვარიანტს, რომელიც მაყვალა გონაშვილმა თარგმნა.

ერთი დღეც იყო და მანასმა
ძმობილებს უხმო,
„რად სხედხართ ასე მოწყენილი,
უსიტყვოდ, უხმოდ?
მახსოვს, დრო იყო, თვით სიკვდილიც
მიგაჩნდათ არად,
რად ჩამოგტირით ეგ ცხვირ-პირი,
რა ნაღველს მალავთ?
მახსოვს მე თქვენი თავდადება
მშობელ მიწისთვის,
ახლა კი უკვე მშობლიური
ზეცა გვახურავს,
სხვა რაღა დაგვრჩა, ვინებივროთ,
ხშირად ვამთქნაროთ
და გადავიქცეთ ფალავნები
მუცლის მსახურად.
ეს საზარელი სიმშვიდე რად
გვექცა ჭაობად?
ფუჰ, ამის დედა,
ნუთუ სისხლი ამისთვის ვღვარეთ?
ვითომ კვლავ გვიხმობს დობულბასი
ყველას საომრად,
ცხენებს მოვახტეთ,
სანადიროდ წავიდეთ მალე!
დავაფრთხოთ მგლები,
გავიხაროთ ნანადირევით,
და ვხოცოთ ისრით გარეული
თხა და ირემი.
იქნებ ცხენებზე შესახტომად
ხელს გიშლით ღიპი?
იქნებ დაბერდით უძლეველი
ჩემი გმირები?
ეხ, შევარდენო, აკ-შუმკარო!
გცვივა ბუმბული,
რაღაც სიზანტე შეგპარვია,
მართლა ბებერო,
შენც მოგცვეთია ეგ კბილები,
ჩემო მწევარო,
შენ და შევარდენს, ჩემს ერთგულ ძმებს
უნდა გეფეროთ.
ცისკენ აიჭრა აკ-შუმკარი,
დაჰქრის მწევარი,
მუხლებში ძალა კვლავ ჩაუდგათ
მამაც ფალავნებს
და ერ-მანასმაც, ვით ბრძოლისას,
ისე დასჭექა:
თქვა: — მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ღმერთი გფარავდეთ.
ყველა ისარი მიზანს მოხვდა,
როდი გაცუდდა,
ითვლიდნენ დაჭრილ ნიამორებს,
თხებს და არხარებს,
ხუმრობს მანასი:
— მე მეგონა, მართლა დაბერდით,
თქვენი სიმარდე, მებრძოლებო,
როგორ მახარებს.
ტალასის პირას ჩამოსხდნენ და
დაანთეს ცეცხლი,
თან მწვადებს წვავენ,
თანაც თვალი უჭირავთ გზისკენ.
უცებ დალანდეს, ვინმე უცხო,
მარტოდ მავალი,
ცხენებს მოახტნენ ჯიგიტები,
გაკურცხლეს მისკენ.
— ვინა ხარ? — ჰკითხეს —
ამ მხარეში რას იარები?
— მე ვარ ჩინელი,
მომაქვს გული ნაიარევი.
— თუ ჩინელი ხარ,
ჩვენთან მოსვლას აქ როგორ ბედავ?
— თქვენიანი ვარ,
მე გამზარდა ყირგიზმა დედამ.
ბიძაჩემია ალოოკე
თქვენი მოსისხლე,
აზიზი ჰქვია, ჯიგიტებო,
ჩემს მშობელ მამას.
მტრად მექცა ჩემი საკუთარი
მამა და ბიძა,
რომ არ დაგღალოთ,
მოკლედ გეტყვით: მე ვეძებ მანასს.
მას მოვახმარო მინდა ჩემი
ცოდნა, ძალ-ღონე,
მას ვემსახურო მთელი გულით,
მთელი არსებით.
ხომ არ გგონიათ
ალოოკე მართლაც ძმად გექცათ,
უნდა იძიოს თქვენზე შური,
თქვენ კი რას ელით?
სხვა რაღა გითხრათ?
ალმანბეტი მქვია სახელად.
ოცდარვა წლის ვარ
და ათასი ვნახე სიავე,
გამოვექეცი სიძულვილის
ათას მდინარეს,
ათასი ველი,
ათასი მთა გადმოვიარე.
თქვენთან მოვედი,
თქვენ ხართ ჩემი ბოლო იმედი,
თქვენთან მოვედი,
ჩემი ბედი აქ უნდა ვცადო,
მე ერ-მანასის სიცოცხლისთვის
თავს არ დავზოგავ,
ვეთაყვანები,
თუკი მანაც მიმიღო ძმადო.
და გოლიათი ერ-მანასი
ძლიერ მოხიბლა.
უცხო ვაჟკაცის გულწრფელობამ,
ქცევამ, იერმა,
და გაახსენდა უცნაური
ღამის სიზმარი,
თაყვანის ნიშნად
დაუჩოქა სპილომ ძლიერმა.
და ერ-მანასმა
ასე ჰკითხა მონადირეებს,
რა გადავწყვიტოთ?
უცხოს ნდობა მაინც ძნელია,
ის ყირგიზია დედის მხრიდან,
ანუ ჩვენი ძმა,
მაგრამ ჩინელი არის მამით,
ანუ მტერია.
მას ერ-ბაკაიმ უპასუხა,
მისმინე, მანას,
კაცის შეცნობა თუმც ძნელია,
მე გული მიგრძნობს,
რომ ალმანბეტი წრფელია და
ალალმართალი,
ერთი ლომგულიც ჩვენს ამქარში
მივიღოთ, ვიძმოთ!
და გოლიათმა უთხრა სტუმარს
— მე ვარ მანასი,
შენთვის აძგერდა, მეგობარო,
გული ხალასი,
მე ძმობის ნიშნად მომიცია,
ჩემო ალმანბეტ,
ჩემი მახვილი,
მჭრელი, ბასრი, როგორც ალმასი.
გადაეხვივნენ ძმობილები
ერთმანეთს ტკბილად.
და გაიშალა სუფრა,
იყო ლხინი, ღრეობა.
მოდუდუნებდა ტალასი და
მოიმღეროდა,
სულგანაბული მას უსმენდა
მთელი ხეობა.

### მანასის დაქორწინება კანიკეიზე

გმირთაგმირი ერ-მანასი
ოცდაათი წლისა არის,
თავს ევლება ორი ცოლი,
ორი ქალი მზის სადარი.
კარაბორკი ნარგიზსა ჰგავს
ედემ ბაღში მოშრიალეს,
არაფერი შეედრება
აკილაის ვარსკვლავ თვალებს.
და ორივე მანასს ეტრფის
და ორივე ვნებით უმზერს,
მაგრამ მაინც ჩვენს გოლიათს
მოსწოლია დარდი გულზე.
ორივ ერთად ანებივრებს,
უმსუბუქებს დევგმირს უღელს,
თუმცა მანასს ამ ცოლებმა
ერთი ვაჟიც ვერ აჩუქეს.
უთხრა ერთხელ ალმანბეტმა
არ გაკლია მანას ლხენა,
ორი ცოლი შემოგხარის,
მაინც დარჩი მარტოხელა.
კარგად ვიცი, ნადავლივით
მოიპოვე შენ ცოლები,
ვხედავ, გულში დარდსა მალავ,
გიყურებ და მეცოდები.
კანონიერ ცოლ-ქმრობისთვის
წესი ითხოვს თქვენგან ყალიმს,
შენ კი მძევლად გაგატანეს
მზის სადარი ორი ქალი.
გინდა ათიც გყავდეს კიდევ,
უშვილობა გრჩება დარდად,
იქნებ ღმერთი შემოგიწყრა,
რომ არ იცავ წესს და ადათს.
ალმანბეტის დარიგება
ჭკუაში დაუჯდა მანასს,
„ჩემს წინაშე ვალი გადევს,
რად არ იხდი?“ — ჰკითხა მამას.
„დაგვიწყნია წინაპართა
წესები და სამართალი,
ნუთუ ისე გაგიჭირდა,
რომ ყალიმის არ გაქვს თავი.
იქნებ ლხინით, ოქრო-ვერცხლით
მოიყვანე შენი რძალი?
კაიიპი, ბრძოლით დაღლილს,
მე მაჩუქე, ვით ნადავლი.
ნეტავ ყალიმით გვეთხოვა
ამ ორიდან ერთი მაინც,
შოორუკმა კუნუდ მოგვცა
მშვენიერი აკილაი.
რადგან არც კი ზრუნავ ჩემზე,
ვრჩები ბედის მოიმედე,
რატომ გინდა, ყირგიზები
პატივსა და თაყვანს გვცემდნენ.
თუკი რამე არ ვთქვი სწორად
შემინდე და მაპატიე,
სასურველი, გონიერი
რძალი თავად შეარჩიე.
იყოს მშვიდი, მშვენიერი
ამ ჩვენს ოჯახს შუქსა ჰფენდეს,
ომში მისთვის ვმამაცობდე,
სახლში გული მომიწევდეს.
ლხინში იყოს ზომიერი,
გაჭირვებაც მოითმინოს.
გაამრავლოს ჩვენი ჯიში
და ბოკვერი გამიჩინოს“.
„აქამდე რას ვუყურებდი?
მე ბადიში თავად მინდა,
იქნებ ფიქრობს ჩემი ვაჟი,
ეს სიძუნწით მომივიდა“.
ჩამოღონდა ჟაკიპბაი,
საკუთარ თავს შეუკურთხა:
„თუკი მართლა მიყვარს შვილი,
იმის ბედზე თუკი ვწუხვარ,
ადათი რამ დამავიწყა,
დავბერდი და გამოვშტერდი,
ნუთუ მართლა არ მაწუხებს,
ერთადერთი შვილის ბედი.
რისთვის მინდა ფარა-რემა,
სკივრი სავსე ბეწვეულით,
ზარდახშები — ლალ-ალმასით
ოქროთი და ვერცხლეულით.
ნეტა, რისი მაქნისი ვარ,
რად ვედები ღობე-ყორეს,
თუკი, როგორც ადათია,
ჩემს ვაჟს ცოლი ვერ ვუთხოვე.
გულზე დარჩა ნახმლევივით
შვილის მწარედ ნაუბარი,
ცხენს ხურჯინი გადაჰკიდა,
გზას დაადგა ჟაკიპ-ბაი.
საპატარძლოს საპოვნელად
მიიჩქარის ბაი რაშით,
გაიარა სამარყანდი
და შეჩერდა ბუხარაში.
მისი ძველი მეგობარი
აქ ალიმი ქალაქს მართავს,
ის შეურჩევს საპატარძლოს,
ჟაკიპს ხელს ის გაუმართავს.
უთხრა: —„ჟაკიპ, ვიცი კარგად,
შენი ვაჟი არის გმირი.
ამ ქალაქის მფლობელია
უძლეველი ატემირი.
შენი ვაჟის შესაფერი
სწორედ მას ჰყავს ქალიშვილი.
მისებრ ნაზი, მშვენიერი,
არ მინახავს სხვა ასული,
თითქოს თავად ქალღმერთია
ამ მიწაზე ჩამოსული.
მის ცოლობას ბევრი ნატრობს
უამრავი ჰყავს მთხოვნელი,
ნეტა იმას, ვისაც ელის,
მისი გული, მისი ხელი.
სიხარულით გიმასპინძლებთ
გულმოწყალე ატემირი,
კარგად იცის, თუ ვინ არის,
ერ-მანასი, თქვენი შვილი.
იცის, როგორ გაუმართლა,
მან მშობელ ხალხს იმედები,
იცის, როგორ გააძევა
ფერღანადან ჩინელები.
თქვენი მოსვლა ბუხარაში
დასტურია ბედისწერის,
თქვენთან დანათესავება
ვიცი, გაახარებს ემირს“.
მიიწვია სასახლეში
ატემირმა ჟაკიპ-ბაი,
და დაუწყეს ერთურთს ტკბილი
მოკითხვა და საუბარი.
ატემირმა უთხრა მოხუცს,
მანასს სიძედ ვინ არ ნატრობს,
ნეტავი რა დააბერებს
უძლეველი შვილის პატრონს.
კარგად ვიცი, ჩემგან მანასს,
უარი არ ეკადრება,
მაგრამ ჩემი ქალიშვილი
ჯიუტია, უკარება.
ასე ამბობს, თუკი საქმროს
არ მაჩვენებთ ქორწილამდე,
თავს წამითაც არ ვიცოცხლებ,
კლდიდან უნდა გადავვარდე.
ისე, სანი მართლაც მზეს გავს,
ან რად მინდა მისი ქება,
თქვენი ვაჟი ბუხარაში
ჩამობრძანდეს, რა იქნება.
დავანახოთ ერ-მანასი,
შევუსრულოთ ნატვრა სანის,
თქვენი შვილი ჟაკიპ-ბაი,
ღირსეული საქმრო არის.

●

ჟაკიპ ბაი ტალასს მოდგა
ჭაბუკივით ქაჩავს თვალებს,
ჩემო მანას, ქალს გაგაცნობ,
სახე-პირი უგავს მთვარეს.
ამაყი და უკარება
ასულია ატემირის,
ვინც კი ერთხელ დაინახავს
სიყვარულით ოხრავს, ტირის.
სასახლესთან მთხოვნელების
უთვალავი უდგას ჯარი,
ის ბუხარის თვალია და
ლამაზების დედოფალი.
გინდ მიართვა ოქრო-ვერცხლი,
გინდ იხმარო ძალი, ღონე,
ცოლობაზე უარს გეტყვის
თავი თუ არ მოაწონე.
„მაშ, გამაგრდი, ერ-მანასო“
ქილიკობენ მეგობრები,
„მიდი, ტანი დაიბანე,
დაივარცხნე კარგად თმები.
ტანთ ჩაიცვი აბრეშუმი
თავზე ქუდი დაიხურე,
ქალს თავბრუ რომ დაახვიო,
ვარდის წყალიც დაიპკურე.
ახლა სურას სულ ნუ დაცლი,
ცოტა ცოლსაც შეუნახე!“
და იცინის ერ-მანასი
უნათდება მკაცრი სახე.
შეაგროვა დევგმირები
თავის ერთგულ ამალაში,
პაპანაქება სიცხეში
მიბრძანდება ბუხარაში.

№ 2 (317)
20-26 იანვარი
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# პატრიოტის აღსარება

## აკაკი წერეთელი



ვინ სთქვა, რომ მე, პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს!.. ეტყობა, ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... უდროოდ უვლია!.. აბა, თქვენი ჭირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი ცარიელია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტობაა?!

არა... იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამა-პაპურად ფეხმორთხმულს, წინ მიფენია ქართული სუფრა მაისის სასადილო სამკაულებით: ცხელ-ცხელი პურები, ცივი ღვინო, აქა-იქ ახირებულად მიყრილ-მოყრილი მწვანილი, ახალი თევზი, მოთალი, ზედ ტარხუნით თავწახურული, საიდანაც ის შეჩვენებული ძროხის მოსაკითხი ისე გამოიყურება, თითქოს პირს სიცილით ეუბნებოდეს: „გამიღე კარები, კბილები მიჩვენეო“ და იმავ დროს მოშუღლული ტარხუნაც ზევიდან დასჩურჩულებდეს: „სად მიდიხარ? ვერ გაგიშვებ! იქაც ქვეშ უნდა მოგიქციო და თავზე დაგაწვეო! სადაც ჩახვალ, მეც მაშინვე იქა ვარო“ და სხვა. აი დრო, როდესაც ჩემს გულში ილვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობით!..

განა შემიძლია შუშხუნა მწვადის ყურება ისე, რომ პირი პატრიოტული ნერწყვით არ მევსებოდეს? როდის გადამიკრავს კახური ღვინო ისე, რომ ჩვენის წინაპრების შესანდობარი არ ყოფილიყოს? ჯერ კიდევ შუა სმაშიაც არა ვარ ხოლმე, რომ ჩემი ქვეყნის მტრები თვალწინ მელანდებიან და მაშინ მეც თავი ველარ შემიმაგრებია, გაბრაზებული ზევით ჭერს ქუდსაც ვკრავ ხოლმე და ძირს სუფრაზე წითელ ღვინოს ვანთხევ.

დიახ!.. ამგვარად ხშირად აღვძრულვარ, აღვშფოთებულვარ და მაშ ვისღა შეუძლია სთქვას, რომ მე პატრიოტი არ ვიყო? არა თუ დღეს, როდესაც დიდი ბობოლა შევქმნილვარ, ადრე, ჭიაობაშიაც, გულით ვმამულიშვილობდი, თუმცა ამის გამოცხადებას კი სიტყვით ვერ ვბედავდი და საქმით ვერ ვახერხებდი.

და ან კი რა გამოვიდოდა გამოცხადებით? პატარაობაში რა გასავალი ექნებოდა ჩემს სიტყვებს? და დღეს, დიდკაცობის დროს კი, აღარ შემფერის ამჩატება!.. ახლა რომ პატრიოტულ ალიან-ჩალიანებს გამოვუდგე, არ იტყვიან: ე რა წვრილმანებს გამოსდგომიაო?

დიახ! იტყვიან და შემარცხვენენ!.. არა, არა!.. უდროოდ არა ვარგა რა!.. მოვუცდი ისევ იმ დროს, როდესაც ეს ორივე, დიახ საფუძვლიანი და თავის გასამართლებელი, მიზეზი თავისთავად მოისპობა და მაშინ გამოვაჩენ ჩემს მამულიშვილობას!

მესაყვედურებიან: „თუ შენ პატრიოტი იყო, შენის ქვეყნის მზეთუნახავს არ დააგდებდი და სხვისას არ დაუწყებდი ტრფიალსო!..“ მაგრამ სცდებიან!.. რა იციან, თუ ჩემ გულში რა არის? აქ ანგარიშია, და ანგარიშს ჭკვიანი როდის გაქცევია? ჩემის ქვეყნის მზეთუნახავი ღარიბია! თვითონ რა აქვს, რომ მე მარჩინოს? რა ჰმოსია, რომ მე ჩამაცვას? რა შეუძლია, რომ გამაძლიეროს და თვითონ რა სახელგანთქმულია, რომ მე გამომაჩინოს? და უცხო ქვეყნის მზეთუნახავი კი ამაების ყველაფრის შემძლებელია! აი რისთვის ვეტრფი მას! და აი რად მიყვარს!..

აბა, ამ ბედში ჩააგდეთ ჩემი ქვეყნის მზეთუნახავიც და მაშინ ნახავთ, თუ ვისმე დაგაცადოთ მისი ტრფობა!! მაშ უსაფუძვლო ყოფილა საყვედური! დიახ, პატრიოტი ვარ, ვყოფილვარ და ვიქნები!.. ოღონდ თქვენ კი წინააღმდეგი მიზეზები მომაშორეთ!.. არ შეგიძლიათ? მაშ რაღას მესაყვედურებით? რაღას მთხოვთ, კოლო-ბუზებო?

რა გამოდის ამ თქვენის ბზუილით, კოლო-ბუზებო? და რას არიგებთ თქვენის იქააქ თრევით, ჭიანჭველებო!

ეჰ, ვაი იმ დროს, როდესაც თქვენ გაჩენილხართ!.. თქვენ თქვენის უხეირო საქციელით ჩვენ, ბობოლებს, მხოლოდ პატრიოტულ მადას გვიფუჭებთ!..

ერთი მომიტანეთ ჩანგი, რომ ავაჟღერო, და სევდა გავიქარვო.

### ბობოლების ბაიათი

კოლო-ბუზო! ჭიანჭველო!
ქუდმოხდილო, ფეხშიშველო!
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,
როგორ გინდა სხვებს უშველო?
ეგ ბზუილი შესაზარი
არავისთვის აღარ არი!
ერთი სიო სულ გაგფანტავსთ,
ზღვაში ჩაგყრით ზენაქარი.
აბა სად გაქვსთ, გვითხარ, ღონე,
რომ დაჰფრინავ თავმომწონე!
გულით გირჩევ: შენცა ჩემებრ,
სდუმენ, ძალას დაემონე!
დაგარიგებ შესაბრალსა,
მით ვასრულებ ჩემსა ვალსა.
დამიჯერე, არ გატყუებ
მიმავალი მომავალსა!
თვარა, ჩემო ჭიანჭველო,
ქუდმოხდილო, ფეხშიშველო!
შენს თავს რომ შენ ვერ არგიხარ,
როგორ გინდა სხვებს უშველო?!

მაგრამ... ჩუ, ეს რა მესმის: კოლო-ბუზებიც პასუხს მაძლევენ! - ხა! ხა! ხა! აბა, დავუგდოთ ყური! მოვისმინოთ მათი ბზუილიც - კარგს კილოზედაც იბზუვებენ!.. ხა! ხა! ხა! ხა! ხა! ხა!

### კოლო-ბუზების პასუხი

მიმავალო, მშვიდობით!
აწ დრო არის მოგვშორდე,
ძველ დროს გამოეთხოვო,
ახალ დროს გაუსწორდე!
თუ რომ გული წმინდა გაქვს,
თუ რომ არ ჰგრძნობ რაღაც შიშს
მომავალთან, ვინა გთხოვს
ან რჩევას, ან ანგარიშს!
შენ რომ გზა გაგივლია,
ის ჩვენ აღარ გვარგია;
და ის ჩვენთვის ცუდია
რაც რომ თქვენთვის კარგია!
კოლო ვართ, თქვენ - ბობოლა!..
მაშ ჩვენ ვინ გაგვატოლა?
ჩვენ ბზუილი შეგვშვენის,
თქვენ - გვერდზე წამოწოლა.
თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა,
არა გვაქვს რა საერთო
მის მეტი, რომ ჩვენს კვნესას
თქვენგან ცილიც დაერთო!
თქვენი გზა თუ კარგია,
ღმერთმა თქვენ მოგახმაროს,
და ჩვენ კი იმავ გზისგან
საწყლები დაგვიფაროს!
ჩვენ, ქუდმოხდილ-ფეხშიშველებს,
არ გვიდრკება გულები,
სანამ თვალწინ გვიდგიან
პირველმოციქულები!..
თქვენ კი ფრთხილად იყავით!
მიჰბაძეთ ფარისევლებს,
დაგვქოლეთ და დასცინეთ
გაუსხლეტელს ჩვენს ცრემლებს!..
ზღაპრად თქმულა, რომ დიდ ლომს
კოლო არ შეუშინდა
და კიდეც დაამარცხა,
ცხვირში რომ შეუფრინდა!
და ბობოლას ომი კი
არვის გაუგონია!..
ის სხვას უქსოვს სამოსელს
და მით თავმომწონია!
ჩვენ ბუზები გახლავართ,
თქვენ ბობოლა ბრძანდებით!
მაგრამ რად იგვიანებთ?
რატომ არ წაბრძანდებით?
მიმავალნო, მშვიდობით!
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად სწუხდებით რჩევისთვის?
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზას და კვალს!..

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317) | 7

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

## ახალი ლექსები



### ვკითხულობ სურათს

*ვლადიმერ კანდელაკს*

ამაოდ დამშვრალა დრო-ჟამთა —
აღმწერის ათასი ფურცელი,
ეპოქის ჭირ-ვარამს სურათზე
ვკითხულობ, თვალნათლივ ვუცქერი.
მხნედ დგანან ქართველნი მზე-მთვარით —
ნაფერნი, და ბევრის დამთმენნიც,
ნეტარი ილია მეორე —
მიუძღვის აღვსილი ნათელით...
მაღლდება უფლისა მლოცველნი
ძირძველი ტაძართა ფრესკები,
მომენთო მზისებრ და სიამედ,
ვერ მზარავს წუთები ქვესკნელის.
ღვთის მადლით ამავსო ნატიფთა —
მშობლიურ ფერების ფერებამ,
უფალო! მოგვასწარ მამულის —
თენება! თენება! თენება!

### იქნება ქვეყნად

სულს მიელვარებს საერო სიტყვა —
რაცკი ოდესმე
მამულში ითქვა...
და რაც შემდეგში ითქმება სწორედ,
ათიათასჯერ
კვლავ ვიმეორებ:
იქნება ქვეყნად ქართული ლექსი,
ქართველი — უკვდავ
ჯიშით და ფესვით!

### სული

სული სინჯავს სავალ ბილიკს ცისკენ,
ვერვინ შესძლო მზესთან ახლო წვდომა,
ჩუმი ლოცვით ხელებს ღვთისკენ ვიშვერთ,
წმინდა გული უფალს მიენდობა.
ვიყავთ მარად მძლევნი სიმაღლენის,
სულის განძი შეგვინახავს მთა-მთა,
სმენა ტკბება ზენაარის ენით —
ციდან ცისკრის საგალობელ ხმათა.
ქართულ გენში ბუდობს რთული ნება,
ნეტარია სულის არსი სრული,
არ არსებობს — აქ სხვაგვარი გზნება,
არ არსებობს — გრძნება სხვა სისრულის.
..........
სული სალკლდე — გასაძლისი კაცის, —
უკვდავების მარადიულ განცდით.

### ქალი

ჩვენ მივყვებოდით ნისლისფერ ჭმუნვით
(სიკვდილს არ შველის თითზე კბენანი!..)
შვილს აცილებდა ცრემლით მდუღარით
დედა და მისებრ ვწუხდით ყველანი.
ურყევი ნების, ძალის მფლობელი —
მედგრად შემტევი ბედის, ავბედის,
აი, ვინ არის დედა — მშობელი
ცრუ წუთისოფლის მძლევი თავხედის.
ქალი — ზნეობა, ქალი — სიმტკიცე,
ქალი — სახება სიწმინდ-სიმორცხვის,
ის ბრუნდებოდა უდრეკ ლეგენდად
და გაგრძელებად კაცთა სიცოცხლის...

### მარადისად

ცისკრის ცვარნი დედის თვალთა ცრემლია,
მზის ნათება მამის მზერა კრძალული,
ბროლის თასით ნეტა არ დაგველია —
სიყვარული, გულდამწველი მამულის.
ციურ მნათობთ ახლობელი ფერია —
ვაზის ლერწი, მიწით ზეცად ასული,
მათი გზნების ნატერფალი გვშთენია —
მარადისად, ჩვენი საწყის-სასრულის!..

**რედაქციისაგან:** ვინაიდან „ქართული სიტყვა" ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, წინამდებარე ლექსსაც სწორედ ამ მოტივით ბეჭდავს, თორემ რედაქციის პოზიცია ლექსში გამოთქმული აზრისგან რადიკალურად განსხვავდება!

### სტალინი

*ერთი ტელეინტერვიუს გამო*

ვიცი, სტალინელობას ზოგიერთი მომაწერს,
მე არც დიპლომატი ვარ და არც — პოლიტმოღვაწე,
არ ვყოფილვარ მეხოტბე, არც მოძულე ვყოფილვარ,
მაგრამ მისი სიდიდე საამაყოდ მყოფნიდა.
მე არ შემწევს სტალინის შეფასების უნარი,
არც მგონია, დღეს ვინმე ამის შემძლე თუ არის.
ზოგი აქებს, ადიდებს, ზოგი კიდევ, პირიქით,
არ თავდება მის ირგვლივ ხორხოცი და ქილიკი.
გამოდიან გაზეთით, რადიოთი, ტელეთი
და გაჟღინთეს ძაგებით ჰაერი და ხმელეთი.
ურცხვი ცილისწამება ისე ბლომად დახვავდა,
ანტისტალინელებიც სტალინელი გახადა.
სიძულვილი პირადი ზოგს იმდენად აბრმავებს,
სამოცი წლის შემდეგაც ყველაფერს მას აბრალებს.
როცა ველარ წვდებიან მის ჭკუას და გონებას,
თავიანთი აზრების იქცევიან მონებად.
თვითონ სვამენ შეკითხვებს, პასუხობენ თვითონვე
და თავიანთ აზრებზე ხელებს თვითონ ითბობენ.
ზოგი ულვაშს უწუნებს, ზოგი — ქუდს და გალიფეს,
ყველა სიკეთისაგან გაძარცვეს და გაყვლიფეს.
ვინც იქცევა ამგვარად, ძუით არის სათრევი,
სავალალოდ, ამ ჰანგზე აღიღინდა ქართველიც.
ზოგი ებრძვის ისეთი, რომ მოკვდები სიცილით,
არც სინდისი აწუხებს, არც სიწითლე სირცხვილის.
შეაღოლდა ათასი უვიცი და თავხედი,
ანტიქართულ ილეთზე გაწვრთნილი და ნახედნი.



ვიდრე იყო, იცხოვრა ჯარისკაცის შინელით,
უზრუნველი კალთის ქვეშ არ უზრდია შვილები.
ვიდრე იყო ცოცხალი, ტაშში გვყავდა ყელამდი,
ვაღიარეთ წმინდანად და გავხადეთ ბელადი.
ვიდრე იყო ცოცხალი, ვეძახოდით დიდ სტალინს
და პირადი ცხოვრებით, მართლაც, იყო კრისტალი.
როცა რამე გვიჭირდა, ვეძახოდით მამასაც,
მივიჩნევდით იმედად და თავს ვგრძნობდით მამაცად.
მივუძღვენით ურიცხვი ლექსი, ძეგლი, ფერწერა,
მერე მოვსპეთ თვითონვე, — ალბათ, ბედად ეწერა...
ზოგიერთი ტვინცხელი აღარ იშლის თავისას,
სიძულვილის მაცილი თავზე თვითონ დაისვა.
სიცოცხლეში სტალინის ქება-ხოტბით იცხოვრეს,
დღეს კი, ლანძღვით ცხოვრობენ, ესეც უნდა ვიცოდეთ...
როცა მოკვდა, თუ მოკლეს, უმალ ზურგი ვაქციეთ,
შინაური, გარეშე უმოწყალოდ ვაცინეთ.
ალბათ, ესეც განგებამ ჩვენს სასჯელად ინება,
რომ უზნეოდ დავიწყეთ თბილი ცხედრის გინება.
დავიწყეთ და ვაგრძელებთ, ყველა საზღვარს გადავცდით,
დამანახეთ, ჩვენსავით ვინ ექცევა გარდაცვლილს?
იყო კაცი, იცოცხლა, იცხოვრა და წავიდა,
ჩვენ კი, ღდინში ჩავსდიეთ, არ ვასვენებთ წამითაც.
არც კი გაცივებულა, შევესიეთ არქივებს,
ამოვქექეთ ნაგავი, გავსვარეთ და გავქირდეთ.
ვინ გაიგებს, ვინ ვისას ასრულებდა დაკვეთას,
კაციშვილმა არ იცის, მაშინ ვინ რა აკეთა.
როცა ლანძღავ, აძაგებ, ან აქებ და თავს უხრი,
კაცი ქვეყნად არ არის, როგორ გაგცეს პასუხი?
აღარ არის! — ჩავძახი, ვინც კი დღემდე ყრუ არის,
საქმე როგორ ვარჩიოთ მართალის და მტყუანის?!
შეიძლება, ვერ იტან კერპებსა და ბელადებს,
მაგრამ მათ შეფასებას შენ ვერ უნდა ბედავდე!
სტალინს როგორ უკრძალავ, გორში ჰქონდეს საძვალე,
შენს პიროვნულ სიძულვილს ან სხვას როგორ აძალებ?
რატო დამიჭირაო, რომ ინთები ალივით,
მეტი საქმე არ ჰქონდა, შენ დაგსდევდა სტალინი.
უცოდველი კრავივით რომ მოყევი იგავი,
ჩვენ რა ვიცით, იქნება, დასახვრეტი იყავი!
სხვათა ცოდვებს ივიწყებ, სტალინის კი გაშინებს,
რატომ მათ არ ახსენებ, ვინც ადგენდა შავ სიებს?
რატომ მათ არ გაგვაცნობ, თუნდაც გვარის მოცემით,
იქნებ, ის ჯალათები დღესაც გყვანან ცოცხლები?
ვერ გაგვაცნობ, რადგანაც გეშინია იმათი,
ხოლო გარდაცვლილებთან საკუთარ თავს გმირად თვლი.
კაშპიროვსკი არ იყო და არც კიდევ მესინგი,
ჰიპნოზით რომ დაეცვა კანონი და წესრიგი.
იყო მკაცრი, მომთხოვნი, მოწყალე და უხეში,
უშიშარი... ომის დროს არ ჩამძვრალა ბუნკერში.
ფეხზე ეგებებოდნენ კრძალვითა და ტაშისკვრით.
თავის დედაბუდეში ამოძირკვა ფაშიზმი.
ომის გრძელი გზა-კვალი გამარჯვებით გაკვალა,
ნუთუ, ერთი კაცისთვის უკვდავებად არ კმარა?
ნუთუ გადაგვავიწყდა, როცა ვსპობდით ფაშისტებს
და, სტალინის სახელით, ვვარდებოდით ტანკის ქვეშ?
დავიწყება ყველაფრის ზეციერმა გვაშოროს,
აღარ გვახსოვს ძახილი: „სტალინი და სამშობლო"?
ფასი ჰქონდა მის სახელს შიგნითაც და გარეთაც,
არ ყოფილა პრობლემა, თავის სიტყვა არ ეთქვას.
შეიძლება, აზრები დაემთხვეს და გაიყოს,
არვინ ამბობს, სტალინი უცოდველი არ იყო.
მსხვერპლითა და შეცდომით ცნობილია წარსული,
უამისოდ მანახეთ ვინმე ტახტზე ასული.
ჩვენ კი, გაუთავებლად ავიჩემეთ საკბილოდ,
გვინდა, ქვეყნის ცოდვები ერთადერთ კაცს ავკიდოთ.
ნუ ვივიწყებთ იმასაც, ჭარმაგი და ყმაწვილი,
მისი ბიოგრაფიის რომ ჩვენცა ვართ ნაწილი.
ჩვენ ვიკითხოთ, ზოგ-ზოგი სიცოცხლეში რომ ვკვდებით,
ჩვენდა საუბედუროდ, ჭკუითაც რომ ვმოკლდებით.
თორემ, სტალინს რა უჭირს, ალბათ, დაჰყვა აკვნიდან,
უკვდავების კვარცხლბეკზე ავიდა და დამკვიდრდა.
მუზეუმებს უხსნიან სუსლოვებს და ხრუშჩოვებს,
ჩვენ კი, სტალინს მამულში საფლავი ვერ ვუშოვეთ.
არის ბრძნულად ნათქვამი, ჩემს ნათქვამად არ ვრისკავ,
ყველა ვალდებულია, მოუაროს თავის მკვდარს!
მე თუ ვინმე მკითხავდა, ამის ბედი ვინ მომცა,
ჩემი მიცვალებული მირჩევია სხვის ცოცხალს...
ვიმეორებ: მე არ ვარ დიპლომატი-მოღვაწე,
ვიცი, სტალინელობას ზოგიერთი მომაწერს,
მაგრამ ცილისწამება ისე ბლომად დახვავდა,
ანტისტალინელებიც სტალინელიც გახადა!
რომ გიყვარდეს ან გძულდეს, ამ უფლებას ვინ გართმევს,
მაგრამ ვერ გაექცევი ისტორიულ სიმართლეს!
შენ კი, მოჩვენებები დღემდე აღარ გასვენებს,
მაპატიოს სტალინმა შენს გვერდით რომ ვახსენე.
იმ შენს ინტერვიუზე მსურდა, ზოგი რამ მეთქვა,
კმარა, უნდა დამთავრდეს ორთაბრძოლა გვამებთან!

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გალაკტიონ ტაბიძე

უმრავლესობის ტრიბუნა

# „ბიძინა ამ პროცესებში შიგნითაა!.. ის ალღოიანი კაცია, შეუძლია, კარგად დაალაგოს პერი პეტიები!“

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას საგურამოში, ჭავჭავაძეების მარანში გამართული ცნობილი შეხვედრის მეორე დღეს შევხვდი. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციიდან დაპირისპირების შესახებ ბევრი არასასიამოვნო ხმა გამოდის, პარლამენტარი ამ ხმაურს მხოლოდ წინასაარჩევნო ფორიაქს უწოდებს და განსაკუთრებულს ვერავის ხედავს.**
**სამაგიეროდ, განსაკუთრებულად ეჩვენება პროვოკაციები, რომელსაც ოპონენტები „ოცნებას“ ყოველდღიურად უწყობენ. ქანთარიასთვის საარჩევნოდ გამზადებული „სნაიპერული ცილისწამებაა“ „გაზპრომთან“ დაკავშირებული ამბები და ე.წ. კობახიძე-ბესელიას სკანდალიც... ქანთარია არ ამბობს, თუ ვინ დგას ამ მოვლენების უკან, მაგრამ ბევრს საუბრობს იმაზე, თუ ვის შეიძლება აწყობდეს ასეთი პროვოკაციები... „ქართული სიტყვა“ ნუკრი (ალექსანდრე) ქანთარიას ესაუბრა**



## ნუკრი ქანთარია „ოცნებაში“ დაძაბულობას ადასტურებს?!

**— ბატონო ნუკრი, მოდით, საუბარი საგურამოს შეხვედრით დავიწყოთ. მართლა ძველით ახალი წლის შესახვედრად შეიკრიბეთ თუ პოლიტიკური გეგმები დასახეთ?**

— მეუღლეებთან ერთად, კონსულტაციები ვერ გაიმართებოდა. ასე რომ, ეს იყო ფრაქციის შეხვედრა ლიდერებთან, რომელსაც ორივე ყოფილი და მოქმედი პრემიერიც ესწრებოდა. სხვათა შორის, ასეთი შეხვედრა პირველად გაიმართა და ეს იყო ადამიანური შეკრება, დაცლილი ყოველგვარი პოლიტიკისაგან.

**— სამაგიეროდ, წინ დაძაბული დღეები გელით. ყოველ შემთხვევაში, კოალიციიდან გამუდმებით გამოდის ხმა, რომ სიებთან დაკავშირებით დიდი არეულობაა. რეჟისორი ხართ. თქვენი სფეროს წარმომადგენელთა ნახვა კი, მომავალ პარლამენტში ირაკლი კობახიძეს აღარ უნდა...**

— როცა ახალი საარჩევნო პერიოდი იწყება, ბუნებრივია, რომ ის წინა წლებიდან განსხვავდება. ამ პროცესს გარკვეული ფორიაქი ახლავს და ეს გარედანაც ჩანს ხოლმე, მაგრამ რამე განსაკუთრებული, რაზეც შეიძლება აქცენტი დავსვათ, არ ხდება. ხშირად განიხილავენ საკითხებს, რამდენი სუბიექტი იქნება კოალიციაში, ხომ არ დააკლდება, დაემატება და ასე შემდეგ. ამ ეტაპისთვის ამის გამოკვეთილი ნიშნები არ არის.

**— ანუ, კოალიციას არავინ დატოვებს და არც არავინ შემოემატება?**

— თუ ვინმეს აქვს ამბიცია და ფიქრობს, რომ მარტო შეძლებს ამომრჩევლის დარწმუნებას და პარლამენტში მოსვლას, შეიძლება, გავიდეს, მაგრამ ასეთი რამ ჯერ გამოკვეთილი არ არის.

**— ვინ იქნებიან სიაში? მოუწევთ თუ არა სპორტსმენებსა და ხელოვნების წარმომადგენლებს პარლამენტის დატოვება?**

— ამაზე ბევრი ითქვა და მგონია, რომ ეს თემა გაზვიადებულია. ირაკლი კობახიძესაც ისეთი არაფერი უთქვამს. უბრალოდ, თქვა, ჭარბად არიან პარლამენტშიო. პარლამენტში ჭარბად არც სპორტსმენები უნდა იყვნენ, ეს არც იურისტთა კანტორაააა და არც — ხელოვანთა კავშირი. ეს არის წარმომადგენლობითი ორგანო და მისი წევრების რაოდენობა დაბალანსებული უნდა იყოს. როგორც აღმოჩნდა, პარლამენტში ხელოვნებისა და სპორტის წარმომადგენელი სულ ათი კაცი ვართ, ყველა საკმაოდ ცნობილია და ადამიანებს თვალში ხვდებათ. როგორც უმცირესობაში, ასევე, უმრავლესობაშიც მოინახება ხალხი, რომლის არც პროფესია იცის ვინმემ და, ძნელია, სახელი და გვარითაც გაიხსნონ, მაგრამ რატომღაც ირაკლი კობახიძის განცხადებაზე მოხდა ჰედალირება. არადა, ვფიქრობ, ამაზე განსაკუთრებული არაფერია.

**— პარლამენტში ისეთებიც გყავთ, რომლებიც მხოლოდ პულტის გამომყენებლები არიან. მაშინ, როცა ეს საპარლამენტო სია დგებოდა, სხვა რეალობა იყო. ახლა სხვა დროა და ხელისუფლების მიმართაც იმდენად სხვა დამოკიდებულებაა, რომ ეს ხალხი აღარ გამოგადგებათ...**

— თავის დროზე არ იყო ფორსმაჟორი, რომელზეც ხშირად საუბრობენ. თავის დროზე იყო ომი. ბევრი ადრე ფანჯრიდან იყურებოდა, ბევრიც იბრძოდა და, პირდაპირი გაგებით, თავს სწირავდა. ფანჯრიდან მაყურებელი კი დღესაც ბევრია თანამდებობაზე. ეს დრო გავიდა. ახლა ახალი ეტაპი იწყება და ყველა ამის მიხედვით უნდა შეირჩეს. რამდენიმე თვეში ყველაფერი უფრო ნათელი გახდება.

**— ესე იგი, კოალიციაში გარკვეული დაძაბულობა და დაპირისპირებაა?**

— არის ჩვეულებრივი დაძაბულობა, რომელიც ყოველთვის ახლავს ასეთ პერიოდს. ეს რომ არ იყოს, მაშინ უგრძნობი უნდა იყო.

**— ზემოხსენებული განცხადების გამო კობახიძეს ზოგიერთი თანაგუნდელი გაემიჯნა...**

— ამაზეც არაერთხელ ითქვა და ეს თემა პირველად არ „აწეულა“. ირაკლისაც რაღაც განსაკუთრებული არ უთქვამს, რომ ამაზე რაღაცები ავაგოთ. მან თავისი აზრი თქვა, მერე ისიც თქვა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რაღაც პროფესიებს კარი უნდა დავუკეტოთო. ასეთი რამის უფლება არავის აქვს.

**— თქვენც, როგორც რეჟისორი, ამ „შერისხულთა ჯგუფში“ ხომ არ მოხვდებით? რას ფიქრობთ, ისევ რეჟისორი ხართ თუ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდით?**

— რეჟისორობა ჩემი პროფესიაა. არც მათ ვგავარ, ვისაც დიპლომი აქვს და ამ პროფესიაში არაფერი გაუკეთებია. არც ის ვარ, ვინც დიდი ხანია, პოლიტიკაშია, მაგრამ უკვე არც იქაა, თუმცა არ იცის, სად უნდა წავიდეს. გარეთ რა წარმატებაც უნდა გქონდეს, როცა პარლამენტში შედიხარ, მაშინ გიყურებენ, როგორც პოლიტიკოსს და არა — როგორც პროფესიონალ სპორტსმენს და რეჟისორს. არავის აინტერესებს, იაპონელი დაამარცხე და ბეჭებზე დადე ან ფილმი თუ გადაიღე, ეს მთავრდება.

**— პროფესიას თავი დავანებოთ და, იმაზე ვისაუბროთ, რატომ აღარ უნდა ამომრჩეველს ამ ხელისუფლების ისევ მოსვლა? ბევრი ამბობს, რომ თუ ასე გააგრძელეთ, არჩევნებში ხმას აღარ მოგცემთ.**

**— როგორ გავაგრძელეთ?**

**— აი, ასე, როგორც მუშაობთ — ამომრჩეველს ბევრი რამ არ მოსწონს...**

— შეიძლება, მოლოდინი მთლად თანხვედრაში არაა ამ ოთხწლიან მუშაობასთან, თან ის მოლოდინი, მართლაც, გადაჭარბებული იყო, მაგრამ თუ თვალს არ დაიბრმავებს, ყველამ იცის, რა გაკეთდა და რამდენი მნიშვნელოვანი რამ შეიქმნა. პირველ ყოვლისა კი, რაც მოხდა, ისაა, რომ ადამიანს მიეცა თავისი თავის პატრონობის საშუალება, გაუჩნდა თავისუფალი სივრცე და თვითონ შეუძლია, თავისი ბედი გადაწყვიტოს. რამდენად ეხმარება ამაში სახელმწიფო, ამას კი დრო სჭირდება და ასე სწრაფად ვერ მოხდება.

ის, რომ ამ ცეცხლის რკალში მშვიდობა შენარჩუნდა, ცუდია? პრობლემები ჩვენთან ძალიან ახლოსაა და ხელისუფლებამ ეს მშვიდობა რომ შეინარჩუნა, ცუდია?

**— ეს ხელისუფლების დამსახურებაა თუ იმისი, რომ ჯერჯერობით ამ „ცეცხლის რკალის“ ინიციატორის ინტერესებში არ ვართ?**

— ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დამსახურებაა — არ წამოეგო ერთ პროვოკაციაზეც კი. წინა ხელისუფლება რომ ყოფილიყო, გამწვავებულ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დროს, ჩვენ რამდენიმე რაკეტას აუცილებლად „გვაჩუქებდნენ“ და ტერორისტულ აქტებსაც მოგვიწყობდნენ. დარწმუნებული ვარ, ამ შემთხვევაში, სხვა პროვოკაციული ტონალობა იქნებოდა. ისეთი ქმედებები იქნებოდა, თითქოს ჩვენ ვართ ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებსაც შეუძლიათ, მკვეთრი პოზიცია გამოხატონ რუსეთთან დამოკიდებულებაში. ძალიან გაზომილი ნაბიჯებით მივდივართ და ამან მოგვიტანა სამშვიდობო პროცესი. ერთის მხრივ, დავაცხრეთ ტემპერატურა რუსეთთან და იქიდანაც უკვე არამტრული სიგნალები მოდის და ეს კარგია. მეორეს მხრივ, მოვახერხეთ ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა და წუთი-წუთზე ვიზალიბერალიზაციასაც მივიღებთ. ეს არცთუ ადვილი იყო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რა მემკვიდრეობა დაგვხვდა. თუ რამეში უნდა გვისაყვედურონ, ისაა, რომ ცხრაწლიანი პრობლემები ბოლომდე ვერ გადავჭერით, თორემ ახალი და საშიში პრობლემა ჩვენ არ შეგვიქმნია.

**— და რატომ ვერ გადაჭერით? წინასაარჩევნოდ ხალხს ხომ სწორედ ამას ჰპირდებოდით?**

— კი, ვპირდებოდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, იპოთეკარებისთვის გადაგვეჭრა პრობლემები. ისე, რა დროს დაიწყო ეს პრობლემები? — წინა წლებში. რა დროს დაიწყო უმუშევრობა? რა დროს გაჩნდა ამდენი უსახლკარო ადამიანი? ვერ მოხერხდა ამ პრობლემების გადაჭრა და ვერც მოხერხდებოდა.

**— თუ იცოდით, რომ პრობლემებს ვერ გადაჭრიდით, ხალხს რატომღა ჰპირდებოდით?**

— ვინ ამბობდა, რომ მთლიანად ყველა პრობლემა გადაიჭრებოდა? სულ ვამბობდი, არავის გეგონოთ, რომ ოქროს თევზი შემოვა ყველას სახლში, მაგრამ შეატყობთ, რომ ამის ტენდენცია არის-მეთქი. თავისუფალ სივრცესა და დემოკრატიის ასეთ პირობებში ეფექტური მმართველობა ძალიან ძნელია. ეფექტური მმართველობა დიქტატურის სტილია. ახლა სხვა სიტუაციაა, ისეთი ხალხი გამოდის, რომელიც თავის დღეში არ გამოსულა, იწყებს ლაპარაკს და ყველასთან უნდა შეაჯერო გადაწყვეტილებები. ამას თავისი დრო სჭირდება და ეს პროცესი მიდის.

**— ესე იგი, თვლით, რომ „ოცნებას“ მომავალ არჩევნებში ალტერნატივა არ ჰყავს?**

— ნამდვილად ასეა და ეს, საერთო ჯამში, შეიძლება, სამწუხაროა. ეს მათაც იციან, ვისაც თავი ალტერნატიული ძალა ჰგონია. ეს არის „ნაცმოძრაობის“ ბოლო ფართხალი, ამიტომ მისი გეგმებიც ვარაუდების დონეზე ვიცით. ისიც ვიცი, ვინ შეიძლება აჰყვეს ამ პროცესს. დანარჩენებიც ცდილობენ, რომ როგორმე პარლამენტში შევიდნენ. ამიტომ, ახლა რაც კი თემები „აიწევა“, მათ შორის „გაზპრომის“ თემაც, ხელოვნურია, რომელიც პირდაპირ საარჩევნოდაა გამიზნული.

**— „გაზპრომის“ თემა ხელოვნურია?**

— რა თქმა უნდა, ხელოვნურია. საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილის პრობლემა სულ არაა, ტრანზიტიდან გაზს აიღებ თუ ფულს. მთავარია, ხალხს გაზი ჰქონდეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე დაკაბალებული ხარ.

**— ყველა დროში „გაზპრომი“ რომ პოლიტიკური იარაღია, ამაზე არაფერი გსმენიათ?**

— ეს პროცესი ახლა არ დაწყებულია, 2008 წელს, ომის დროს დადეს ახალი ხელშეკრულება. მერე, მთელი საქართველოს გაზიფიკაცია მოხდა და მოთხოვნაც გაიზარდა. ეს არაა ის მოვლენა, რომელზეც ასეთი გნიასი უნდა ატყდეს.

ასევე, ხელოვნურადაა შექმნილი კონკრეტულ პიროვნებებზე ცილისწამებები, კობახიძე და ბესელია მყავს მხედველობაში და, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილი უნდა ერიოს აუცილებლად, რომ მისი დისკრედიტაცია განხორციელდეს.

შეტევებია ინსტიტუტებზეც, მათ შორის, პოლიციაზე. ესეც ტყუილია — პოლიცია მუშაობს. ციხეში ვერავინ იტყვის, რომ წამება მიდის და ასეც უნდა იყოს, მაგრამ მეორეს მხრივ, იქ შესვლაც გაადვილდა.

ასე რომ, იციან, ალტერნატივა არ გვაქვს. იციან, რომ უმრავლესობას აუცილებლად ავიღებთ, მაგრამ უნდა გამოუჭედონ ხალხს ყურები და შექმნან ფონი, რომ 60% ისეთი დაბნეულია, ვერ გაუგია, რა უნდაო. ეს უნდა ჩააბეტონონ ადამიანების ტვინებში, მაგრამ ეს ბოლო გაფართხალებაა და, დარწმუნებული ვარ, არჩევნები ძალიან მშვიდობიანად ჩაივლის!

**— არჩევნების მერე რა იქნება?**

— შემდეგ ექნებათ ცდა, რომ ვითომ გაყალბდა არჩევნები. ამაში კი ხალხი დაგვეხმარება, რომელიც აუცილებლად იგრძნობს, გაყალბდება თუ არა არჩევნები. ჩვენი მიზანია, არჩევნები მაღალი სტანდარტებით ჩატარდეს და, რა თქმა უნდა, ჩვენ გავიმარჯვოთ. ასეც იქნება.

ასევე, მგონია, რომ „ნაცმოძრაობა“ ძალიან შემცირდება პარლამენტში და დიდი-დიდი, ერთი ფრაქციის შექმნა მოახერხოს. ასევე, შემოვლენ სხვა პარტიებიც და ეს ჯანსაღი პროცესი იქნება. ღმერთმა დაიფაროს, რომ ჭრელი პარლამენტი მოვიდეს და აჯაფსანდალი მივიღოთ, სადაც წავა დუქანი. არ მგონია, ხალხის 60% მართლა დაბნეული იყოს, მაგრამ ვინც არის, მათაც კარგად უნდა გააცნობიერონ, ამის შემდეგ რა მოხდება.

ამ არჩევნებზე დაწყებულ საქმეს მყარი უმრავლესობა სჭირდება. მომავალ არჩევნებზე კი, შეიძლება ხელისუფლებაც შეიცვალოს და ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისეთივე ჩვეულებრივი, როგორც ის, რომ პრემიერი თავისი ნებით წავიდა. ირაკლი თავისი ნებით წავიდა, მაგრამ გუნდში დარჩა. ასევე, ხელისუფლებისა თუ პარტიების შეცვლის პროცესი არ უნდა იყოს აღქმული დიდ განსაცდელად.

**— ღარიბაშვილი ისევ გუნდშია? რა ვიცი, „ოცნებიდან“, როგორც ითქვა, მისი ცოლისძმაც მიდის... სხვათა შორის, ეჭვი, რომ ღარიბაშვილი აიძულეს, გადამდგარიყო, თქვენს გუნდშიც გაჩნდა და ამაზე გუბაზ სანიკიძემ მიანიშნა. მაინც, რატომ წავიდა ღარიბაშვილი ასე მოულოდნელად?**

— ამაზე პარლამენტშიც ვთქვი, რომ შეიძლება, ირაკლი ღარიბაშვილი ლეგენდადაც დარჩეს. ეს შეკითხვა, მართლაც, სულ

გაგრძელება მე-9 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



## უმრავლესობის ტრიბუნა

მე-8 გვერდიდან

დარჩება. ჩვენთვისაც მოულოდნელია, რომ წარმატებული ადამიანი წავიდეს. საერთოდ, თანამდებობიდან ან ძალით აგდებენ, ან რაღაც ემართება, ან ვადა ეწურება. როცა ღარიბაშვილს ვკითხე, მან თქვა, ეს რომ გუნდში მეთქვა, განხილვის საგნად იქცეოდა, რაც პროცესს დააზარალებდა და ამიტომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილებაო.

**— ბევრი ფიქრობს, რომ მომავალ პარლამენტში „რესპუბლიკელების“ გვერდით გაწევა იგეგმება და სწორედ იმიტომ წავიდა ღარიბაშვილი, რომ პარლამენტში მოვიდეს...**

— ასეთი შეფასებები იგავურ გამონათქვამებს ეყრდნობა ხოლმე. თვით „რესპუბლიკელებისგანაც“ რაღაც ისეთი ისმის, რომ მერე, ამას რაღაც აუცილებლად მოჰყვება. „რესპუბლიკელებიც“ იმავე უფლებებით სარგებლობენ, როგორც დანარჩენი კოალიცია, თუმცა არ ვიტყვი, რომ სულ ასე გაგრძელდება. პოლიტიკა მოულოდნელობებითაა სავსე და ეს გამოცდილება უკვე მაქვს, რომ გადაჭრით არაფერი ვთქვა, მით უმეტეს, როცა საქმე კოალიციას ეხება. ასე რომ, ყველაფერი შესაძლებელია... ეს კი, ალბათ, „რესპუბლიკელების“ განცხადებამ გამოიწვია, როცა თქვეს, რომ უნდათ, იცოდნენ, რამდენია მათი წილი. ეს მათი უფლებაა. უნდა ვაღიაროთ, რომ ის ნამდვილადაა პროფესიული გუნდი, ოღონდ დამოუკიდებლად რა შედეგიც დადო და რაც გამოუვიდა, ეს უკვე ვიცით. ეს თვითონაც კარგად იციან. შემდეგ, როცა გაირკვევა, რა წილზეა ლაპარაკი, ალბათ, უკვე მერე გახდება ბევრი რამ ნათელი. ეს მათი გადასაწყვეტია, თუმცა მათ არავინ ეუბნება, რომ უნდა წავიდნენ. ამაზე მაშინ ვისაუბროთ, როცა არჩევნებამდე ორი თვით ადრე ბლოკი საბოლოოდ დამტკიცდება.

**— ალასანიას კოალიციაში დაბრუნებაზეცაა ლაპარაკი. მის კადრებსაც ნიშნავენ მაღალ თანამდებობაზე. ამაზე რას იტყვით?**

— კადრების დაბრუნება არაა გამორიცხული იმიტომ, რომ ჩვენ არ ვართ განებივრებული პროფესიონალი კადრებით, მით უმეტეს, საგარეო სფეროში. ზალკალიანის დაბრუნებაც იმას ნიშნავს, რომ არჩევანი ამ მხრივ ფართო არ არის.

**— წეღან საარჩევნო პროვოკაციები ახსენეთ და კობახიძე-ბესელიას სკანდალიც გაიხსენეთ. თუ ეს პროვოკაციაა, ბატონო ნუკრი, რატომ არ შეგეხოთ პროვოკაცია, მაგალითად, თქვენ ან ნებისმიერ სხვა დეპუტატს?**

— ვფიქრობ, ესეც საარჩევნოდ გამზადებული „სნაიპერული ცილისწამებაა“, რომელსაც შეგნებულად თუ შეუგნებლად ალეკო ელისაშვილი ახორციელებს. თავიდან მეგონა, რომ რაღაც თრილერში მოხვედრა უნდოდა. ის უნდა ყოფილიყო გმირი, რომელიც სიმართლისთვის იბრძვის. ახლა კი ვფიქრობ, რომ მობეზრდა ეს ამბავი ხალხს. მისი ბრალდების დამტკიცება წარმოუდგენელია.

**— შექმენით საგამოძიებო კომისია და იქნებ, ამტკიცებს ელისაშვილი თავის სიმართლეს?**

— ნებისმიერ ადამიანს შეიძლება, ხელი დაადო და რატომ მე არ აღმოვჩნდი ბესელია-კობახიძის ადგილას? — იმიტომ, რომ არ მქონია კავშირი არც პოლიტპატიმრების სიასთან, არც — შეწყალების კომისიასთან, თუმცა რამდენიმე შუამდგომლობა მეც გავაგზავნე — ეს ჩემი უფლებაა.

**— ეს „სნაიპერული ცილისწამება“ „ნაციონალების“ დაგეგმილია თუ პრეზიდენტის?**

— ამას ვერ გეტყვით, მაგრამ მოდით, ის ვთქვათ, ვის აწყობს: აქ პრეზიდენტმაც ვერ გამოიჩინა თავი. პიროვნულად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გარკვეულა, რაში უნდა იყოს აქტიური და რაში — არა. ხშირად ეს ქაოსსაც იწვევს. პირველი პრობლემა კი, რომელიც ვერ გადავლახეთ, ისიცაა, რომ ვერ განვახორციელეთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც ყველაფერს დაალაგებდა. არ იქნებოდა ორაზროვანი შეხედულებები, თუ ვინ სად უნდა წავიდეს და ვინ რა უნდა თქვას. ამიტომ აუცილებელია, გაიმიჯნოს პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებები. ჩემი აზრით, პრეზიდენტი სათადარიგო „ოქროს ბორბალი“ უნდა იყოს, მანამდე კი არ უნდა ერეოდეს საქმეებში.

რაც შეეხება ამ პროცესს, იკვეთება, რომ ის ელისაშვილს თანაუგრძნობს. ვთქვი კიდეც ამის შესახებ სხდომაზე, გამოდით, პრეზიდენტო, დაგინახეთ, ნიჩურტა-მეთქი. ეს ტერმინი მისი ფილოსოფიური წერილიდანაა — „ნიჩურტა, ქართველებო“. ასე რომ, მას აქვს ხოლმე ისეთი ინიციატივები, რომლებიც მიუღებელია.

**— მთავრობასაც აქვს ხოლმე ისეთი მოქმედებები, რომლებიც მიუღებელია. მაგალითისთვის გაგახსენებთ პრეზიდენტის ყოველწლიურ ანგარიშს პარლამენტში, სადაც მთავრობის ერთი წევრიც არ მიდის. ახლა ეს თემა ისევ აქტუალურია და საინტერესოა, რას იზამს ახალი პრემიერი?**

— დაესწრება თუ არა პრეზიდენტის გამოსვლას, ეს მოლაპარაკებების საგანია. ახალმა პრემიერმა თქვა, რომ ამის პრობლემა არ აქვს. თუ ღარიბაშვილს ჰქონდა მკვეთრი სვლები, ახლა ვნახავთ, რას იზამს კვირიკაშვილი. ყოველ შემთხვევაში, შეკითხვები პრეზიდენტის მოქმედებებთან დაკავშირებით ყოველთვის არის. ის, რომ აქვს მოთხოვნილება, უნდა ჩაერიოს პროცესებში, ადამიანურად გასაგებია, ის, რომ სასახლიდან არ გამოდის, გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში, ჯობია თანამშრომლობა. უნდა იყოს კონფრონტაციული რეჟიმი. სეირების ყურება აღარც ხალხს სჭირდება!

**— ამ „სეირების“ დროს პრეზიდენტი ხშირად წამებულის როლშია და რეიტინგიც ეზრდება. ამომრჩეველი ამბობს, მარგველაშვილს პარტია რომ ჰქონდეს, ხმას აუცილებლად მისცემდა...**

— რომელ ბორბალზე აწამეს გიორგი, ერთი, ეს მითხარით, და ვინ აწამა? კაცს სიზმარშიც კი არ გაახსენდებოდა, რომ პრეზიდენტი იქნებოდა, გახდა პრეზიდენტი, რატომაც გახდა და ვისი მეშვეობითაც გახდა, ესეც ვიცით.

**— სამართლიანობის აღდგენა კიდევ იქნება „ოცნების“ მთავარი მესიჯი მომავალ არჩევნებში?**

— სამართლიანობის აღდგენის კუთხით პროცესი უნდა გაგრძელდეს. აქ არაა ლაპარაკი დასჯაზე. პრაქტიკას რომ გადავხედოთ, ვინც თანამშრომლობდა რეჟიმებთან, მხოლოდ რამდენიმე კაცია დასჯილი. საფრანგეთის მაგალითი ავიღოთ, ეს ქვეყანა მთლიანად თანამშრომლობდა ჰიტლერის რეჟიმთან, მაგრამ სულ დასჯილია 1000 კაცი და მათგან ნაწილს თავი გადაპარსეს.

**— თავი მაინც „გადაგეპარსათ“ „ნაციონალებისთვის“, თუ ეს იქნებოდა სამართლიანობის აღდგენა, ბატონო ნუკრი!**

— ასე მოხდა საფრანგეთში, ეს თემა ერთ წელიწადში ჩაფარცხეს და ერთ პრეზიდენტსაც კი ეს აღარ უთქვამს.

**— წინა არჩევნებზე თუ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი გადამწყვეტი იყო, ახლა შეიძლება, ამან ზიანიც კი მოუტანოს კოალიციას. ხელისუფლებას ივანიშვილი მართავსო, — სულ ამას გაიძახიან თქვენი ოპონენტები. ყოფილი პრემიერი პოლიტიკაში აქტიურად ჩაბმას აპირებს?**

— ზემოდან არავინ მართავს, ბიძინა ამ პროცესებში შიგნითაა! ის არის დამფუძნებელი და მან თვითონ განაცხადა, რომ ამ არჩევნებზე გაცილებით აქტიური იქნება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქნება არა მხარდამჭერი, არამედ, პროცესების მონაწილე. ის ალღოიანი კაცია, შეუძლია, კარგად დაალაგოს პერიპეტიები, ამდენად, მისი ყოფნა ძალიან გამოადგება კოალიციას.

**ესაუბრა ნათია ვერძეული**

## საზოგადოება

# ყოფილი პარლამენტარი: „ჩემს შვილს ნარკოტიკი ჩაუდეს!“

## რეპორტაჟი გლდანის ციხიდან — რა შეიცვალა საპატიმროებში 2012 წლის არჩევნების შემდეგ

**საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მე-8 დაწესებულება თბილისის გარეუბან გლდანში მდებარეობს. შესაბამისად, ამ დაწესებულებას ხალხი „გლდანის ციხეს“ ეძახის... შენობა გარედან ისეთი სულაც არაა, როგორიც კინოებშია — არც მავთულხლართებია და საგუშაგო კოშკურებზე არც დაცვა დგას, მაგრამ აქაურობა უამრავი ადამიანის ტრაგედიასა და საიდუმლოს ინახავს...**

ყველამ, ვინც „გლდანის ციხეშია“ ნამყოფი, იცის, რომ ეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბოლო გაჩერებაა. „მარშრუტკაში“ მე და ერთი შუახნის ქალბატონიღა დავრჩით... გავიფიქრე, უცნობი ან ციხეში მიდის, ან აქვე ცხოვრობს-მეთქი. ტრანსპორტიდან ერთად ჩამოვედით და ისიც იმ მხარეს წამოვიდა, საითაც მე მივდიოდი.

— ნეტავ, მოსაცდელი, ანუ ადგილი, სადაც მნახველები იკრიბებიან, სად არის? — ხმამაღლა ჩავილაპარაკე.

— აი, იმ შენობაშიო, — მიმასწავლა უცნობმა ქალბატონმა.

— ციხეში ვის სანახავად მიდიხართ? — გამოველაპარაკე.

— შვილის, — სევდიანად მომიგო შუახნის ქალბატონმა, — 6 წელია, ციხეშია. მსუბუქი ხასიათის შელაპარაკება მოუვიდა, რის გამოც დააკავეს და ციხეში კიდევ ერთი წელი უნდა იყოს...

— შეწყალების კომისიისთვის არ მიგიმართავთ? — თანაგრძნობით ვკითხე.

— მრავალჯერ მივმართვე, შვილო, მაგრამ უშედეგოდ. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობის“ წევრი ვარ, მერიაში ვმუშაობდი და ამ მთავრობის მოსვლის შემდეგ, გამათავისუფლეს...

მოსაცდელში ხალხმრავლობა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ხმაურია — ყველა თავის პრობლემებსა და დარდს ჩაუფიქრებია. აქ თვალშისაცემი სისუფთავე და სიცხეა... უმრავლესობა ახალგაზრდა ქალი და თვალცრემლიანი მოხუცია... ხალხი მატულობს... ზოგს ბავშვებიც ახლავს...

კართან 25-27 წლის ორი გოგონა ზის. ორივეს ბავშვები ახლავს. ერთ-ერთი ბავშვი გაუთავებლად ტირის, არ ისვენებს... გოგონები, როგორც გავარკვიე, მამის სანახავად არიან მოსულები.

— მამაჩვენი 44 წლისაა, ნარკოტიკის მოხმარების ბრალდებითაა ციხეში და წელიწადნახევარში გამოვა, — მითხრეს გოგონებმა და დასძინეს, რომ პატიმარ მამას თანხას ყოველ კვირა ურიცხავენ ბარათზე, რათა სიგარეტი იყიდოს. სადღესასწაულო დღეებში კი, ხილისა და ტკბილეულის შეგზავნაც შეუძლიათ, თურმე. შევატყვე, გოგონები ერთმანეთს თვალით ანიშნებდნენ, რომ ზედმეტი არაფერი ეთქვათ და დაბნეულები მელაპარაკებოდნენ.

...აქ ადამიანები ერთმანეთს ხმადაბლა ელაპარაკებიან... ზოგი ტელეფონშია „ჩამძვრალი“, ზოგიც უხმოდ ელოდება, თუ როდის გამოაცხადებენ მის გვარს...

ახალგაზრდა გოგონაც საკუთარ ფიქრებშია გართული, დარდიანი ჩანს — ვერც კი შენიშნა, თუ როგორ მივუჯექი გვერდით.

— **ვის სანახავად ხარ მოსული?** — მყისიერად ვკითხე.

— უკაცრავად, მე მკითხეთ რამე? — დაიბნა გოგონა.

შეკითხვა გავუმეორე...

— მეუღლის სანახავად ვარ მოსული, — მომიგო, — 8 წელია, ციხეშია, ქურდობისთვის დაიჭირეს... ამ მთავრობის ძალიან კმაყოფილი ვარ, რაზეც იგივეს წინაზე ვერ ვიტყვი. მაშინ დანაშაულს, შეკრებითობის პრინციპით, სხვაგვარად აფასებდნენ, ახლა კი — სხვაგვარად. ამიტომაც, ჩემს მეუღლეს წლები ჩამოაკლდა და რამდენიმე თვეში გამოვა.

**— პატიმრის შენახვა რა გიჯდებათ?**

— მინიმუმ, 150 ლარი. კვირაში ხან 20 ლარს ვურიცხავ, ხან — 30-ს, რომ სიგარეტი მაინც იყიდოს.

**— მეუღლე რას გეუბნებათ, ციხეში პირობები შეიცვალა?**

— როგორც ამბობს, პირობები ნორმალურია. იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან კომუნიკაბელურია, კონფლიქტიც არავისთან მოსვლია.

ამასობაში ჩემი ყურადღება ერთმა პიროვნებამ მიიქცია — 50 წლამდე ასაკის მამაკაცი თავისთვის იჯდა, ოფიციალურად იყო გამოწყობილი და გაზეთს კითხულობდა. მივუახლოვდი, გამოვეცნაურე... თავიდან იუარა, გაციებული ვარ და ლაპარაკი არ შემიძლიაო. მერე კი, არათუ ინტერვიუზე დამთანხმდა, არამედ, ვინაობაც გამიმხილა — ჩემი თანამოსაუბრე ივანე (ნუკრი) შათირიშვილი აღმოჩნდა, 1995-1999 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი. დეპუტატი 33 წლის ასაკში გახდა, მაგრამ პარლამენტი, პროტესტის ნიშნად, დატოვა.

— პარლამენტი სხვა რამ ნუ გგონიათ, იქაც ქართველები არიან და უსამართლობა, რა თქმა უნდა, ყველგანაა! — მითხრა ბატონმა ივანემ.

**— ბატონო ივანე, ვის სანახავად ხართ მოსული?**

— ჩემი შვილის, რომელიც 30 წლისაა. 2 წელია ციხეში და რვა წელი აქვს მისჯილი. ნებისმიერს რომ ჰკითხოთ, რა თქმა უნდა, გეტყვით, ჩემი შვილი დამნაშავე არააო, მაგრამ ამ კატეგორიის არ გეგონოთ, თუმცა ჩემი შვილი, მართლაც, უმიზეზოდ არის დაკავებული — ნარკოტიკი „ჩაუდეს“ და 260-ე მუხლით გაასამართლეს, რაც ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებას ითვალისწინებს. არადა, ნარკოტიკი ერთხელაც არ გაუსინჯავს...

ერთხელ, 30 დღე შიმშილობდა, მერე, შეუძლოდ გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. პოლიცია მასზე ზეწოლას ახდენდა — უთხრეს, რომ შპრიცში მოთავსებული ნარკოტიკს მისცემდნენ და ყველაფერი თავის თავზე უნდა აეღო, რის გამოც ჩემმა შვილმა მათ შეურაცხყოფა მიაყენა და საკუთარი უფლებების დაცვას შეეცადა.

**— ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, ან შეწყალების კომისიისთვის მიგიმართავთ?**

— შეწყალების კომისიისთვის ჯერ არ მიმიმართავს, რადგან კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, თუმცა ევროპის სასამართლოში წერილი გავგზავნე, მაგრამ პასუხი არ მიმიღია...

**— თქვენი ვაჟი რას გეუბნებათ, ციხეში როგორი პირობებიაო?**

— მოწესრიგებული არაა. ზედამხედველების განვითარების დონე ძალიან დაბალია — თავიანთ სფეროში ინფორმირებულნი არ არიან. მათ, ყოველ სამ, ან ექვს თვეში ერთხელ გადამზადება სჭირდებათ. რა თქმა უნდა, პატიმრებს შორისაცაა გარკვეული კონფლიქტები, რადგან ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, უბრალოდ, გარე სამყაროსთან კავშირი არ აქვთ...

ისე, რამდენიმე წლის წინ, აქ საშინელი მდგომარეობა იყო. ეს შენობაც არ არსებობდა — ადამიანები გარეთ, სიცივეში იდგნენ და თავიანთ რიგს ელოდნენ, რომ ახლობლები ენახათ. დღესდღეისობით, აქ ყველაფერი კომფორტულადაა მოწყობილი — სითბოა, სკამებიცაა... თანამშრომლებს ადამიანების მიმართ კარგი განწყობა აქვთ — გესაუბრებიან, მაგრამ თითქოს რობოტებივით არიან: თუ რამე კონკრეტულს ჰკითხავ, ვერ გიპასუხებენ. მათ მხოლოდ იმ ინფორმაციის გაცემა შეუძლიათ, რაც უფროსისგან აქვთ მიწოდებული. არც „ნაცმოძრაობის“ მტერი ვარ და არც — „ოცნების“. ერთსაც და მეორესაც კანონი უნდა მართავდეს... რაც შეეხება იმ სასტიკი მოპყრობის სკანდალურ კადრებს, ჩემი აზრით, ეს ამერიკელებისაგან შეკვეთილი დადგმული სცენარი იყო, მათ გასცეს მითითება, რომ ცუდად მოპყრობოდნენ ადამიანებს, თუმცა ეს შეიძლება, გარეთაც მოხდეს...

**ანა ყაველაშვილი**

ძველი საქმე

# რა კავშირი აქვს კოდუას „ფოტორეპორტიორების საქმესთან“

**დღეს, „ქართული სიტყვა“ ძველი საქმის ახალ დეტალებზე გიამბობთ, თუმცა მოდით, ყველაფერს ქრონოლოგიურად მივყვეთ: 2011 წლის 11 ივლისს, თბილისში, ღამის საათებში, საკუთარ სახლებში, ერთდროულად ოთხი ფოტოგრაფი — გიორგი აბდალაძე, ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი და ნათია გედენიძეები დააკავეს. დაკავებულებს ბრალი, საკუთარი ქვეყნის საზიანოდ, ერთ-ერთი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის საფარქვეშ მოქმედი ორგანიზაციისთვის სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდება ედებოდათ, თუმცა არ დასახელებულა, კონკრეტულად რომელი ქვეყნისთვის „ჯაშუშობდნენ“. იმ დღიდანვე, „მოდულ“-ის შენობისა და პრეზიდენტის სასახლესთან ჟურნალისტთა საპროტესტო აქციები დაიწყო... მაშინდელი პრეზიდენტის მაშინდელმა პრესსპიკერმა კი განაცხადა, ამ დაკავებას მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტთა საქმიანობის შეზღუდვასთან საერთო არაფერი აქვსო... რამდენიმეხნიანი აჟიოტაჟის შემდეგ, ფოტოგრაფები აღიარებითი ჩვენების სანაცვლოდ გაათავისუფლეს და საპროცესო გარიგებაც შესთავაზეს... 2013 წელს, ანუ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ფოტოგრაფებმა მთავარ პროკურატურაში განცხადება შეიტანეს და ხელახალი გამოძიების დაწყება, ასევე, საქმისთვის გრიფით — ,,საიდუმლოს“ მოხსნა და საპატიმროში მათზე განხორციელებული დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის გამო საქმის აღძვრა მოითხოვეს. გასულ კვირას, მთავარმა პროკურორმა შოთაძემ „ფოტოგრაფების საქმე“ ახსენა... ,,ქართული სიტყვა“ ამ საქმის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტ გიორგი აბდალაძეს ესაუბრა.**




**— გიორგი, „ფოტოგრაფების საქმეს“, ბოლოს და ბოლოს, გრიფით „საიდუმლო“ ადევს თუ არა?**

— ,,ფოტოგრაფების საქმეს“ გრიფი კი არა, ჯადო ადევს!

**— მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ განაცხადა, საქმეს ,,გრიფით საიდუმლო“ არ ადევსო...**

— მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ საქმეს, რომელიც ახლახან ადგილიდან ჩვენი ჩვენებების საფუძველზე დაიძრა, გრიფი „საიდუმლო“ არ ადევს და შოთაძის ეს განცხადება ცოტა დამაბნეველი იყო. ბევრი მირეკავდა, მილოცავდა. დარწმუნებით გეტყვით, რომ ე.წ. „ფოტოგრაფების საქმეს“ გრიფი ,,საიდუმლო“ ისევ ადევს. მესამე პროკურორია, რომელიც გვპირდება, რომ საქმე გაიხსნება.

**— ახალი მთავარი პროკურორის გჯერათ?**

— წინა ორის მჯეროდა, მესამე რას იზამს, ვერ გეტყვით, მაგრამ ადრე თუ გვიან, ჩვენი რეაბილიტაცია მოხდება. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. ყოველ შემთხვევაში, დანებებას არ ვაპირებ. იმედი მაქვს, ის ადამიანები ისევ გვერდით დაგვიდგებიან, ვინც თავის დროზე ჩვენს დაკავებას აპროტესტებდნენ და ერთობლივი ძალებით, იმ შედეგს მივაღწევთ, რომ მიზეზი მაინც გავიგოთ, თუ რატომ დაგვიჭირეს.

**— შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან გქონდათ, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ ე.წ. „ფოტოგრაფების საქმეს“ გრიფი ,,საიდუმლო“ ადევს არა პრეზიდენტისგან, არამედ, რომელიღაც უწყებისგან...**

— გრიფი, თავისთავად, პრეზიდენტისგან არ იქნებოდა დადებული. იურისპრუზენციაში კარგად არ ვარ გარკვეული, მაგრამ რამდენად ვიცი, საქმეს გრიფი კონტრდაზვერვის სამსახურმა დაადო, რომელსაც იმ დროს ვანო მერაბიშვილი ხელმძღვანელობდა. ჩვენი ჩვენების გარდა, ამ საქმეში რა დოკუმენტები დევს, უცნობია. დღემდე არ ვიცი, თუ რა სტენოგრამაზეა საუბარი, რომელიც თითქოს მოვიპოვეთ და მერე, სადაზვერვო სამსახურებისთვის უნდა გადაგვეცა. რა უნდოდა პრეზიდენტის სტენოგრამას საგარეო საქმეთა სამინისტროს უწყებაში? შეკითხვა უამრავია, პასუხი კი, — არა! საქმის გახსნა მარტივად შეიძლება, მთავარი მონდომებაა.

**— გიორგი, მახსოვს, ამბობდით: ,,გახსენით ეს საქმე და სააკაშვილიც დამთავრდება!“**

— კი ბატონო, ასეა.

**— ფიქრობთ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ გააჩნია პოლიტიკური ნება, ფარდა ახადოს ,,ფოტორეპორტიორების საქმეს“?**

— ეჭვი მაქვს, ვიღაც დამნაშავეებს მფარველობს, არ აწყობს, არ სურს კონკრეტული პირების გამოაშკარავება. რატომ და რისთვის, ვერ გეტყვით. ამდენი დრო არ უნდა დასჭირვებოდა გამოძიებას, მით უმეტეს, რომ ჩვენ მოვიპოვეთ ვიდეომასალა, სადაც აღწერილია, ციხეში ჩვენს თავს რაც ხდებოდა, მასალის ნაწილი გასაჯაროვდა. თავის დროზე მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილს ვაცნობე კიდეც, სად მოიპოვებოდა კადრების სრული ვერსია, რა თქმა უნდა, იმ პიროვნების თანხმობით, ვისაც კადრების სრული ვერსია ჰქონდა.

**— ვის ჰქონდა?**

— მის გვარს ვერ დავასახელებ.

**— ის მაინც მითხარით, ეს პიროვნება დღეს თანამდებობაზეა?**

— არა, მაგრამ გვარს მაინც ვერ დავასახელებ... ეს კადრები იმ არქივიდანაა, რომელსაც არჩევნების მეორე დღეს ,,ნაციონალური მოძრაობა“ ტყე-ტყე წვავდა... სავარაუდოდ, დაკოპირებული ვარიანტია. იქ მარტო ჩვენი ამბები არაა, სხვაც ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამაა ასახული.

**— ყოფილ მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილთანაც გქონდა შეხვედრა, ინფორმაციაც გადაეცით, რომლის მიხედვითაც, მას გამოძიების დაწყება კი არა, დასრულებაც შეეძლო, მაგრამ ასე არ მოხდა. მომდევნო პროკურორ ოთარ ბადაშვილს შეხვდით?**

— ბადაშვილთან საგანგებო შეხვედრა არ მქონია, მაგრამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მითხრა, რომ საქმეს თვალს ყურადღებით ადევნებდა და დამაიმედა, რომ მალე გაიხსნებოდა.

**— „ოცნების“ მეორე მთავარი პროკურორის მმართველობაც ისე დასრულდა, რომ გამოძიება წინ არ წასულა, არა?**

— ბადაშვილის დროს დავიკითხეთ, ინტერესი ნამდვილად იყო, მაგრამ როგორც ჩანს, პროცედურულად, დრო სჭირდება... მესამე მთავარმა პროკურორმა თქვა, იმედს ვიძლევი, გაზაფხულზე ყველაფერი გაირკვევაო.

**— ანუ, ირაკლი შოთაძესთან შეხვედრა გქონდათ?**

— არა, გამოძიებასთან დაკავშირებით შეხვედრა არ მქონია. მთავარ პროკურატურაში ჩემი განცხადება დევს, რომელიც არჩილ კბილაშვილის სახელზეა დაწერილი, რომ ,,ფოტოგრაფების საქმეზე“ ახლადგამოჩენილი გარემოებების გამო, საქმე აღძრულიყო.

**— რომელ გარემოებებზეა საუბარი?**

— იმ ვიდეოკადრებს ვგულისხმობ, რაც ტელეკომპანია ,,მეცხრე არხის“ მეშვეობით გასაჯაროვდა.

**— ამ კადრებში გამოძიებისთვის რა მნიშვნელოვანი დეტალი იყო?**

— აქ საუბარია ადვოკატების აცილებაზე გლდანის ციხის ადმინისტრაციული შენობის დატოვებამდე ორი-სამი დღით ადრე. ჩვენ უარი უნდა გვეთქვა და აცილება მიგვეცა ჩვენი ადვოკატების მომსახურებაზე, თვითონ გვაწოდებდნენ ადვოკატების სახელებს, რომლებიც ჩვენს საქმეს გააგრძელებდნენ. ისე, ჩვენს საქმეზე ეჭვი მას მერე დამებადა, როცა ,,საროკა ნეტზე“ ვანო მერაბიშვილის, შოთა უტიაშვილისა და ხიზანიშვილის საუბრები დაიდო.

**— გიორგი, დაზარალებული ფოტოგრაფები, მათ შორის, თქვენც, ამბობთ, რომ საქმეს გრიფი ,,საიდუმლო“ კონტრდაზვერვის შეფმა, ვანო მერაბიშვილმა დაადო. „ნაციონალების“ დროს სხვა დაზარალებულებიც ხელს მერაბიშვილისკენ იშვერენ და არავინ ახსენებს მის მოადგილე ამირან მესხელს, რომელსაც ყველა სპეცოპერაციის ჩატარება და საქმის ,,შეკერვა“ ევალებოდა, ანუ რომლის ხელმოწერის გარეშე არაფერი კეთდებოდა... კადრები ამირან მესხელმა ხომ არ მოგცათ?**

— არა...

**— ამ ადამიანს მაღალი თანამდებობა მიშას დროს ეკავა?**

— არა, შევარდნაძის დროს.

**— აბა, მის ხელში კადრები საიდან აღმოჩნდა?**

— როგორც ვიცი, მას ერთმა პიროვნებამ დაუტოვა... ჩემი ვარაუდით, ეს პიროვნება ერეკლე კოდუაა.

**— ანუ, კოდუამ კომპრომატები დატოვა სააკაშვილსა და მერაბიშვილზე?**

— კოდუამ, ჩემი ვარაუდით, გზების ძებნა დაიწყო, რომლის სანაცვლოდ ის საჭირო დროს რაღაცას მიიღებდა... ფაქტია, რომ ,,ნაციონალებთან“ ვაჭრობის თემა სჭირდებოდა.

**— დღევანდელი ხელისუფლებიდან ხომ არავინაა დაინტერესებული, რომ საქმეს გრიფი ,,საიდუმლო“ არ მოეხსნას?**

— არაფერს გამოვრიცხავ. რამდენიმე დღის წინ, ჩემი შვილი დაჭრეს...

**— ფიქრობთ, რომ ეს შურისძიება იყო?**

— დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ციხეში არაერთხელ გამაფრთხილეს ოჯახზე, მითხრეს, იქიდან დავიწყებთ, რაც შენთვის ყველაზე ძვირფასიაო. ეს მათი მეთოდი იყო — უშუალოდ შენ არ შეგეხებოდნენ, მაგრამ ოჯახს, შენს გარემოცვას ეხებოდნენ.

**— ამას როდის მიხვდით?**

— ეს პირდაპირ მითხრეს,

**— გიორგი, ხშირად ახსენებთ სისტემას, რომელმაც ბევრი ბოროტება ჩაიდინა. როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობა დაიწყეთ, მაშინ არ იცოდით, რომ „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი სისტემა იყო? მაშინ ხომ უკვე მომხდარი იყო გირგვლიანის მკვლელობა, 26 მაისის მოვლენები, კოდორის ამბები და სხვა უამრავი ფაქტი, რაც ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა... რატომ გადაწყვიტეთ, რომ რეჟიმის სამსახურში ჩამდგარიყავით?**

— საგარეო საქმეთა სამინისტროში წმინდა მეგობრული ამბის გამო მოვხვდი — ია მეტრეველმა პრესსამსახურში მიმიწვია, ფინანსურ-მატერიალური დაინტერესება არ იყო. ჩვეულებრივი ამბავია: მეგობარმა მითხრა, მოდი, მჭირდებიო.

რეჟიმთან მიმართებაში, სიმართლე გითხრათ, თითოეული ჩვენგანია დამნაშავე, თავის დროზე ხმა რომ არ ამოვიღეთ და დღესაც ვფიქრობ, რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ. ამასაც ასე ადვილად ვერ გაიგებ, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოსცდი. ზედაპირულად ვიზიარებდით სიტუაციის სიმძიმეს, რაც ხდებოდა, მაგრამ ჩვენ არ გვეხებოდა. როდესაც პირველად პრობაციის სამსახურში მივედი, უამრავი ადამიანი ვნახე, ასაკოვანი და არასრულწლოვანი, მივხვდი, რომ რეჟიმის სისასტიკე ბევრს შეეხო, თუმცა არ უარვყოფ, საკუთარ თავზე ვიტყვი, უფრო მეტად უნდა მეყვირა და ხმა ამომეღო, ამჯერად, ჩემს ბრძოლას ბოლომდე მივიყვან.

**— თქვენი ადვოკატი ეკა ბესელია იყო...**

— კი ბატონო.

**— დღეს ბესელია გავლენიანი ფიგურა და პარლამენტის წევრია — ადამიანის უფლებათა კომიტეტს ხელმძღვანელობს. მასთან ამ საქმეზე გისაუბრიათ?**

— კი, გვქონდა საუბარი, მაგრამ ზოგადად... თითქმის ყველა უწყებას მივმართეთ გრიფის ახსნის მოთხოვნით, მაგრამ ხომ ვამბობ, ეს ჯადოა-მეთქი... ველარ გავიგე, კიდევ ვის უნდა მივმართოთ.

**— ფოტოგრაფები პოლიტპატიმართა სიაში რატომ არ იყვნენ?**

— ამ სიაში ჩვენ ვერ ვიქნებოდით, რადგან ციხის გარეთ ვიყავით. ისე, ნასამართლეობა მოგვეხსნა...

**— სიტყვამ მოიტანა და, პოლიტპატიმა-**

გაგრძელება მე- 11 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## ძველი საქმე

მე-10 გვერდიდან

**რთა სკანდალზე რას ფიქრობთ?**

— ის, რაც თავს გადამხდა, ტიპური კომუნისტური, 1937 წლის ამბავია. იმდენი რამ გადავიტანე, რომ ვერავინ დამაჯერებს, ნებისმიერი საქმე, სადაც „ნაციონალების“ მმართველობისას აღიარებითი ჩვენებაა მიცემული, სიმართლეა. თავიდან გაოგნებული ვიყავი, ხუთი დღის განმავლობაში მშრალი შიმშილობაც კი გამოვაცხადე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გამეკეთებინა.

კიდევ ერთს ვიტყვი: გარეთ მყოფი ადამიანების პროტესტი რომ არა, აქ არ ვიქნებოდი! ერთხელ, კახი კავსაძეს ვუთხარი, თქვენ რა როლიც გაქვთ შესრულებული თენგიზ აბულაძის „მონანიებაში“, იგივე როლი შევასრულე, ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბს ვთხრიდი-მეთქი.

**— გიორგი, როგორ ფიქრობთ, ფოტორეპორტიორების დაჭერა ვის ინტერესში იყო?**

— მიხეილ სააკაშვილმა არ გვაპატია, რომ 26 მაისის მოვლენები ფოტოებზე გადავიტანეთ. ამით მთელი მსოფლიოსთვის საჯარო გახდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, ანუ ხელისუფლების ლუსტრირება მოვახდინეთ.

**— ფოტოები ვის გადაეცით?**

— 26 მაისის დარბევის ფოტოები მსოფლიოში ცნობილ და წამყვან ხუთ სააგენტოს გადავეცით.

**— ოთხივე რეპორტიორი შეთანხმებულად მოქმედებდით?**

— არა... 26 მაისსაც ჩვეულებრივად ვმუშაობდით, როგორც ვმუშაობთ ხოლმე — რეალობას ავსახავდით. თავის დროზე, ანუ 2008 წელს ოლიმპიადა იმ სურათებით გადავფარეთ, რომლებიც ომში გადავიღეთ და რომლებიც დღესაც ყველას ახსოვს. 26 მაისის ფოტოებმა, ჩემი აზრით, რეზონანსი იმიტომ გამოიწვია, რომ ამდენი ხელფეხშეკრული და დასისხლიანებული ადამიანი რუსთაველზე იწვა და ირგვლივ პოლიციელები ისე დასეირნობდნენ, თითქოს არაფერი მომხდარა — აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ დაჭრილებს დახმარება სჭირდებოდათ.

**— ამ დროს საგარეოში მუშაობდით?**

— სამინისტროდან, სიტყვიერად, წამოსული ვიყავი.

**— რეალურად?**

— საგარეოში სამთვიანი ხელშეკრულების საფუძველზე ვიყავი, მასზე ხელიც არ მაქვს მოწერილი, თუმცა როგორც ჩანს, თანამშრომლად ვითვლებოდი.

**— საგარეო საქმეთა სამინისტრო ისეთი უწყებაა, სადაც განსაკუთრებული კონტროლის გარეშე ფეხს, ალბათ, ვერავინ შედგამს.**

— შეიძლება... სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს.

**— ცოტა უცნაურია: უწყებიდან წამოხვედით და ისევ თანამშრომლად ითვლებოდით...**

— ამ თემაზე გაურკვევლობა დღესაც მაქვს. იმედია, გამოძიებით სიმართლე გაირკვევა.

**— გაურკვევლობა ბევრ რამეშია. აი, თუნდაც, თუკი სახელმწიფოს ემსახურებოდით, ფოტოების გავრცელება მის წინააღმდეგ მიმართული ქმედება არ იყო?**

— მე ჟურნალისტი ვარ და იმას ვიღებდი, რასაც ვხედავდი. დანაშაულს ხელს ვერ დავაფარებდი, ვერ მოვითმენდი.

**— აცნობიერებდით, ამას რა მოჰყვებოდა?**

— არა, ვერ ვაცნობიერებდით... ვფიქრობდი, დიდი, დიდი სამსახურს დავკარგავდი, ან საყვედურს მივიღებდი პირად საქმეში, ჯაშუშობის ბრალდებას არ ველოდი... სამშობლოს ღალატზე მძიმე მუხლი ხომ არ არსებობს?!

**— ცოტა გულუბრყვილოდ მეჩვენება, ემსახურები სტრუქტურას და მის საწინააღმდეგოდ რაღაცას აკეთებ...**

— რას გულისხმობთ?

**— 26 მაისის კადრები იმ ხელისუფლების დასასრულის დასაწყისად იქცა...**

— დასასრულის დასაწყისი ციხის კადრები იყო, 26 მაისი ხელისუფლებისა და ვანო მერაბიშვილის უწყების ლუსტრირება იყო.

**— იმასაც ამბობდნენ, რომ რაღაც ისეთი გადაიღეთ, რაც სააკაშვილს არ მოეწონა.**

— „ბასეინის ისტორიას“ თუ გულისხმობთ, იქ არ ვყოფილვარ.

**— იცით, ამ ისტორიაში კიდევ რა არის საინტერესო? — 26 მაისის დარბევას ტელეკომპანია „მაესტრო“ პირდაპირ ეთერში აჩვენებდა. რატომ არ დახურეს „მაესტრო“?**

— არსებობს ვიდეოკადრი და არის ფოტოკადრი, რომელიც გაცილებით ემოციურია. ფოტოს თავისებური დატვირთვა აქვს და ვიდეოს — თავისებური. აგვისტოს ომში, გორში გადაღებულ ფოტოებში უფრო ჩანს ემოცია, ვიდრე — ვიდეოში, თუმცა 11 სექტემბრის ამბებში ვიდეოკადრებმა უფრო იმუშავა. მიშამ მილიონი ფოტო რომ გადაიღოს, მაინც გორის კადრს დაუდებენ — ამ კადრის ისტორია ბევრმა არ იცის, რატომ აქვს მიშას შეწუხებული სახე.

**— რატომ?**

— დაცვის ბიჭმა ხელზე ფეხი დააბიჯა. ფოტოგრაფმა სწორედ ეს წამი დააფიქსირა.

**— ამ ფოტოს ავტორი ვინაა?**

— აწ გარდაცვლილი უკრაინელი ფოტოგრაფი...

**— გიორგი, რატომ გაჩნდა თქვენს „ქეისში“ ფოტოები და არა სხვა რამე?**

— სხვა რა უნდა ყოფილიყო?

**— მაგალითად, ნარკოტიკები...**

— ეძებეს და იპოვეს ის, რაც იპოვეს.

**— ცხვინვალში მართლა იყავით დაკავებული?**

— კი, 2000 წელს დამაკავეს და ტერორიზმს მაბრალებდნენ. დახვრეტის მუხლი მქონდა წაყენებული. იქაც ასეთი მეთოდი იყო — საკანში მყოფი ოთხი ადამიანიდან სამს სცემდნენ, მეოთხეს მხარზე ხელს უთათუნებდნენ და ეუბნებოდნენ, შენ ჩვენი ძმა ხარო.

**— „მოდულში“ ხომ არ გაგახსენეს, რომ ერთი პერიოდი რუსეთში ცხოვრობდით?**

— რუსეთში ღრმა ბავშვობაში ვცხოვრობდი, არც უხსენებიათ...

**— იმ ტიპს თუ იცნობთ, ვისზეც „აღიარებით ჩვენებაში“ ისაუბრეთ?**

— არა, ჩემს ჩვენებაში ასეთი ტექსტი იყო, მივედი საგარეო საქმეთა სამინისტროში, მაგიდიდან ავიღე სტენოგრამა, რომელიც ქურციკიძემ წაიღო და მსოფლიოში ცნობილ, 50 წლის სააგენტოს გამოსაქვეყნებლად გადაუგზავნა.

**— ამ სააგენტოს შესახებ არ იცოდა?**

— ვინ?

**— ვინც ჩვენება დაწერა.**

— როგორც ჩანს, არა.

**— ჩვენება ვინ დაგიწერათ?**

— დომხალი იყო, პროცესში ვინ მონაწილეობდა, კონკრეტულად დღესაც არ ვიცი.

**— ვინმე ხომ უნდა გახსოვდეთ? რომელიმე მათგანი დღეს თანამდებობაზეა?**

— ზოგი კი.

**— მათ გვარებს რატომ არ ასახელებთ?**

— იმიტომ, რომ სამართალს მივაღწიო... ბედის ანაბარა მიგვაგდეს, არანაირი სამსახური. უკვე მერამდენე არჩევნებზე ვიყავი „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად, კიდევ ვიქნები იმ იმედით, რომ სამართალს მივაღწიო. ჯერჯერობით ვხედავ, რომ ადგილს ვტკეპნით, თუ დავინახე, რომ უფსკრულისკენ მივდივართ, სხვანაირად ვიმოქმედებ.

**— კიდევ გკითხავთ: რეალურად, რისთვის დაისაჯნენ ფოტოგრაფები?**

— იმისთვის, რომ მსოფლიოს ხელისუფლების რეალური სახე აჩვენეს! თავის მხრივ, ხელისუფლებამ ჟურნალისტებს ყვითელი ბარათი აჩვენა, ვინც მსგავს რამეს გაბედავდა, ჩვენსავით დაისჯებოდა.

**— ჯაშუშობისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებით დაკავებული რეპორტიორები ორ კვირაში გაათავისუფლეს...**

— ხომ გეუბნებით, წნეხის ქვეშ მყოფებმა, საპროტესტო აქციების საფუძველზე გაგვათავისუფლეს, თორემ თეთრაძის ბედს გავიზიარებდით.

**— ახლა რას აპირებთ?**

— მოლოდინის რეჟიმში ვარ, გამართლებას ველოდები.

**— იმ აღიარებით ჩვენებას რა უნდა უყონ?**

— ჩვენ სისტემას ვებრძოდით, ვინც იცის, რა იყო „ნაციონალური“ სამართალი, მან ჩვენი მდგომარეობაც იცის.

**— სისტემამ თქვენ გაგწირათ, გიღალატათ.**

— სისტემამ შექმნა ის ადამიანები, ისეთები როგორებიც იყვნენ, არა მარტო შექმნა, მერე გაანადგურა კიდეც... პირადად ვისაც ვხედავდი, იგრძნობოდა, რომ შეშინებული იყო, მსგავსი პროტესტი არასოდეს ყოფილა. ჟურნალისტები გამომცემლობა „სამშობლოდან“ რომ გამოყარეს, მაშინაც იყო პროტესტი, მაგრამ ასეთი მძლავრი მუხტი არასოდეს ყოფილა. მიშა მოსვლის დღიდან ებრძოდა ჟურნალისტებს.

**— ამას როდის მიხვდით?**

— როცა პირადად მე შემეხო, თუმცა იმ საზოგადოების პირობებში ყველა მეტ-ნაკლებად ვცდილობდით, გაგვეპროტესტებინა არსებული რეალობა, ძალადობა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალადობას ვინც ჩადიოდა, ბრძანებას ასრულებდა.

**— უსამართლობის ჩასადენად ბრძანება თქვენთვისაც რომ მოეცათ, რას იზამდით?**

— ბევრი სამსახურიდან წამოვსულვარ, როცა თანამშრომლობა ზღვარს გადასულა. არასოდეს შემშინებია სამსახურის დაკარგვის!

**— ამბობთ, რომ თქვენი უბედურების სათავე 26 მაისის მოვლენები გახდა. იქ ბევრი რეპორტიორი ტრიალებდა, როგორ გაიგეს, კადრები ვისი იყო?**

— ვინც ვიღებდით, ყველა დაგვიჭირეს.

**— დანარჩენები?**

— მათ ფოტოაპარატები დაუმტვრიეს.

**— თქვენ რატომ არ დაგიმტვრიეს?**

— ჩვენ გამოცდილება გვქონდა, თუ როგორ უნდა იმუშავო ექსტრემალურ სიტუაციაში. თავსხმა წვიმა იყო. ყველანი კინოს სახლთან თავშეფარებულები ვიყავით. ჩვენ შევძელით და გადავიღეთ კადრები.

**— იცოდით, რომ მიტინგი უნდა დაერბიათ?**

— თავისთავად, მაგრამ ვფიქრობდით, რომ მომიტინგეებს დაშლიდნენ და შინ ისე გაუშვებდნენ, როგორც 7 ნოემბერს მოხდა.

**— ფოტორეპორტიორებს „ოცნებამაც“ გიღალატათ?**

— არ ვიცი...

**— სამი წელი არცთუ პატარა დროა იმისათვის, რომ ასეთი რეზონანსული საქმე გამოიძიონ, ბოლოს და ბოლოს, ღირსების საკითხია.**

— გვაქვს პრეტენზიები, მაგრამ ვიმედოვნებ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაირკვევა... როგორც ჩანს, საქმის გამოძიებას რაღაც სირთულეები ახლავს, ჩვენ ვიყავით უკანონო პატიმრები და რეაბილიტაციას ვითხოვთ. თუ ჩვენ საიდუმლო ინფორმაცია მოვიპოვეთ, რომელიც სადღაც დაუდევრად ეგდო, ვინმე უპასუხიმგებლობისთვის ხომ უნდა დასჯილიყო?

**— გავიხსენოთ, რა ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი გახდა თქვენი დაკავების მიზეზი...**

— საუბარი იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტს საიდუმლო შეხვედრა ჰქონდა რომელიღაც ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან, დაკონკრეტებული არ იყო, რომელ ქვეყანას წარმოადგენდა ის მინისტრი, ეს დოკუმენტი საგარეო სამინისტროს პრესსამსახურის მაგიდაზე იდო, რომელიც თითქოს ავიღე და ქურციკიძეს გადავეცი.

**— როგორ აგიყვანეს?**

— მეუღლის დაბადების დღე ოჯახურ სიტუაციაში აღვნიშნეთ და დავიძინეთ... ღამის სამ საათზე, ოცდაათამდე ადამიანი შემოვიდა ბინაში.

**— როდის გამოგიცხადეს, რომ სამშობლოს მოღალატე იყავით?**

— ოჯახის წევრებს ოთახი დაატოვებინეს, ბორკილები დამადეს და გამომიცხადეს, რომ ჯაშუში და სამშობლოს მოღალატე ვიყავი.

**— თქვენი დაკავება მიშას დავალება იყო?**

— დავალება მიშასი იქნებოდა, მაგრამ შემსრულებელი ვანო მერაბიშვილი იყო.

**— აბა, „ოცნებამ“ ამ საქმეზე ვანოს ბრალი რატომ არ წაუყენა?**

— ჯერ ყველაფერი წინაა, აუცილებლად წაუყენებენ. ჩვენს საქმეში ზურაბ ადეიშვილი, ვანო მერაბიშვილი და შოთა უტიაშვილი ფიგურირებდნენ.

**— ციხეში, დაკითხვის დროს, 26 მაისი უხსენებიათ?**

— როგორ არა, ციხეში მახსენებდნენ, იმასაც მეუბნებოდნენ, სახლებში დატეულიყავით და არაფერი შეგემთხვეოდათო.

**— 26 მაისის კადრები, როგორც ვიცი, ნათია გედენიძეს არ გადაუღია. მას რაღას ერჩოდნენ?**

— შეიძლება, ასეთი შედარება უადგილო იყოს, მაგრამ ლავრენტი ბერია რომ დაიჭირეს, მის ცოლს, ნინას რას ერჩოდნენ?! აბა, აღიარებითი ჩვენება როგორ მიეღოთ?

**— ცოლი თქვენც გყავთ, გიორგი...**

— მთავარი იყო პირველი აღიარებითი ჩვენება მიეღოთ და ეს გედენიძეებისგან მიიღეს.

**— რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი შვილის დაჭრის ინციდენტით დაშინებას ცდილობენ?**

— დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ვერ ვივიწყებ, რომ ციხეში მემუქრებოდნენ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ შემთხვევითობაა.

**— სტრასბურგს რატომ არ მიმართეთ?**

— სტრასბურგში ჩვენი საქმე იმ შემთხვევაში უნდა წასულიყო, თუკი ციხეში ვიქნებოდით.

**— მაინც, ვერ გავიგე, „ფოტოგრაფების საქმე“ ამჟამად რა ეტაპზეა?**

— გამოძიება მიდის.

**— გამოძიების ვერსიაში ვისი გვარი ფიგურირებს?**

— გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გვარებს ვერ დავასახელებ.

**— უკვე დაასახელეთ მერაბიშვილი, ადეიშვილი და უტიაშვილი. ეს უკანასკნელი სცენარისტია?**

— ცნობილ აუდიოჩანაწერებში შოთა უტიაშვილის ხმა ისმის, ვფიქრობ, ის საქმის გაყალბების ერთ-ერთი გმირია.

**— ელისაშვილის მიერ წამოწეულ „შეწყალების სკანდალზე“ რა აზრისა ხართ? გჯერათ, რასაც ელისაშვილი ამბობს?**

— ნარკოტიკების თემაზე გასამართლებულები, ერთხელ, სასამართლო სხდომაზე ისეთი ნაცემები მოიყვანეს, მაკიაჟი ჰქონდათ გაკეთებული, წამების და ცემის კვალი რომ არ დამჩნეოდათ. მოსამართლემ ბადრაგს უთხრა, მაინც მივუსჯით, ყველა ხედავს, რა დღეში არიან, თავი დაანებეთო.

**— ეს რა შუაშია?**

— ვანო მერაბიშვილის შეკერილი ერთი საქმისაც არ მჯერა.

**— გიორგი, ახლა რას საქმიანობთ?**

— რამდენიმე თვეა, შემოსავლების პრესსამსახურში ფოტორეპორტიორად ვმუშაობ. მართალი გითხრათ, წყნარად ვარ, ჩემთვის.

**— ისევ რომ გადააწყდეთ 26 მაისის მსგავს კადრს, როგორ მოიქცევით? გადაიღებთ?**

— ისევ რომ გადავაწყდე?.. სიმართლე გითხრათ, იმდენი უსამართლობა ვნახე, დღეს როგორ მოვიქცევი, არ ვიცი.

**— საკანში გატარებული დღეებიდან არის ისეთი რამ, რაც საჯაროდ არ მოგიყოლიათ?**

— არა, საკანში კარგი არაფერი ხდება, ჩვეულებრივი საკნის ცხოვრება იყო, განსაკუთრებული ის იყო, რომ წყალთან მიახლოებისა და დაბანის საშუალებას არ გვაძლევდნენ, ამიტომ ყველა ყარდა. „ლარიოკით“ ვერ ვსარგებლობდით, საჭმელში აფურთხებდნენ.

**— ამ გადასახედიდან, თქვენს ორკვირიან თავგანწირვას აზრი ჰქონდა?**

— მგონია, რომ ამ თავგანწირვამ შედეგი გამოიღო, თუმცა მიშას, ბიძინას გარდა, ვერავინ დაამარცხებდა.

**— აღიარებას თავიდანვე გთავაზობდნენ?**

— არა, ჩემი ამოცანა იყო, შიგნიდან გამერკვია, რა საქმე შეთითხნეს. ჩემი აღიარებითი ჩვენებით ჟურნალისტებისთვის ყველაფერი გასაგები გახდა.

**— ადვოკატი ეკა ბესელია რა რჩევებს გაძლევდათ?**

— თავიდანვე მეუბნებოდა, თუკი წელიწადნახევარი გაუძლებ, სტრასბურგს მოვიგებთო.

**— არჩევანი გააკეთეთ — ჯაშუშობა აღიარეთ.**

— კი, მანჯურიის ჯაშუშობა. გოგა ხაინდრავა ფილმს იღებს და „9+1“-ში მაყურებელი „ფოტოგრაფების საქმის“ დეტალებს გაეცნობა.

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

არქივი

# ვისია „მაკაროვი“, რომლითაც პროკურორი მოკლეს

## გასროლა რესტორანში და მტკვარში ნაპოვნი მამაკაცის გვამი – კრიმინალური ისტორიის უცნობი დეტალები

**ეს შეკვეთილი მკვლელობა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული და ბურუსით მოცული ტრაგედიაა. მართალია, ქართველი ძალოვანები ქალაქის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობის შემსრულებლისა და შემკვეთის დადგენას მუნდირის ღირსებად თვლიდნენ, მაგრამ მკვლელის პოვნას 8 წელი დასჭირდა. შემკვეთის ვინაობა კი დღემდე უცნობია. ასევე, არ არსებობს პასუხი კითხვაზე: რატომ მოკლეს მიხეილ ქურდაძე?.. 2004 წლის 30 მაისს თბილისის პროკურატურის ეზოში მიხეილ ქურდაძის ბიუსტის გახსნაზე იმჟამინდელმა გენერალურმა პროკურორმა და თავდაცვის ექსმინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა: „ეს ადამიანი სახელმწიფო უწყებების მიერ იყო განწირული. მკვლელობა სწორედ აქ, ამ შენობაში დაიგეგმა“. რაზე, ან ვისზე გააკეთა ირაკლი ოქრუაშვილმა მინიშნება? ეს რიტორიკული შეკითხვაა... ქურდაძის მკვლელობა საზოგადოებას სამეგრელო-ზემო სვანეთის მთავარ პროკურორ ვახტანგ ქირიას მკვლელობამ გაახსენა... „ქართული სიტყვა“ გთავაზობთ არქივიდან ქურდაძის საქმის მივიწყებულ დეტალებს...**

### გასამართლება ლინჩის წესით

...ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საქართველოში დაწყებულმა განუკითხაობამ პიკს აფხაზეთის ომის დროს მიაღწია. მართალია, დროებით მთავრობას მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, მაგრამ ქვეყანას, პრაქტიკულად, კრიმინალები მართავდნენ. ისე არ დაღამდებოდა, რომ თბილისში სამი-ოთხი (ზოგჯერ მეტიც) მკვლელობა არ მომხდარიყო...

სროლის ხმა 1993 წლის 4 მარტს, ვაჟა ფშაველას №34-ის შესასვლელ ჩიხშიც გაისმა. ქრონიკული სისხლიანი გარჩევების ფონზე ამ ინციდენტის დეტალებს, ალბათ, არავინ ჩაუღრმავდებოდა, მაგრამ ზუსტად 4 დღის შემდეგ, ანუ 1993 წლის 10 მარტს კოსტავას ქუჩაზე, საკუთარ სახლთან ქალაქის პროკურორს მიხეილ ქურდაძეს მოკლავენ. გავა რამდენიმე წელი და გაირკვევა, რომ პროკურორი იმ იარაღით მოკლეს, რომელი იარაღიდანაც 1993 წლის 4 მარტს ვაჟა ფშაველას №34-ის ჩიხში გაისროლეს... საბედისწერო „მაკაროვი“ კიდევ რამდენიმე მკვლელობაში ამოტივტივდება, თუმცა ჯობია, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ და მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად მივყვეთ.

...ვაჟა ფშაველას გამზირზე მომხდარ გასროლას ორი ახალგაზრდის სიცოცხლე ეწირება. აქედან ერთ-ერთი სოხუმის სადაზვერვო ბატალიონის ოფიცერია, გვარად შანიძე. სამართალდამცავები ვინმე ნავერიანს აკავებენ, თუმცა მას მოწმის სტატუსით კითხავენ და მალევე ათავისუფლებენ. გამოძიება 4 მარტის სისხლიანი გარჩევის დეტალებს აღარ უღრმავდება...

ამ ინციდენტამდე ორი თვით ადრე, ანუ 1993 წლის 2 იანვარს დაუდგენელი შეიარაღებული პირები თენგიზ ალექსანდრეს ძე ძაძიევს კლავენ. ძაძიევი პატიმარი იყო და გლდანის პოლიციის განყოფილებიდან თბილისის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაჰყავდათ. შეიარაღებულებმა ძაძიევი სწორედ ამ დროს გაიტაცეს, თუმცა ბადრაგს თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია...

საერთოდ, იმ დროს ეჭვმიტანილთა ე.წ. ლინჩის წესით გასამართლება ერთგვარ ტრადიციად იქცა. მაგალითად, თბილისის ზღვის ტერიტორიაზე პოლიციამ უცნობი მამაკაცის გვამი იპოვა, რომელსაც ცივი და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობები ჰქონდა. გაირკვა, რომ გარდაცვლილი იაგო იოსების ძე ტატუნაშვილი იყო. 1992 წლის 13 ოქტომბერს ტატუნაშვილი თბილისის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორიდან თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში გადაჰყავდათ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე „ჩორნი ვორონას“ გზა შეიარაღებულებმა გადაუკეტეს. უცნობებმა ბადრაგი განაიარაღეს და ტატუნაშვილი ბადრაგისავე ავტომანქანით გაიტაცეს...

იმხანად ლინჩის წესით კიდევ სამი პიროვნება – თამაზ ოქიტაშვილი, მალხაზ ჩაჩუა და დავით რამაზანოვი გაასამართლეს. ამ დანაშაულებზე პასუხისმგებლობა, წესით, პოლიციას უნდა აეღო, მაგრამ თბილისის მთავარი სამმართველოს მაშინდელი უფროსი, დავით ზეიკიძე დუმდა. მას პასუხს არც ზემდგომები სთხოვდნენ.

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში დავით ზეიკიძე ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო – როგორც პოლიციის შერიფს, ათასობით შეიარაღებული ადამიანი ემორჩილებოდა. თანამდებობის პირები მასთან დაპირისპირებას, ალბათ, ამიტომაც გაურბოდნენ. არადა, ხალხში ხმა დადიოდა, რომ პატიმრებს ე.წ. ლინჩის წესით ზეიკიძისა და მისი მარჯვენა ხელის, ბორის ივანოვის ინიციატივით ასამართლებდნენ.

სხვათა შორის, ეს ის ბორის ივანოვია, რომელიც რამდენიმე წლის წინ ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციის ბრალდებით დააკავეს. პენსიაში გასვლის შემდეგ ივანოვი საცხოვრებლად, როგორც ამბობენ, მოსკოვში გადავიდა და საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდა...

დანამდვილებით ვერ ვიტყვით, რომ პატიმართა ლინჩის წესით გასამართლების უკან, მართლაც, ზეიკიძე-ივანოვის დუეტი იდგა, მაგრამ პოლიციაში გამეფებულ უკანონობაზე ხმა მიხეილ ქურდაძემ აიმაღლა და ზეიკიძეს წარდგენაც გაუგზავნა: „უმრავლეს შემთხვევაში, თვითგასამართლების ფაქტებს ადგილი ჰქონდა პატიმრების ექსპერტიზის ბიუროში გადაყვანის დროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ინფორმაციის გაჟონვის ფაქტებს, რაც ყოვლად დაუშვებელია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა შემთხვევაში ბადრაგს თავს ესხმიან გამოძიებით დაუდგენელი პირები და იტაცებენ პატიმრებს, რომლებსაც შემდეგ კლავენ ისე, რომ ბადრაგის მხრიდან რაიმე წინააღმდეგობას არ აწყდებიან. აღნიშნული ფაქტების გაგრძელება და ლინჩის წესით გასამართლების პრაქტიკის დამკვიდრება კანონსაწინააღმდეგო და მიუღებელია. გთხოვთ, მიიღოთ გადამჭრელი ზომები“.

იერარქიის მიხედვით, ქალაქის პროკურორობა თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსობაზე მაღალი პოსტია. მიუხედავად ამისა, დავით ზეიკიძე მიხეილ ქურდაძის წარდგინებას ყურადღებას არ აქცევს. მეტიც, სწორედ ამ დროს ნაძალადევის რაიონის პროკურორს ლაური ჯანაშიას იტაცებენ. ასევე, ვრცელდება ინფორმაცია, რომ თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში თითქოს 149 პატიმარი აწამეს. ერთი ვერსიით, 1993 წლის 4 მარტს მიხეილ ქურდაძე დავით ზეიკიძეს შეხვდა და დაემუქრა, რომ თუ სიტუაცია არ გამოსწორდებოდა, მას და ბორის ივანოვს დაიჭერდა.



დანამდვილებით არავინ იცის, ზუსტად იმ დღეს, როცა ვაჟა ფშაველას №34-ის ჩიხში გასროლა მოხდა, ქალაქის პროკურორი პოლიციის შერიფს მართლა დაემუქრა თუ არა. ალბათ, ისიც შემთხვევითობაა, რომ მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმეში 4 მარტი ორჯერ ფიგურირებს. ყველაზე უცნაური კი მაინც „მაკაროვის“ ისტორიაა...

### შტრიხები მოკლული პროკურორის პორტრეტისათვის

...1993 წლის ზამთარია. ქალაქში ცნობილმა გადამყიდველმა მიხეილ ქურდაძეს ჭაობისფერი პალტო მიუტანა. პროკურორი კლასიკურ ტანსაცმელს ატარებს. ეს პალტოც სწორედ მისი შესაფერისია, ფასიც ხელმისაწვდომი აქვს – 1000 მანეთი. მართალია, სამსახურიდან გვიან ბრუნდება, მაგრამ შინ მისული პალტოს იცვამს, იზომებს... ბოლოს ამბობს, მირჩევნია, ეს 1000 მანეთი შვილებს მოვახმაროო. პალტოს გადამყიდველს უბრუნებს. მეორე დღეს ჩუღურეთში მკერავთან მიდის, პალტოს შეკვეთას აძლევს, მაგრამ მის ჩაცმას ველარ მოესწრება...

საერთოდ, მიხეილ ქურდაძეს შეეძლო, უზრუნველად ეცხოვრა, მაგრამ ღირსებას, როგორც ამბობენ, ფუფუნებითა და თანამდებობით არ აღიქვამდა. არადა, წარმატებას ძალიან ახალგაზრდამ მიაღწია – 30 წლის ასაკში უკვე რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი იყო... ერთხელ, მეზობლებს უთქვამთ, ამდენს, ალბათ, იმიტომ მიაღწიე, რომ ნიჭი გაქვსო.

– ნიჭი კი არ მაქვს, მშრომელი ვარ, – მოკლედ მოუჭრია პროკურორს. შრომა კი, მშობლებმა შეაყვარეს. მიხეილის მამა – ზაქარია ქურდაძე სურამის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა. ბატონი ზაქარია შვილებს, თურმე, მკაცრად ზრდიდა: მოწაფეობის დროს მომავალი პროკურორი თბილისის საფრენოსნო სკოლაში შესულა. ამის გამო, ალბათ, სწავლას უკლო და გერმანულში სამიანი მიუღია. ზაქარიას შვილი მკაცრად დაუსჯია – საფრენოსნო სკოლიდან გამოუყვანია.

ბატონი მიხეილიც მკაცრი ყოფილა, წესრიგი და გონებაგახსნილი ხალხი ჰყვარებია. ერთხელ, ჯაბა იოსელიანზეც უთქვამს, ნიჭიერი კაციაო... ნიჭთან მწყრალად არც თვითონ იყო – ლექსებს წერდა, ბლოკი, პუშკინი და „ვეფხისტყაოსანი“, თურმე, ზეპირად იცოდა. ერთხანობას ტელევიზიაშიც მუშაობდა – გადაცემა „სამართალი და კანონი“ მიჰყავდა. სხვათა შორის, ბევრს ჯაზმენ გია ჭირაქაძეში ერეოდა. მათ შორის მსგავსება მართლაც იყო – სხვა თუ არაფერი, ორივე ძვლის დიდ შავ სათვალეს ატარებდა...

მიხეილ ქურდაძე ბოჰემურად არ ცხოვრობდა – არ ეწეოდა, არ სვამდა, თუმცა ოჯახური ნადიმები ჰყვარებია. მუდამ სპორტულ ფორმაში ყოფილა – დილის 6 საათზე იღვიძებდა, ლისის ტბაზე მიდიოდა, ცივ წყალში ბანაობდა, 8 საათზე შინ ბრუნდებოდა. ცხრაზე კი უკვე სამსახურში იყო. თავისი საქმე ძალიან ჰყვარებია. ამბობენ, მიშა ქურდაძეს გამოძიება ხელოვნების დონემდე ჰყავდა აყვანილიო... სხვათა შორის, მთელ საბჭოთა კავშირში სულ ორი პრაქტიკოსი პროკურორი ყოფილა, ვინც სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა: რუსი სავიცკი და ქართველი ქურდაძე...

მუხანათური სიკვდილისთვის განწირული პროკურორი პრინციპული და მიზანდასახული ყოფილა. სკოლა რომ დაუმთავრებია, პირველ წელს უნივერსიტეტში ვერ მოწყობილა. მშობლიურ სურამში დაბრუნებულა და, მამის რჩევით, კოლმეურნეობაში მუშაობა კომბაინერად დაუწყვია... ერთი წლის შემდეგ, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მაინც გამხდარა. მომავალი მეუღლე ლეილა ქაჯაიაც სწორედ სტუდენტობისას გაუცვნია. ლეილას მამა – სერგო ქაჯაია თავის დროზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ყოფილა, შემდეგ მოღვაწეობა პროკურატურაში გაუგრძელებია. ბატონ სერგოს, ალბათ, ესიამოვნა, რომ სიძეც მის კვალს გაჰყვა, თუმცა მიხეილს წარმატებისთვის სიმამრის დახმარების გარეშე მიუღწევია...

– მიშა ზახარიჩი პატიოსნების, სიმართლისა და კანონიერების სიმბოლო იყოო, – ამბობენ მოკლული პროკურორის კოლეგები. სიმართლისა და კანონიერების დამცველნი კი არც ერთ დროსა და ეპოქაში არ უყვართ. როგორც ჩანს, მიხეილ ქურდაძესაც ექიშპებოდნენ და თანამდებობა რამდენჯერმე დაატოვებინეს: პირველად გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსობიდან რიგით გამომძიებლად იმ საბაბით გადაიყვანეს, რომ მისი ძმა ბახვა (ჯუმბერ) ქურდაძე კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში იღებდა მონაწილეობას... რუსთავის პროკურორობიდანაც აბსურდული საბაბით მოხსნეს, აქაოდა, შენი ქალიშვილი ირინა, აბიტურიენტობის პარალელურად, მუშაობდა და ეს როგორ შეიძლებოდაო. არადა, კომუნისტებს წესი ჰქონდათ: საღამოს დასწრებულზე ისე ვერ ჩააბარებდი, თუ სტაჟი არ გქონდა. ირინა კი სწორედ უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საღამოს დასწრებულზე სწავლობდა...

გაგრძელება მე- 13 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317) | 13

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## არქივი

მე-12 გვერდიდან

ქალაქის პროკურორობა, წესით, პოლიტიკური თანამდებობა არ არის, თუმცა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ყველაფერი პოლიტიკას, უფრო სწორად, კრიმინალურ პოლიტიკას უკავშირდებოდა. მართალია, მიხეილ ქურდაძე პოლიტიკაში არ ერეოდა, მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაუჩივლია, ბანდიტების ხელში ვართ ჩავარდნილიო. სხვათა შორის, თანამდებობიდან წასვლაც დაუპირებია და ამის შესახებ იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუასთვის უთქვამს. სიგუა ჩასძიებია, წასვლა რატომ გინდაო. დავიღალეო, — მოკლედ მოუჭრია პროკურორს. შემდეგ შინაურებთანაც უთქვამს — ნეტავ, ხუთი წელი პროფესორის ჩანთით მატარა და მეტი არაფერი მინდაო... სხვათა შორის, სიგუა და ქურდაძე ნათესავები იყვნენ — ბატონი მიხეილის რძალი ექსპრემიერის ძმისშვილია.

რამ დაღალა ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძე? მოსალოდნელი უბედურების შესახებ, იქნებ, ვინმემ გააფრთხილა და სიტუაციის განეიტრალებას ცდილობდა? ისინი, ვინც მოკლულ პროკურორს იცნობდნენ, ამბობენ, რომ ბატონი მიხეილი პრინციპული ადამიანი იყო და ბრძოლის ველიდან არ გაიქცეოდა. მიხეილ ქურდაძე მაღალი რანგის პროფესიონალი იყო და, ბუნებრივია, ეცოდინებოდა, რომ მტრები ჰყავდა. შესაძლოა, მათ ბოროტ ჩანაფიქრსაც ხვდებოდა, მაგრამ ამის შესახებ არავისთან არაფერი უთქვამს. საერთოდ, სამსახურის საქმეებზე ლაპარაკი არ ჰყვარებია...

...მოკლედ, ვერდიქტი გამოტანილია: ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძე უნდა მოკვდეს!

1993 წლის 9 მარტია. წითელ ოთხშაბათამდე ზუსტად 24 საათიღაა დარჩენილი...

### საბედისწერო „მაკაროვი“

...1996 წელია. გიორგი ბუტიკიშვილი კიკეთიდან თბილისში მოდის. წყნეთის გზაზე ხალხმრავლობაა. გიორგი მანქანიდან გადმოდის და შეიტყობს, რომ ავტოავარია მომხდარა და დაზარალებული მძღოლი და მგზავრი საავადმყოფოში წაუყვანიათ. შემთხვევის ადგილიდან 10-15 მეტრის მოშორებით ბუტიკიშვილი „მაკაროვს“ პოულობს, რომელიც, ალბათ, ერთ-ერთ დაშავებულს ჰქონდა და ავტომანქანის ამოტრიალების დროს მიწაზე დავარდა. ბუტიკიშვილმა, წესით, შემთხვევის ადგილზე მისულ გამომძიებელს უნდა დაუძახოს, მაგრამ იარაღს ჯიბეში იდებს, მანქანაში ჯდება და გზას აგრძელებს...

მოგვიანებით, გიორგი ბუტიკიშვილი მუშაობას საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოში ეკონომისტად დაიწყებს, წყნეთის გზაზე ნაპოვნი „მაკაროვის“ დაკანონებას გადაწყვეტს და ერთ-ერთ ნაცნობს სთხოვს, რომ იარაღი ბალისტიკურად შეამოწმოს. მართალია, ნაცნობი ბუტიკიშვილს დაამშვიდებს, რომ იარაღი სუფთაა და სანერვიულო არაფერი აქვს, მაგრამ გავა რამდენიმე თვე და გაირკვევა, რომ „მაკაროვით“, რომელიც გიორგი ბუტიკიშვილმა წყნეთის გზაზე იპოვა, ქალაქის პროკურორი მიხეილ ქურდაძეა მოკლული. სხვათა შორის, ნაცნობი, ვისაც ბუტიკიშვილმა იარაღის არაოფიციალური ბალისტიკური შემოწმება სთხოვა, თურმე, „ნასედკა“ იყო. ამას ერთი ინციდენტიც ადასტურებს: ერთ საღამოს გიორგი ბუტიკიშვილი მუხიანში უცნობებთან ჩხუბის დროს საბედისწერო „მაკაროვიდან“ ჰაერში სამჯერ ისვრის. მას პოლიციაში იბარებენ და პისტოლეტს ჩამოართმევენ, 8 თვის შემდეგ კი აპატიმრებენ.

გამომძიება, ალბათ, ცდილობდა, რომ ქალაქის პროკურორის მკვლელობა გიორგი ბუტიკიშვილს თავის თავზე აეღო. 10 საათის განმავლობაში მას, თურმე, ყალბი ჩვენების მიცემასაც აიძულებდნენ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს... მიუხედავად ამისა, ბუტიკიშვილს რამდენიმე წელი მაინც მიუსაჯეს, თუმცა ამნისტიით გათავისუფლდა...

გიორგი ბუტიკიშვილი რომ არა, მიხეილ ქურდაძის მკვლელის პოვნა, ალბათ, ვერასოდეს მოხერხდებოდა, რადგან იარაღი, რომლითაც 4 ადამიანი, მათ შორის, ქალაქის პროკურორი მოკლეს, 1996 წლამდე დაკარგული იყო... საბედისწერო „მაკაროვიდან“ პირველად მიხეილ ქურდაძის მკვლელობამდე 6 დღით ადრე, 1993 წლის 4 მარტს ვაჟა ფშაველას №34-ის ჩიხში გაისროლეს, რასაც ნათიძისა და შანიძის სიცოცხლე შეეწირა. შანიძე გვარდიის სოხუმის სადაზვერვო ბატალიონის ოფიცერი იყო და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მაკაროვი სწორედ მას ეკუთვნოდა...

1994 წლის 31 იანვარს, მტკვარში მამაკაცის გვამი იპოვეს. ამ ინციდენტს შემთხვევით პოლიციელი გია თელია შეესწრო. სხვათა შორის, ეს ის გია თელიაა, რომელიც რამდენიმე წლის წინ სამართალდამცავებმა ახლობლის ბინაში ჩაცხრილეს. მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თელია ერთ-ერთ გავლენიან პოლიციელად ითვლებოდა. ამბობენ, რომ მან პოლიტიკურ ელიტაზე ბევრი რამ იცოდა და ამიტომაც მოიშორეს. სხვათა შორის, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, თელიას გაჩუმება არაერთხელ სცადეს. მას განსაკუთრებით შს და უშიშროების ყოფილი მინისტრი შოთა კვირაია ემტერებოდა. მინისტრისა და არცთუ მაღალი ჩინის პოლიციელის მტრობა, როგორც ჩანს, სახელისუფლებო კლანების დაპირისპირების გამოძახილი იყო, თუმცა ჯობია, მოვლენების განვითარებას ქრონოლოგიურად მივყვეთ...

ზუსტად იმ დროს, როცა მტკვარში მამაკაცის გვამი იპოვეს, გია თელიას მეგობრის — სერგო რურუას მეუღლე დაუკავშირდა.

— გია, რამდენიმე დღეა, სერგო არ გამოჩენილა და მის მოძებნაში უნდა დამეხმარო, — სთხოვა ქალმა პოლიციელს. რურუას ძებნაში თელიამ მთელი თბილისი გადაატრიალა, მაგრამ მეგობრის კვალს ვერც პოლიციის განყოფილებებში მიაგნო და ვერც — მორგში. ამასობაში ირკვევა, რომ მტკვარში ნაპოვნი მამაკაცი სერგო რურუაა.

— რურუა თელიას მოკლულია და მტკვართან სიტუაციის გასარკვევად მივიდა, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, რურუას გვამს აუცილებლად ამოიცნობდა, — უპატაკა შს მინისტრს დიდუბის პოლიციის უფროსმა გოჩა სისაურმა.

გია თელია დააპატიმრეს და, სერგო რურუას გარდა, კიდევ რამდენიმე მკვლელობის ბრალდება წაუყენეს... ციხიდან გამოსვლის შემდეგ თელია იტყვის, რომ შოთა კვირაიას ხალხი მიხეილ ქურდაძის მკვლელობის თავის თავზე აღებას აიძულებდა. 1995 წელს მიცემულ ერთ-ერთ ინტერვიუში თელია თემურ ხაჩიშვილზეც ლაპარაკობს.

სხვათა შორის, მიხეილ ქურდაძის მკვლელობის დროს ხაჩიშვილი შს მინისტრი იყო და შოთა კვირაიასთან მეგობრობდა, თუმცა მოგვიანებით მათ შორის ურთიერთობა დაიძაბა... 1995 წლის 29 აგვისტოს ედუარდ შევარდნაძეზე მოწყობილი ტერაქტის შემდეგ, ხაჩიშვილი ტერაქტში მონაწილეობის ბრალდებით დააკავეს, შოთა კვირაიამ კი საქართველოდან გაქცეული იგორ გიორგაძის სავარძელი დაისაკუთრა — უშიშროების მინისტრი გახდა. 2002 წელს, მაშინდელმა პრეზიდენტმა ხაჩიშვილი შეიწყალა და ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მან პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობა „დათვი“ შექმნა. იმხანად კულუარებში ითქვა, „დათვის“ უკან იგორ გიორგაძე იდგა... „ნაციონალებმა“ კი თემურ ხაჩიშვილი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისათვის დააკავეს...

**ამონარიდი გია თელიას ინტერვიუდან:**

„...თემურ ხაჩიშვილმა პირდაპირ განმიცხადა: შენ უნდა აღიარო გია გულუას მკვლელობა და ისიც, რომ ეს მოხდა დათო ზეიკიძისა და ბორია ივანოვის შეკვეთით. ამას მე დაგაწერინებ. ჩვენ ისინი უნდა გავანადგუროთ. მე, რა თქმა უნდა, უარი განვუცხადე. ხაჩიშვილს ჩაეღიმა და გავიდა. შემოვიდა ავტომატიანი ხალხი, რომლებმაც ავტომატის კონდახებით დამიწყეს ცემა... აღიარების მისაღებად ორი ფრჩხილიც კი ამომაძვრეს ფეხზე... წარმომიდგინეს სხვადასხვა მკვლელობების სია და მითხრეს, ამ სიიდან ამომერჩია რომელიმე მკვლელობა... ძალიან დიდი სია იყო, მასში მხოლოდ გვარები ეწერა. მახსოვს მიხეილ ქურდაძე, ზაზა ვეფხვაძე, გია სვანაძე...“

გია თელია ცოცხალი აღარ არის და ბევრი რამის გარკვევა, ბუნებრივია, შეუძლებელია, მაგრამ რატომ ცდილობდა კვირაია, რომ ქალაქის პროკურორის მკვლელად მაინცდამაინც გია თელია გამოეცხადებინა? ამ შეკითხვაზე პასუხი, ალბათ, ასეთია: თელია, რომელსაც ორგანოში მუშაობის 18-წლიანი სტაჟი ჰქონდა, დავით ზეიკიძის ნდობით აღჭურვილ პირად ითვლებოდა. შოთა კვირაია ზეიკიძეს, თურმე, კონკურენტად მიიჩნევდა და მის გზიდან ჩამოცილებას ცდილობდა, ანუ თუ თელია ქურდაძის მკვლელობას აღიარებდა და იმასაც იტყოდა, რომ შეკვეთა ზეიკიძემ და ივანოვმა მისცეს, ზეიკიძე თავისუფლებას დაკარგავდა და კვირაიასაც სანერვიულო აღარაფერი ექნებოდა.

სხვათა შორის, 1994 წლის აპრილამდე, ანუ იმ დღემდე, ვიდრე დავით ზეიკიძე პარლამენტში შეიჭრებოდა და შოთა კვირაიას შს მინისტრად დანიშვნას გააპროტესტებდა, ედუარდ შევარდნაძე მას, თურმე, დიდ პატივს სცემდა. ერთხელ ბატონ დავითს დაუჩივლია, ამდენ საქმეს ვაკეთებ და გენერლობას არ მაძლევენო. მეორე-მესამე დღეს „ზევით“ დაუბარებიათ და გენერლის ჩინი უბოძებიათ...

გამოძიებამ მტკვარში ნაპოვნი სერგო რურუას მკვლელი დაადგინა და გია თელიას ეს ბრალდება მოუხსნა, თუმცა დღემდე გაურკვეველია, ვინ მისცა რურუას მკვლელს ის საბედისწერო „მაკაროვი“, რომლითაც მიხეილ ქურდაძე მოკლეს? ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ რურუას მკვლელი შუა აზიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში მოკლეს...

### წითელი ოთხშაბათი

...ედუარდ შევარდნაძე, ალბათ, ნანობს, რომ თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ სიგუას დაუჯერა და სამშობლოში დაბრუნდა. მართალია, სახელმწიფო მეთაურია, მაგრამ ასეთი უუფლებო კომუნისტების დროსაც არ ყოფილა — სიტუაციას მთლიანად „მხედრიონი“ და სხვა გაურკვეველი წარმოშობის შეიარაღებული ფორმირებები აკონტროლებენ. თბილისი სროლების, სისხლიანი გარჩევებისა და მკვლელობების ქალაქად იქცა... დედაქალაქის მერმა კოტე გაბაშვილმა საგანგებო შტაბი შექმნა და ყოველ საღამოს თათბირს მართავს. ჩინოსნები მერიაში 9 საათისთვის იკრიბებიან...

1993 წლის 10 მარტია, ოთხშაბათი...

ქალაქის პროკურორს წესად აქვს — ვიდრე თათბირზე წავა, შინ უნდა შეიაროს, წყალი გადაივლოს და ტანსაცმელი გამოიცვალოს. მიხეილ ქურდაძემ ტრადიცია არც იმ დღეს დაარღვია და პროკურატურიდან გამოსულმა გეზი პირდაპირ შინისკენ აიღო. სხვათა შორის, მიხეილს დაცვა არ ჰყავს, მძღოლსაც შებინდებამდე ათავისუფლებს. ამას წინათ, ქალაქგარეთ იყვნენ, თბილისის შემოსასვლელში ვიღაცამ ისროლა. კიდევ კარგი, ტყვია პროკურორის მანქანას სანტიმეტრებით ასცდა, თორემ მძღოლს მოხვდებოდა. მძღოლი ქვრივია, ორ შვილს ზრდის. ბატონმა მიხეილმა იფიქრა, არეული დროა, ჩემს გამო ამ კაცს რამე რომ მოუვიდეს, ბავშვებს რაღა ეშველებათო და გადაწყვიტა, რომ საღამოობით მანქანა თვითონ მართოს...

...ცხრის 20 წუთი იქნებოდა, ქალაქის პროკურორის „07“ კოსტავას №72-ის ეზოში რომ შევიდა. მას ფეხდაფეხ მეზობელიც მიჰყვა. მიხეილ ქურდაძემ იფიქრა, ჩემმა მანქანამ ხელი არ შეუშალოს, გადავაყენებო და უკან მიტრიალდა... რამდენიმე მეტრში მამაკაცის სილუეტი გამოჩნდა. როგორც ჩანს, სადარბაზოდან გამოვიდა. სხვათა შორის, სადარბაზო ყოველთვის განათებულია. ახლა კი, თურმე, ნათურა გადაიწვა. იქნებ სპეციალურად გადაწვეს?..

რამდენიმე ნაბიჯიც და პროკურორი მანქანაში ჩაჯდება... შავებში ჩაცმული უცნობი უცნაურ მოძრაობას აკეთებს და სროლის ხმაც ისმა. მიხეილ ქურდაძეს პირველი სასიკვდილო ტყვია ლოყაში ხვდება. მკვლელი სროლას აგრძელებს და ეზოს აუღელვებლად ტოვებს... მიწაზე დაცემული პროკურორი სისხლში ცურავს...

მიხეილ ქურდაძეს სულ ექვსი ტყვია მოხვდა: 4 თავში და ორიც — გულმკერდში.

ქილერმა შემთხვევის ადგილზე ერთადერთი სამხილი დატოვა — რვა ვაზნა...

„მაკაროვი“ მიხეილ ქურდაძესაც ჰქონდა, მაგრამ იმ დღეს სატაბელო იარაღი რატომღაც შინ დატოვა, თუმცა რომც ჰქონოდა, თავს მაინც ვერ დაიცავდა, რადგან ქილერი უკნიდან მუხანათურად მიეპარა...

რამდენიმე წუთში კოსტავას ქუჩის №72-ის ეზო მაღალჩინოსნებით ივსება...

პროკურორის ცხედარს პროზექტურაში მიასვენებენ... პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი დავით ზეიკიძე მიხეილ ქურდაძის პანაშვიდზე არ მიდის...

ქალაქში ჭორები კოსმოსური სიჩქარით ვრცელდება... ზოგი ამბობს, რომ ქურდაძის მკვლელობა 30 ათასი დოლარი დაჯდა, ზოგიც უფრო ნაკლებ თანხას — 10 ათასს ასახელებს... მკვლელობის ვერსიებიც მრავალნაირია, პოლიტიკური შეკვეთიდან დაწყებული, პირადი ანგარიშსწორებით დამთავრებული...

ქალაქის პროკურორის მკვლელობის ბრალდებით პოლიცია ათეულობით ადამიანს აკავებს, ეჭვმიტანილთა ნაწილი მკვლელობას „აღიარებს“, ნაწილი — არა, თუმცა ვიდრე რეალურ მკვლელს იპოვნიან, თბილისში კიდევ რამდენიმე მაღალჩინოსანს მოკლავენ, მათ შორის, ტრანსპორტის პოლიციის უფროსს გია გულუას. გულუასაც, მიხეილ ქურდაძის მსგავსად, საკუთარ სახლთან გამოასალმებენ სიცოცხლეს. ეგაა ოღონდ: პროკურორს ერთმა ესროლა, გულუა კი სამმა ავტომატიანმა ჩაცხრილა.

სხვათა შორის, გია გულუა მიხეილ ქურდაძის მკვლელობიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 1994 წლის 20 აპრილს მოკლეს. ეს შესაძლოა, უბრალო დამთხვევაა, მაგრამ... ქურდაძე და გულუა მეგობრები და თანამოაზრეები ყოფილან. მეტიც, პოლიციის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროს დავით ზეიკიძესთან ორივეს დაძაბული ურთიერთობა ჰქონია...

საინტერესო დეტალი: 1992 წლის 12 ოქტომბერს ქურდაძეები სურამში რთველში წავიდნენ. უკან დაბრუნებულებს ბინა გაქურდული დახვდათ. მართალია, მძარცველებმა, რომლებიც სახლში დღისით შევიდნენ, რაღაც-რაღაცები წაიღეს, მაგრამ ოჯახს ეჭვი გაუჩნდა, რომ ეს კლასიკური ქურდობა არ იყო და უცნობები დოკუმენტებს ეძებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ამ ქურდობასა და პროკურორის მკვლელობას შორის კავშირი არსებობდა, მაგრამ ბატონმა მიშამ ქურდების ვინაობა შესაძლოა, იცოდა. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ მისი მკვლელობის შემდეგ პროკურატურიდან ქურდობის საქმე გაქრა...

1992 წლის 12 ოქტომბერს ქურდაძეების ბინაში შესულ უცნობებს სასურველი დოკუმენტები რომ ეპოვათ, პროკურორი სიკვდილს გადაურჩებოდა? — ამ შეკითხვაზე პასუხი, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ 1993 წელს, მიხეილ ქურდაძე რამდენიმე ისეთ საქმეს იძიებდა, რომ მათი გახსნა ვიღაც-ვიღაცებს, თურმე, არ აწყობდათ. პროკურორის მკვლელობის სცენარიც იქნებ, სწორედ მათ დაწერეს, მაგრამ ვინ არიან ეს „ვიღაც-ვიღაცები“?..

ქალაქის პროკურორის მკვლელობიდან 9 წლის შემდეგ ექსპრემიერი თენგიზ სიგუა, რომლის ძმისშვილიც მიხეილ ქურდაძის რძალია, ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის: „...მიშას ჩაუვარდა რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ვიდეოფირი, სადაც კრიმინალი იყო ასახული. მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ის შესაძლოა, ამის გამო მოეკლათ...“

გამოძიების ოფიციალურ მასალებში ვიდეოფირი ნახსენები არ არის. რატომ?

სხვათა შორის, მიხეილ ქურდაძის მკვლელობიდან ზუსტად 8 წლის შემდეგ, ანუ 2001 წლის ზაფხულში ცნობილ ჟურნალისტს — გიორგი სანაიას მოკლავენ. მართალია, გამოძიება დაადგენს, რომ გრიგოლ ხურცილავამ, იგივე „გრიცკომ“ გიორგი პოლიტიკური კი არა, პირადი მოტივით მოკლა, მაგრამ ჟურნალისტის მკვლელობას მაინც პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, მით უმეტეს, რომ ვიდეოფირი, რომელზეც „რაღაც კრიმინალია“ ასახული, სანაიას საქმეშიც ფიგურირებს...

...მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმეს რამდენიმე გამომძიებელი იძიებდა: თავიდან მკვლელობის გახსნას გია წამალაშვილი ცდილობდა, მაგრამ მოულოდნელად ის საქმეს ჩამოაშორეს. წამალაშვილის შემდეგ პროკურორის მკვლელობის გამოძიება გიგი პიპინაშვილმა დაიწყო, მაგრამ იგი სასტუმრო „ივერიის“ საბანკეტო დარბაზში მოკლეს. პიპინაშვლი, შესაძლოა, ბრმა ტყვიას შეეწირა, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ გამომძიებელი ქურდაძის მკვლელობის ორგანიზატორებმა მოიშორეს. პიპინაშვილის შემდეგ, ქურდაძის საქმის გამოძიება გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებელმა დავით ზირაქიშვილმა განაგრძო...

**ვანო პავლიაშვილი**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა, მეცნიერება, პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

**საზოგადოება**

# ონლაინ კაზინოების მომხმარებლები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

## ალექსანდრე სახელაშვილი პარლამენტს ე.წ. თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღების ინიციატივით მიმართავს — ვის შეეხება და რას ითვალისწინებს 18-მუხლიანი კანონპროექტი

**ბოლო წლებში ონლაინ გემბლინგის მომხმარებელთა ზრდა ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად იქცა, თუმცა ახალმა პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, დეკემბერში ხმამაღლა განაცხადა, რომ მთავრობა მის აკრძალვაზე სერიოზულად ფიქრობს. ამ განცხადებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია: ერთნი პრემიერის ინიციატივას დადებითად აფასებენ და მთავრობას მოუწოდებენ, ეს პროცედურა დააჩქაროს, მეორენი კი, აკრძალვას არ ემხრობიან და თვლიან, რომ ეს ადამიანის უფლებებში ჩარევაა. ამას, ძირითადად, აქტიური მოთამაშეები აცხადებენ. არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ გამოაქვეყნა კვლევა, რომლის თანახმადაც, 100 არასრულწლოვანი გამოკითხულიდან 67 ონლაინ და ოფლაინ კაზინოს აქტიური მომხმარებელია. ამ საგანგაშო კვლევამ შოკში ჩააგდო სრულიად საქართველო. განსაკუთრებით კი, მსგავსი ტიპის ბიზნესის აკრძალვის ინიციატორები და მათი მომხრეები. ამ თემასთან დაკავშირებით „ქართულ სიტყვას“ თვითაკრძალვის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, ექსპერტი ალექსანდრე სახელაშვილი ესაუბრა.**

**— ბატონო ალექსანდრე, თქვენი ინფორმაციით, ჩვენს ქვეყანაში ონლაინ და ოფლაინ კაზინოების მომხმარებელთა ზრდის კუთხით როგორი მდგომარეობაა?**

— მდგომარეობა ძალიან მძიმეა და იმისთვის, რომ საუბრის დასაწყისშივე შეგვექმნას წარმოდგენა, თუ რაზე ვლაპარაკობთ, ერთ სტატისტიკას მოვიყვან, რომლის მიხედვითაც, აზარტულ თამაშებზე ადიქციურად დამოკიდებულ ადამიანთა 75%-ს ჰქონია მცდელობა, ან ფიქრობს თვითმკვლელობაზე. ეს დასავლურ გამოცდილებაზე დადგენილი ციფრია. სხვათა შორის, იქ აზარტული თამაშები, მისი პოტენციური მავნებლობიდან გამომდინარე, რეგულირებადია. საქართველოში კი, კონტროლი და რეგულირება არ ხდება, რის გამოც ჩვენთან მოცემულობა, ბუნებრივია, ბევრად მძიმეა, მათ შორის არასრულწლოვნების მიმართულებითაც, რაც საკითხს დამატებით სიმძაფრეს სძენს.

**— დასავლურ ქვეყნებში არასრულწლოვან მოთამაშეებთან დაკავშირებით როგორი კონტროლი და რეგულაციებია?**

— საერთოდ, დასავლური ტიპის ქვეყნებში არასრულწლოვნებთან დაკავშირებით საკმაოდ მკაცრი და ქმედითი რეგულაციებია — მოზარდების არათუ აზარტული ტიპის დაწესებულებაში, არამედ, ღამის კლუბში შეშვებაც კი იზღუდება და საკმაოდ ეფექტურად. უნდა გვესმოდეს, რომ საქმე გვაქვს დაავადებასთან, რომელიც საერთაშორისო დაავადებათა კოდიფიცირების ნუსხაში ფ63 ნომრითაა შესული. ეს ერთ-ერთი ყველაზე დეპრესიული დაავადებაა, რაზეც ზემოთ მოყვანილი სუიციდის ფაქტებისა თუ მცდელობების ციფრიც ნათლად მეტყველებს. ამ უმძიმეს სენთან გამკლავება ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანს უჭირს და, წარმოიდგინეთ, რამდენად მძიმედ აისახება მოზარდზე, რომლის ფსიქიკაც ასეთი სტრესებისთვის მზად არაა.

გარდა ამისა, მოზარდი, როგორც წესი, მშობლებისგან მალულად, ანუ ჩუმად თამაშობს და აზარტული თამაშებისთვის საჭირო ფულის მოპოვება, ადრე თუ გვიან, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო გზებით მოუწევს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ლუდომანია მას პოტენციურ კრიმინალად აყალიბებს. ასე რომ, არასრულწლოვნები და აზარტული თამაშები აბსოლუტურად შეუთავსებელი ცნებებია!

**— დეკემბერში, პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ღიად დააფიქსირა, რომ მსგავსი ტიპის საიტების აკრძალვას აპირებს. თქვენი აზრით, რამდენადაა შესაძლებელი ონლაინ გემბლინგის შეზღუდვა და ეს რა შედეგს მოიტანს?**

— აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტს, თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღების შესახებ, საკანონმდებლო წინადადებით მივმართეთ.

**— „თვითაკრძალვის შემოღება“ რას ნიშნავს?**

— რას და, — აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანებისთვის ნებაყოფლობითი, ვადიანი თვითბლოკირების, ანუ ე.წ. გაშავების უფლების მოპოვებას. თავის მხრივ კი, აზარტული ტიპის დაწესებულება ხდება ვალდებული, პირის პირადი ნომერი დაწესებულებაში შეშვებამდე გადაამოწმოს და იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებას გამოყენებული აქვს თვითაკრძალვის მექანიზმი, სათამაშო დაწესებულება ვალდებული იქნება, არ შეუშვას, თუმცა ონლაინ თამაშების რეალური რეგულირება ძალიან რთულია. არის გარკვეული პრეცედენტები, მაგალითად, ანგარიშზე გარკვეული თანხის გაყინვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ პიროვნებას აქვს საკმარისი შემოსავლები, რათა თავს ასეთი ძვირადღირებული გართობის უფლება მისცეს. ასევე, ბიომეტრიული კამერები, რაც პირის უტყუარი იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით გარკვეული ხვრელები მაინც რჩება, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი, რომ მთელ რიგ დასავლურ ქვეყნებში ონლაინ თამაშები აკრძალულია.

ისიც უნდა ითქვას, რომ გამოსავალი მხოლოდ ონლაინ თამაშების აკრძალვა, ან მისი რეგულირება არაა. საერთოდ, ამ სფეროს რეგულირებაა აუცილებელი.

**— „სფეროს რეგულირებაში“ რას გულისხმობთ?**

— ტერმინი „რეგულირება“ ცუდ ასოციაციას იწვევს. ამიტომ, მოდით, გამოვიყენოთ ტერმინი „სტანდარტები“, ანუ იმისთვის, რომ მოქალაქეები ადიქციური დამოუკიდებლობისგან დავიცვათ, ვფიქრობ, საჭიროა, აზარტული თამაშების ბიზნესს დავუწესოთ საჭირო სტანდარტები, გნებავთ, მოთხოვნები და აღნიშნული სტანდარტების დაცვა მათი შეუფერხებელი განვითარების პირობა იქნება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ განვითარება არ შეიძლება, სხვისი უბედურების ხარჯზე ხდებოდეს.

რაც შეეხება სტანდარტებს, თვითაკრძალვის მექანიზმის შესახებ 18 მუხლისგან შემდგარი კანონპროექტი დავწერეთ, რომელიც ვფიქრობ, საკმაოდ ეფექტური მექანიზმია ამ სფეროს დასარეგულირებლად და, სურვილის შემთხვევაში, მზად ვარ, ამ კანონპროექტზე დეტალურად ვისაუბრო.

**— ბატონო ალექსანდრე, ჩვენს ქვეყანაში უამრავი სრულწლოვანი მოთამაშეა. არჩევნების წინ, ონლაინ კაზინოების აკრძალვა, როგორ ფიქრობთ, მმართველი პარტიის რეიტინგზე უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს?**

— ჩვენს ქვეყანაში უამრავი ადამიანი და ოჯახი, ამ სენის გამო, გაუბედურებულია. არ მგონია, რომ ასეთ საკითხზე მსჯელობისას რეიტინგი აქტუალური თემა იყოს, თუმცა რადგან ვახსენეთ, გეტყვით, რომ პირიქით, დარწმუნებული ვარ, ამ საკითხის სწორი დარეგულირება ძალიან პოზიტიურ გამოხმაურებას ჰპოვებს საზოგადოებაში, ვინაიდან როგორც აღვნიშნე, ლუდომანია, ნარკომანიასთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური და აქტუალური საკითხია, რომლის მოგვარებასაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია!

**— რას ეტყვის მთავრობა ონლაინ კაზინოების მომხმარებლებს, რომლებიც საპროტესტო აქციებით იმუქრებიან, მათ რამე ალტერნატივას ხომ არ შესთავაზებენ?**

— ჯერჯერობით რამე კონკრეტულზე საუბარი არაა, თუმცა ველოდები, რომ სავარაუდოდ, შეიქმნება გარკვეული სამუშაო ჯგუფი, სადაც, ჩემი აზრით, უნდა ჩაერთონ უშუალოდ აღნიშნული ბიზნესის წარმომადგენლები და ამის შემდეგ გამოიტანოს საქართველოს მთავრობამ დასკვნა, რომელიც კონკრეტულ ადამიანებს, იმედია, აბსოლუტურად კონკრეტულ შედეგებს მოუტანს.

**— ამ ფონზე, აკრძალვა სხვა სათამაშო ბიზნესებსაც ხომ არ ემუქრება, რომელთაც ინტერნეტთან შეხება საერთოდ არ აქვთ?**

— საერთოდ, აზარტული თამაშების მთლიან აკრძალვას გამოვრიცხავ, ასეთი ალბათობა, ჩემი აზრით, არ არსებობს.

**— საქართველოში მოქმედი კაზინოები და ტოტალიზატორები მთავრობის ამ შესაძლო გადაწყვეტილებას, რომელიც პირდაპირ მათ ბიზნესს ურტყამს და შემოსავალს უმცირებს, აპროტესტებენ. კანონის ინიციატორებმა მათი გული როგორ უნდა მოინადირონ?**

— ამ ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრები მქონდა, რის შედეგადაც დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ ადამიანებს ესმით, რომ გარკვეული რეგულირება აუცილებელია, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენი შეხვედრის თემა და დღის წესრიგი აბსოლუტურად კონკრეტული იყო — შეეხებოდა თვითაკრძალვის მექანიზმს და, შემიძლია გითხრათ, რომ მათ ამ ინიციატივას მხარი დაუჭირეს, მათ შორის, ზოგიერთმა ღია ეთერითაც. ასე რომ, ჩემი აზრით, ამჟამინდელი პროტესტი გაურკვევლობითაა გამოწვეული და საჭიროა, რომ მთავრობამ ჩამოაყალიბოს პირველადი წინადადება, რაც ბევრ კითხვის ნიშანს თავისთავად მოხსნის და აღნიშნული პროტესტი მსჯელობად, მსჯელობა კი, გადაწყვეტილებად გადაიქცევა..

**— თქვენი აზრით, ამ ინიციატივის უკან ეკლესია ხომ არ დგას, რომელიც მუდმივად აპროტესტებდა მსგავსი ტიპის დაწესებულებების არსებობას? ფიქრობთ, რომ ეს ინიციატივა მხოლოდ კვირიკაშვილს ეკუთვნის?**

— მე, როგორც განათლებით თეოლოგმა, შემიძლია გითხრათ, რომ ეკლესიური თვალსაზრისით, აზარტული თამაშები ცოდვაა და ბუნებრივია, საქართველოს საპატრიარქოს ამ სფეროს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება აქვს. სხვათა შორის, საქართველოს საპატრიარქომ თვითაკრძალვის მექანიზმის შემოღებას ოფიციალურად მხარი დაუჭირა, რაც როგორც გითხარით, აზარტული თამაშების რეგულირებას გულისხმობს და არა — აკრძალვას. ეს საპატრიარქოს მხრიდან აბსოლუტურად სწორი და ზომიერი პოზიციაა. ასე რომ, ეს, ჩემი აზრით, უშუალოდ ბატონი პრემიერის ინიციატივაა, რამაც პირადად მე, მომცა დამატებითი სტიმული და იმედი, რომ იმ შემთხვევაში, თუკი სწორი რეგულირება იქნება მიღებული, ძალიან მალე უამრავი ადამიანისა და ოჯახის პრობლემა გადაიჭრება!

**საქართველოში ონლაინ სათამაშო ბიზნესის გაუქმებას მისი აქტიური მომხმარებლებიც ეხმაურებიან და აცხადებენ, რომ მთავრობის მხრიდან ეს მათ უფლებებში უხეში ჩარევაა:**

**ჯუმბერ დ-ძე, 33 წლის:** „პირადად მე, წინააღმდეგი ვარ მსგავსი ტიპის სათამაშო ბიზნესის აკრძალვის, ან დამატებითი რეგულაციების შემოღების, რადგან ვთვლი, რომ ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი — თუ უნდა ითამაშებს და თუ უნდა — არა. კაზინოში 5 ლარით ვერ შეხვალ, ინტერნეტში კი, შეგიძლია, შეხვიდე და ცოტა ხნით მაინც გაერთო, ან შენი მოთხოვნილება დაიკმაყოფილო ამ თანხით, თუ აზარტული ადამიანი ხარ“.

**ილია დ-შვილი, 22 წლის:** „მიმაჩნია, რომ ამ ნაბიჯით მთავრობა წინასაარჩევნოდ პოლიტიკური ქულების დაწერას ცდილობს. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ პირიქით მოხდება — ასეთი გადაწყვეტილებით ბევრ ხმას დაკარგავს. ამ ისედაც პოლიტიზირებულ ქვეყანაში ხალხს გასართობს არ უტოვებენ. თუ პიროვნება ჭკვიანია, ბევრს არ წააგებს და მიხვდება, როდის უნდა გაჩერდეს, ხოლო თუ ზედმეტად აზარტულია და ამავდროულად, სულელიც, ფულს ისესხებს და საკუთარი სურვილის დასაკმაყოფილებლად, კაზინოში მაინც შევა, ასე რომ, ვფიქრობ, საიტების გაუქმებით ამ პრობლემას მაინც ვერ მოაგვარებენ“.

**ასეა თუ ისე, ფაქტია: არსებობს ორი მკვეთრად დაპირისპირებული მხარე — აკრძალვის მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ახლა ჯერი მთავრობაზეა. ვნახოთ, მოახერხებს თუ არა იდეის განხორციელებას და რის ფასად დაუჯდებათ ყოველივე ეს. საინტერესოა წინასაარჩევნო გათვლაც, ანუ გამართლდება თუ არა მოთამაშეთა ეჭვი — დაკარგავს თუ შეიძენს „ოცნება“ მხარდამჭერებს? — ამას დრო გვიჩვენებს. ასე რომ, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას!**

**დავით დოლიძე**



## სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

# „2016 წელს მთავრობისა და ლიდერების შეცვლა მოხდება!“

**რა გველის და რეალურად, როდის დადგება 2016 წელი? რითი განსხვავდება ბედი ბედისწერისგან და როგორი თვისებებით გამოირჩევა ასტროლოგიური მაიმუნი? — ამ და სხვა საინტერესო თემებზე „ქართულ სიტყვას“ ასტროლოგი რამაზ გიგაური ესაუბრა.**

**— ბატონო რამაზ, დედამიწაზე ცეცხლოვანი წითელი მაიმუნის წელი ჯერ არ დამდგარა. როგორი იქნება — მშვიდობიანი წელი გვექნება?**

— დიახ, ჯერ არ დამდგარა. აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2016 წელი ცეცხლოვანი (წითელი) მაიმუნის წელიწადი 2016 წლის 8 თებერვალს დაიწყება და 2017 წლის 27 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

უნდა ვთქვათ, რომ აღმოსავლური ასტროლოგიის მიხედვით, ყველაზე რთული ვირთხის, ხარის, გველის და მეტ-ნაკლებად თხის წელია, თუმცა ითვლება, რომ მაიმუნი აღმოსავლური ზოდიაქოს მთავარი მოთამაშეა. ის ერთდროულად მსახიობიცაა და რეჟისორიც. თვითონ კარნახობს მოქმედებების გეგმას არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ, — სხვებსაც, ამავდროულად, შეუძლია, მოკლე პერიოდში სწრაფად შეცვალოს როგორც მოქმედებების გეგმა, ისე — ვექტორიც კი. მოვლენების ასე განვითარება ბევრ ადამიანს აბნევს და შეცდომებს აშვებინებს. მიუხედავად ამისა, მაიმუნის წელში წინდახედულობითა და სიფრთხილით კრიზისული სიტუაციებისგან თავის დაღწევა შესაძლებელია.

მაიმუნის წელში მოვლენები, ერთი შეხედვით, ღიად და გახსნილად ვითარდება, თუმცა ეს მოჩვენებითია, რადგან ამ წელს ახასიათებს ეშმაკობა და ცბიერება, რაც ბევრი ადამიანის ცხოვრების „აყირავების“ საფუძველი ხდება. ამ ტენდენციით, 2016 წელი რამდენადმე 2015 წელს ჰგავს.

**— ზოგადად, მაიმუნის წელს როგორი თვისებები აქვს?**

— როგორც წესი, მაიმუნის წელში დამახასიათებელია მოვლენების დინამიკური განვითარება. წარმატების მიღწევისთვის კი, აუცილებელი იქნება შეუპოვრობის, კომუნიკაბელურობის, მოხერხებულობისა და დიპლომატიურობის გამოჩენა. არ არის გამორიცხული, განვითარებული მოვლენები მოულოდნელად შეიცვალოს. ამიტომ, არ არის რეკომენდებული გაუმართლებელ რისკზე წასვლა. გაზრდილი იქნება მოტყუების ალბათობა, ამიტომ, „სიტყვაზე ნდობა“ გამართლებული არ იქნება.

ამ წლის ერთ-ერთი სიმბოლო ბრძენი ხუმარაა, რომელიც მეფეს სიმართლეს ხუმრობითა და სიცილ-სიცილით ეუბნება. ამიტომ, 2016 წელს მოსალოდნელია ბევრი სკანდალის გამჟღავნება, დაფარული და შენიღბული მოვლენების გამოაშკარავება და ძველი დანაშაულების გახსნა!

საინტერესოა, რომ ინდურ მითოლოგიაში არსებობს მაიმუნი-ღმერთი ჰანუმანი (ჩინურ მითოლოგიაში ჰანუმანს სუნ უკონგი ეწოდება), რომელიც ისევე, როგორც ჰანუმანი, მოხერხებულობასთან, ძალასა და გამარჯვებასთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, ჩინელი ასტროლოგები თვლიან, რომ მაიმუნის წელს გამარჯვების მისაღწევად, ძალასა და შეუპოვრობასთან ერთად, გამჭრიახობა და მოხერხებულობაც საჭიროა. ასე რომ, მაიმუნის წელში გამარჯვებისთვის აუცილებელი იქნება კომუნიკაბელურობის, შეუპოვრობის, დიპლომატიურობის, გამბედაობის, მოხერხებულობის, გამჭრიახობის, მიხვედრილობის, მოქნილობის, დიპლომატიურობის გამოვლენა და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება.

2016 წელს „იან“ (მამრული) ენერგია მართავს. ეს კოსმოსური იმპულსების ძლიერ, დინამიკურ გამოვლენაზე მიანიშნებს. აქედან გამომდინარე, ამ წელს წარმატებას ძლიერი, ენერგიული, აქტიური, შეუპოვარი და მიზანსწრაფული ადამიანები მიაღწევენ. გარდა ამისა, წარმატების მიღწევისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იქნება ინიციატივის გამოვლენა, ორგანიზებულობა და რისკ-ფაქტორების კონტროლი.

მაიმუნის წლისთვის დამახასიათებელია მერყეობა და ცვლილებები. ამიტომ, 2016 წლს მოვლენების თავის კალაპოტში მშვიდი დინება ნაკლებადაა მოსალოდნელი. როგორც სახელმწიფოებრივ, ისე ინდივიდუალურ დონეზე სტაბილურობის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება. ბევრი ადამიანი ძნელად აუწყობს ფეხს 2016 წლის არასტაბილურ რიტმს და ეს როგორც მენტალურ, ისე მატერიალურ დონეზე გარკვეულ პრობლემებს შექმნის.



**„ყველაფრის მართვა ადამიანის ხელშია!“ — წარმატების რეცეპტი ასტროლოგ რამაზ გიგაურისგან**

მაიმუნი ურთიერთწინააღმდეგობრივი ნიშანია. ამიტომ, მაიმუნის წელს ბევრ ადამიანს უჩნდება შინაგანი წინააღმდეგობები, ეჭვები, შფოთვისა და განგაშის განცდა, რაც მას დაუგეგმავი, იმპულსური და წინდაუხედავი მოქმედებებისკენ უბიძგებს. ეს კი, შეცდომების დაშვების მიზეზი ხდება. ამიტომ, ამ წელს ადამიანებმა უნდა ისწავლონ სიტუაციის რამდენიმე კუთხით შეხედვა და საფუძვლიანი ანალიზი, ეს შეცდომების რაოდენობას შეამცირებს.

**— 2016 წელი პოლიტიკურად აქტიურია — შემოდგომაზე არჩევნები უნდა ჩატარდეს. ამ ასპექტში ეს წელი როგორი იქნება?**

— პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, 2016 წლის პირველი ნახევარი გაცილებით არასტაბილური იქნება.

არ არის გამორიცხული, მთელ რიგ ქვეყნებში შინაგანი დაძაბულობა და პოლიტიკური კრიზისი ღიად არ გამოვლინდეს, მაგრამ თუ კრიზისის მუხტის დაგროვება მოხდა, 2016 წლის მეორე ნახევარში აუცილებლად კიდევ უფრო დიდი მასშტაბით ამოიფრქვევა.

ამ წელს განხორციელებული საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური რეფორმები, ცვლილებები და ახალი კანონები მთელი ძალით მხოლოდ რამდენიმე წლის გავლის შემდეგ გამოვლინდება (ეს იმითაც იქნება განპირობებული, რომ ხალხი ცვლილებებისთვის მზად არ იქნება).

2016 წელს, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მთავრობისა თუ ლიდერების შეცვლა მოხდება. ეს განსაკუთრებით, აზიურ ქვეყნებს შეეხება. საერთოდ, ეს წელი ძალიან ბევრი ქვეყნისთვის გარდამტეხი და საბედისწერო იქნება.

ამ წელს მნიშვნელოვნად მოიმატებს აჯანყებები, გაფიცვები და რევოლუციები, რადგან მაიმუნი ასტროლოგიურად ბუნტისთავია. ასეთი ტენდენციები მოულოდნელად, ხისტად, მაგრამ მოკლე პერიოდში გამოვლინდება.

ეს მოვლენები, ასე ვთქვათ, მომწიფდება წლის პირველ ნახევარში და უფრო დიდი ალბათობით წლის მეორე ნახევარში გამოვლინდება, როდესაც გასაგები გახდება, ვინ ვის ატყუებს და რა დოზით. მოსალოდნელია სწორედ ამ დროს მოხდეს სახელმწიფოებრივი ცვლილებები, გადადგომები, განსაკუთრებით არასტაბილური პოლიტიკური რეჟიმის ქვეყნებში, სადაც სამხედრო გადატრიალებები და შეიარაღებული დაპირისპირებებიც არაა გამორიცხული (წლის პირველ ნახევარში ამის მაღალი ალბათობა უფრო მეტად მარტსა და აპრილში იქნება).

**— ყველაფერ აქედან გამომდინარე, ეს წელი როგორ დავგეგმოთ თუ დაგეგმვა უკვე დაგვიანებულია?**

— დაგვიანებული არასოდეს არაფერია, რადგან „სჯობს გვიან — ვიდრე არასდროს“.

„დავგეგმოთ“ ძალიან კარგი სიტყვაა და მისი ფუძეა „გეგმა“. გვაქვს კი გეგმა, რა მიზნების მიღწევას ვაპირებთ 2016 წელს?

ადამიანები შეკითხვას ასე სვამენ: „რას მოგვიტანს 2016 წელი?“ არადა, ჯობია, კითხვა ასე დავსვათ: „რომელი მიზნების მიღწევას ვაპირებ 2016 წელს და როგორ?“ უნდა ვიყოთ აქტიურ და არა პასიურ მდგომარეობაში. ჩვენს ცხოვრებაში ჩვენ მთავარ როლში ვართ და არა — ეპიზოდურში. ეს ეხება როგორც ადამიანს, ისე სახელმწიფოს. ჩვენი პრობლემების გასაღები ჩვენივე თავშია — ჩვენს გულსა და გონებაში. სხვა ყველაფერი მხოლოდ დამხმარეა, ინსტრუმენტია. გადაწყვეტილებას ჩვენ ვიღებთ.

თქვენი გაზეთის მკითხველს ცნობილი ამერიკელი ორატორისა და ტრენერის, ბრაიან ტრეისის მეთოდს ვასწავლი, რომელსაც „უკან, მომავალში“ ეწოდება: წარმოიდგინეთ, რომ გავიდა ხუთი წელი. რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში? დაწერეთ თქვენი ცხოვრების გეგმა — სად ცხოვრობთ, როგორ გამოიყურებით, რას საქმიანობთ. დაწერეთ ყველაფერი აწმყო დროში, ანუ „ვარ“, „მაქვს“, „ვაკეთებ“, „ვცხოვრობ“ და ა. შ. ამასთან, ყველა გეგმას მიუწერეთ ის წელი, როდესაც გინდათ, რომ ამ მიზანს მიაღწიოთ. პრაქტიკულად, ეს იქნება თქვენი ხუთწლიანი გეგმა ყველა მიმართულებით. შემდეგ, „დაბრუნდით უკან“, აწმყოში და უახლოესი განსახორციელებელი მიზნების გეგმა ჩამოწერეთ. ამის შემდეგ უკვე რჩება ყოველდღიური შრომა, რადგან ხელთ თქვენი ხუთწლიანი მიზნები და მათი მისაღწევი გეგმები გაქვთ!

**— რელიგია და ასტროლოგია რამდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული?**

— თუ ზოგადად რელიგიაზე ვსაუბრობთ, აღმოსავლეთში, იგივე ინდოეთში — ადგილობრივი რელიგია და ასტროლოგია ერთმანეთს შესანიშნავად „უგებენ“. თუ ვსაუბრობთ ქრისტიანობისა და ასტროლოგიის შორის კავშირზე, ცხადია, აქ გარკვეული წინაღობები არსებობს, თუმცა უნდა გავაცნობიეროთ, რომ ასტროლოგია რელიგია არ არის, ის გარკვეული ცოდნაა, რომელიც ცხადია, შეიცავს მისტიკის გარკვეულ ნაწილსაც და ამის გამო ზუსტი მეცნიერების გვერდით ვერასდროს დადგება.

მიუხედავად ამისა, ასტროლოგია აინტერესებდათ და სწავლობდნენ ძველ ეგვიპტეში, შუმერში, უძველეს ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, აცტეკებისა და მაიას ცივილიზაციებში, შუა საუკუნეების ევროპაში.

ეს ხდება ახლაც — ვერ ნახავთ ერთ ცივილიზებულ ქვეყანასაც კი, მისი რელიგიური მრწამსის მიუხედავად, სადაც არ არსებობდნენ ასტროლოგები და არ აინტერესებდეთ ასტროლოგია.

საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში 300-მდე ასტროლოგიური ხელნაწერი ინახება და ეს ხელნაწერები არა მხოლოდ ნათარგმნია, არამედ, მათი დიდი ნაწილი საქართველოშია დაწერილი. მაგალითად, საქართველოში გვაქვს 1188 წლით დათარიღებული ასტროლოგიური ტრაქტატი „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“. მისი ერთი ნაწილი 1977 წელს ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა აკაკი შანიძემ მხედრულზე გადმოწერა. აღსანიშნავია, რომ ეს ასტროლოგიური ხელნაწერი იწყება შემდეგი სიტყვებით: „სახელითა ღმრთისაითა“.

აღარაფერს ვამბობ სამი მოგვისა და ქრისტეშობის მისტერიაზე, სადაც სამი მოგვი — ბალთაზარი, მელქიორი და გასპარი ეახლა ახალდაბადებულ ქრისტეს ბეთლემში და მიართვეს ოქრო, გუნდრუკი და მური, ანუ აღიარეს ის, როგორც მეფე, როგორც ღმერთი და როგორც ადამიანი.

სხვათა შორის, გასპარი ცნობილი სპარსი ასტროლოგი იყო და მისი სახელი, ოღონდ ლათინიზირებული ფორმით — „ჯასპერ“ ასტროლოგიის ისტორიაში არსებობს (ამ ადამიანს ავესტურ ასტროლოგიაში ეწოდება ჯამასპა ალ-ჰაქიმ ბრძენი, რომელმაც იწინასწარმეტყველა მესიის დაბადება).

ასტროლოგიის მცოდნენი იყვნენ დავით აღმაშენებელი, შოთა რუსთაველი და ვახტანგ VI. მეტიც, 1122 წელს, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი საქართველოს შემოუერთა, ამ დროს თბილისში არაბი ასტროლოგების მთელი პლეადა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო ექიმი და ასტროლოგი შარაფ ად-დინ აბუ-ლ-ფადლ ჰუბაიშ იბნ მუჰამედ ატ ტიფლისი, რომელიც ტფილისში 1156 წლამდე, ანუ დემეტრე I-ის სიკვდილამდე ცხოვრობდა. 1156 წელს, ის რუმის სასულთნოში გადავიდა და რუმის სულთნის პირადი ასტროლოგი გახდა.

მას, ვისაც სურს, უდიდესი ქართული პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ასტროლოგიურ სიღრმეებს ჩასწვდეს, საამისოდ ცნობილი ქართველი მწერლისა და რუსთველოლოგის ვიქტორ ნოზაძის „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ უნდა წაიკითხოს, ვახტანგ VI-ის ასტრონომიულ-ასტროლოგიური ცოდნის გასაგებად კი, 1721 წელს მის მიერვე დაარსებულ ტფილისის სტამბაში დაბეჭდილ წიგნს — „აიათს“ გაეცნოს.

ასტროლოგია საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე არსებობდა და მას უბრალო გლეხებიც კი იყენებდნენ, რომლებმაც იცოდნენ, რომ მაგალითად, ახალმთვარეობას მიწა არ უნდა მოეხნათ და დაეთესათ, რადგან ამ დროს მთვარეს „ჭიანი“ ენერგია ჰქონდა და მოსავალი არ მოდიოდა. ამ ცოდნას საქართველოს სოფლებში დღესაც წააწყდებით და ამას არ სჭირდება ასტროლოგიური ცხრილები, ე. წ. ეფემერიდები, რომელიც საქართველოში არსებობდა და მას შეცდომით „ეფრემ ვერდს“ ეძახდნენ. ამას მთვარეზე დაკვირვებაც ჰყოფნის.

**— ბატონო რამაზ, ერთგან წერთ: „სამყაროს სჭირდება დრო, რომ თქვენი სურვილები გაიაზროს“. ადამიანი საკუთარ ბედს თავად ქმნის?**

— დიახ, „ფეისბუქის“ ჩემს გვერდზე ხშირად ვაქვეყნებ მსგავს ჩანაწერებს. ადამიანები სულსწრაფები ვართ და გვინდა, ჩვენი სურვილები უმალვე აცხადდეს, თუმცა ასე არ ხდება და ჩვენ დეპრესიული, ან აგრესიული ვხდებით.

უნდა გვქონდეს სურვილი, თუმცა „მე მინდა“ ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ყველას უნდა, მაგრამ ეს ნდომა ისეთი სუსტია, რომ კონკრეტული ადამიანის გონებას არ სცდება. საჭიროა გაცილებით ძლიერი იმპულსური თავდაჯერებულობა, გამარჯვების რწმენა, მიზანსწრაფვა, ორგანიზებული შრომა და შედეგიც იქნება, თუმცა პრობლემა ისაა, რომ ადამიანების უმეტესობამ ზუსტად არ იცის, რა უნდა. ამავე უმეტესობამ ზუსტად იცის, რა არ უნდა. ამიტომ, საჭიროა ჯერ იმის გაცნობიერება, რა უნდა კონკრეტულ ადამიანს, შემდეგ დროის რა პერიოდში უნდა ამის გაკეთება და რას გააკეთებს ამ მიზნის მიღწევისთვის.

რაც შეეხება ბედისწერას, დიახ, მიმაჩნია, რომ ადამიანი თავის ბედს თვითონ ქმნის თავისი ყოველდღიური ფიქრით, ემოციით, სიტყვებით და მოქმედებებით. ადამიანის აზრები მომავალში ხდებიან სიტყვები, სიტყვები — მოქმედებები, მოქმედებები — ჩვევები, ჩვევები — ფასეულობები, ფასეულობები კი აყალიბებენ ადამიანის ბედს და ყველაფერი ეს იწყება ადამიანის აზრებით. ასე რომ, სულერთი არაა, ადამიანი ყოველდღიურად რაზე ფიქრობს.

საქმე ისაა, რომ განსხვავდება სიტყვები — „ბედი“ და „ბედისწერა“. პირველი (ბედი) ის არის, რასაც ადამიანი ირჩევს, სადაც ადამიანს შეუძლია არჩევანი გააკეთოს, ანუ თვითონ „წერს“ თავის ბედს, მეორე (ბედისწერა) კი, არის „დაწერილი ბედი“, ანუ ეს არის ის, სადაც ადამიანს არჩევანი არ აქვს. რა არის ეს? — ეს არის სამშობლო, მშობლები, შვილები... ადამიანი ვერ ირჩევს სად, როგორ ქვეყანაში და როგორ მშობლებთან დაიბადოს, სოციალურად, ხასიათით როგორი მშობლები და შვილები ჰყავდეს. როგორ აღზრდის შვილებს, ეს სხვაა, მაგრამ როგორი შვილები დაიბადებიან თუნდაც ჯანმრთელობის კუთხით, ან თუნდაც რა ნიჭი ექნებათ, ამას ვერ ირჩევს.

ადამიანი ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლესაც კი ვერ ირჩევს. საერთოდ არ ეკითხებიან, სურს თუ არა დაბადება. ადამიანს არც სიკვდილის შემთხვევაში ეკითხებიან, სურს თუ არა და როგორი სიკვდილი უნდა.

ყველაფერ ამის მიუხედავად, ყველაფრის მართვა ადამიანის ხელშია. ადამიანი თავისი ცხოვრების ორკესტრში დირიჟორია და უნდა შეეცადოს, რომ მისმა ცხოვრების „ორკესტრმა“ ჰარმონიული მუსიკა დაუკრას და არა — კაკაფონია.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

# დალი ყარაულაშვილი: „არაფრის მეშინია... როგორ შეიძლება, გეშინოდეს, თუ უფლის რწმენა გაქვს?!“

**პოეტი დალი ყარაულაშვილი თავისუფალი და საინტერესო ადამიანია... მისი შემოქმედებაც თავისუფლების ღაღადია და სწრაფვა სიმაღლისკენ, საიდანაც ადამიანი სულიერებას იღებს და სწავლობს, თუ როგორ უნდა იყოს თავის უფალი...**



**— ქალბატონო დალი, რა ხდება ადამიანში მაშინ, როდესაც პოეზიის, ასე ვთქვათ, შექმნას იწყებს?**

— სხვების განცდებზე ვერ ვისაუბრებ, ჩემში კი, პოეზიის შექმნის პროცესში, ახალი სიცოცხლე იბადება — ლექსის წერა ბავშვის დაბადებას ჰგავს. მშობიარე ქალის ტკივილებს დიდი ბედნიერება ახლავს და ეს ბედნიერება მისი პირმშოა. ლექსიც ჩემი პირმშოა, რომელსაც მე კი არ ვქმნი, არამედ, ჩემს ამოსუნთქვას მოჰყვება. ხან მგონია, რომ მე გამტარის მოვალეობას ვასრულებ და მერე შედეგი იმდენად დიდ ბედნიერებას მანიჭებს, რომ ამის აღწერა მიჭირს. განა, შეიძლება, განმარტო რატომ გიყვარს დედა, ან შვილი? ნამდვილი პოეტისთვის ძნელია, ისაუბროს იმ ემოციებზე, რასაც ლექსის წერისას განიცდის. ერთს კი, ნამდვილად ვიტყვი: პოეზიის შექმნა არც ტანჯვაა და არც — წვალება, რასაც ზოგიერთები თავგამოდებით ამტკიცებენ. პირიქით, ეს უსაზღვრო სიამოვნებაა. ეს მოწყურებულისთვის წყალია, წამალია, აფორიაქებული სულის სიმშვიდეა და ყველაზე დიდი — ეს კავშირია ზეცასთან.

**— არ გეშინოდათ, როდესაც ამ გზას დაადექით, მით უმეტეს, არაერთი ბუმბერაზი ქალი პოეტი გვყავს?**

— მერე ვინ თქვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ავდექი და ამ გზას დავადექი?! მე ვინ შემეკითხა, ნუგზარ? გარწმუნებთ, არაფერს ვიგონებ, წერა-კითხვა საერთოდ არ ვიცოდი, როცა ლექსად გამოვთქვამდი ჩემი ბავშვობის განცდებს, მოყოლილ ზღაპრებს, გაბრაზებას, სიხარულს... თავიდან ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, შემდეგ კი, დედა ჩემს ლექსებს იწერდა. საერთოდ, ჩვენი ოჯახი პურ-მარილითა და წვეულებებით იყო სახელგანთქმული და მახსოვს, ყოველ შაბათ-კვირას გამართულ წვეულებაზე სკამზე დამაყენებდნენ, სტუმრებს ჩემს შეთხზულ ლექსებს ვეუბნებოდი და გვარიანადაც მაჯილდოვებდნენ. შემდეგ, წერა-კითხვა რომ ვისწავლე, დედას „მდივნის“ მოვალეობა ჩამოვართვი და ჩემში საიდანღაც მოვარდნილ ფრაზებს მე თვითონ ვიწერდი. ზოგჯერ არც ვწერდი, ასე ბევრი ლექსი დამეკარგა. ეს გზა მე არ ამირჩევია, მინდა თუ არა, ჩემდაუნებურად მიწევს ამ გზაზე სიარული. არ მინდა, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ თავად გზამ ამირჩია. რაც შეეხება შიშს, არ მესმის რისი უნდა მეშინოდეს? მე ხომ არავის ვეჯიბრები და არც ვედრები?! ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, თუ ნამდვილი ხარ და სიტყვაც მართალი გაქვს, ალბათ, ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, არაფრის გეშინია და იცით, რატომ? — იმიტომ, რომ ჩვენ, ნამდვილებს ერთურთის არსებობა გვიხარია. ჩვენ იმას ვწერთ, რასაც ნამდვილად განვიცდით და ნამდვილად გვტკივა, რაც, არამც და არამც არაა სიყალბე. იმან, რაც სუფთა და ჭეშმარიტია, არ შეიძლება, თავისი განკუთვნილი ადგილი არ დაიკავოს, სულერთია, ეს პოეზია იქნება, პროზა, მეცნიერება თუ, უბრალოდ, საქმე, რომელიც გულიდან კეთდება. ასე რომ, არაფრის მეშინია. როგორ შეიძლება, გეშინოდეს, თუ უფლის რწმენა გაქვს?! თუ იცი, რომ ღმერთი აქ არის, შენს გვერდით, თუ მასზე ხარ მიყრდნობილი, განა, ის გამოგეცლება?! არ მეშინია!

**— იყო დედა, ქალი, პოეტი... ამ პასუხისმგებლობას როგორ უძლებთ?**

— დედობა ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა, ასევე, დიდი პასუხისმგებლობაა, გერქვას პოეტი, მაგრამ ეს ორი ერთმანეთს ხელს სრულებით არ უშლის. ყოველ შემთხვევაში, მე არ მიჭირს. დედობა შვილების სრულფასოვნად აღზრდაა, იყო დედა, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ გერქვას ეს სახელი, ეს ზეციდან დაკისრებული მოვალეობა, დიდი სიყვარული, გაძლებაა, დიდი თმენა და დიდი მორჩილებაა. დედა პოეტი — ეს ორმაგი დატვირთვაა, ვინაიდან დედა პოეტს, ორმაგად მოეთხოვება პასუხი უფლისა და ქვეყნის წინაშე. ამ შემთხვევაში, პოეტობა მეხმარება, მეხმარება პრობლემების გადალახვაში. ვიწროობი, გესმით, ვიწროობი. მე შვილებს ვზრდი, ლექსი კი, მე მზრდის. ე. ი. მე ვიზრდები პოეზიით და მერე ყველაფერს შვილებს გადავცემ. მეც და ჩემი შვილებიც ერთად ვიზრდებით. არ ვიცი, როგორ გამომდის, მაგრამ ვცდილობ, ვიყო საუკეთესო დედა. შვილებს სპარტანულად ვზრდი, ასევე, სპარტანულად ვიზრდები მეც.

**— რას უნდა იძლეოდეს ქალი პოეტის სახელი, ცხოვრება და შემოქმედება ქვეყნისთვის?**

— ქალი პოეტი რთული ფენომენია, თუ ის ჭეშმარიტად პოეტია და არა, — უბრალოდ, პოეტობის მოტრფიალე. ქალი პოეტი სამშობლოსთვის თავდადებული ჯარისკაცია, რომელიც „უშიშარია ვითარცა უხორცო“, მას დიდი სიყვარული შეუძლია. მას იშვიათად უმართლებს — რასაც გასცემს, იმის მსგავსსაც ვერ იღებს, მაგრამ მაინც უდიდესი პატიება შეუძლია და თანახმაა, იცხოვროს მცირედით, მაგრამ მისი სიყვარული, სამართლიანობა, სიძლიერე თრგუნავს და ღლის მეორე ნახევარს, ანუ მამაკაცს, ამიტომ ხშირად პოეტი ქალი მარტო რჩება... არსებობს ფრაზები: „დედა-ბოძი“, „დედა-კაცი“, „დედა-სამშობლო“... პოეტი ქალი უნდა იყოს დედა-შემომძახებელი, მისი სიტყვა სიყვარულით, ოპტიმიზმითა და სიკეთით უნდა იყოს სავსე. ქართველი ქალი პოეტის სიტყვა უნდა იყოს მანდილი. პოეტი ქალი ქვეყანაში მშვიდობის სიმბოლო უნდა იყოს და თავისი შემოქმედებით ემსახურებოდეს მომავალი თაობის სწორედ აღზრდას, მასში რწმენის გაღვივებას და სიკეთეს. პოეტ ქალს მიზანმიმართულად აკისრია აღმზრდელი დედის როლი, პოეზია მისი ყველაზე დიდი იარაღია, რომელიც ხან წკეპლის მოვალეობას ასრულებს, ხან — სიყვარულის და შეგონების და ხანაც გამწარებული დედის შემოძახილი უნდა იყოს, გზაარეული ვაცი ფარისკენ რომ შემოაბრუნოს. პოეტი ქალი შინ და გარეთ მებრძოლი ამორძალია!

სხვათა შორის, ბევრი ლექსი მაქვს, რომელიც შეიძლება, ქალებისა და დედების შემოძახილად ჩავთვალოთ. მაგალითად, 1982 წელს დაწერილი ლექსი „ქალი“, „ჩვენ მარტოსული ქალბატონები“, „ნუთუ, დამუნჯდა, რად დადუმდა ჩვენი თაობა?!“ ასევე პატრიოტულ თემაზე შექმნილი „მარტო ლექსებით ვერ ვითამარებ“, მაგრამ ჩემთვის ყველაზე საყვარელი ორი ლექსია — „ფრთები მეც მინდა“ და „დე, სიკვდილითაც არვის არ ვგავდე“, თუმცა ყველა ლექსი ძალიან მიყვარს. მაგალითად „ფრთები მეც მინდა“ სულიერი სიმაღლეებისაკენ ლტოლვის ნიმუშია:

„ვერ შევიყვარე ოქრო-ვერცხლი და
სულ ანგელოზებს ვუხმობდი ციდან,
უფალო ღმერთო! ფრთები მეც მინდა,
ჩემი გაჩენის პირველი დღიდან.
ვერ შევიყვარე მიწა წყეული,
თავის ხიბლით და თავის სიტკბოთი,
დავძრწოდი მარტო, მუდამ ეული
და გათოშილ სულს ზეცით ვითბობდი.
ჩამოვურიგე სული მოკვდავებს,
და ნაფლეთ-ნაფლეთ დავუნაწილე,
ახლა უსულოს ველარ მომკლავენ,
ახლა უსულოს რა შემაშინებს?!“

როცა ვამბობ, ფრთები მეც მინდა-მეთქი, ვგულისხმობ სულიერ სიმაღლეს, სადაც მატერიალური პრობლემა არაფერს წარმოადგენს, უფალს ვთხოვ იმ მაღალ მდგომარეობას, სადაც ადამიანი რაღაც სისულელეებზე არ ნერვიულობს, აკი, უფალი თავად გვირჩევს: „მცირედ მორწმუნენო! ნუ ფიქრობთ იმაზე, თუ რა ჭამოთ, ან რა სვათ, ვინაიდან თქვენმა მამამ უკეთ იცის, თუ თქვენ რა გჭირიათ“ ესე იგი, თუ ჩვენ სულიერად ავმაღლდებით, უფალი გვპირდება ყველაფრის მოგვარებას, განა მე, დალი ყარაულაშვილი ღმერთზე უკეთესად მოვაგვარებ რამეს? ფრთებში სწორედ იმ სულიერ სიმტკიცეს ვგულისხმობ, რაც ყველა პრობლემის მოგვარებაში დამეხმარება.

**— მაინც, ვინაა დალი ყარაულაშვილი?**

— ვინ ვარ მე, დალი ყარაულაშვილი? — ამაზე ბევრი მიფიქრია... ამ თემაზე ჩემი ორი ლექსი საუბრობს: „იქ, იმ ბიჭებთან, იმ ბავშვობაში“ და „დე, სიკვდილითაც არვის არ ვგავდე“. ეს ორი ლექსი ჩემი ავტობიოგრაფიაა და საერთოდ, ლექსები თვითონ საუბრობენ ავტორის ბუნებაზე. საკუთარ თავზე მიჭირს საუბარი, ჩემს შესახებ დაე, სხვებმა ისაუბრონ.

**— ყველაზე რთული პერიოდი რომელია თქვენს ცხოვრებაში?**

— ბედნიერი ბავშვობა მქონდა. 1964 წლის 28 იანვარს დავიბადე. 1986 წლიდან დაიწყო ჩემი ცხოვრების რთული პერიოდი და დღემდე „უხმლო-უფაროდ ვებრძვი სატანას“. თითქმის 30 წელია, კლდის ქარაფებზე მიწევს სიარული. წუწუნი არ მიყვარს, პირიქით, ჩემს სირთულეებს დავცინი. ვიცი, რომ 30 წელი ჩვენთვის, მოკვდავთათვის არის ხანგრძლივი დრო, მაგრამ უფლისთვის ალბათ, წამია, სწორედ ამ წამებში ვიწროობოდი და რომ არა ის სირთულეები, რომელთა გადალახვაც გამოცდილებამ მასწავლა და მომიწია, ალბათ, კაპიკი იქნებოდა ჩემი ფასი. ვთვლი, რომ ყოველი სირთულის გადალახვის ჟამს თითო გამოცდას ვაბარებ. სირთულეების გადალახვის სპორტული ინტერესი გამიჩნდა და ვცდილობ, მაღალი ქულა დავიმსახურო იმ დიდი ძალისა და უდიდესი სიყვარულის წინაშე, ღმერთი რომ ჰქვია. ჩემთვის სირთულე არ არსებობს-მეთქი, რომ გითხრათ, ვიცი, არ დამიჯერებთ, მაგრამ ვინც ახლოს მიცნობს, მათ კარგად იციან, რომ არა მარტო ჩემს სირთულეებს, სხვების სირთულეებსაც ვაგვარებ, როგორც შემიძლია, ვიცნობ თუ არ ვიცნობ, ახლობელია თუ შორეული, რა თქმა უნდა, რწმენისა და ღმერთის დახმარებით, მაგრამ არსებობს ერთი დიდი სირთული, რომელსაც ჯერჯერობით გასაღები ვერ ვუპოვე, ძიებაში ვარ. მამაჩემი ჭკვიანი კაცი იყო, ერთი სადღეგრძელო ჰქონდა ამორჩეული, ჩვენს დაუმარცხებელ მტრებს გაუმარჯოსო. ახალგაზრდა ვიყავი და სწორ ანალიზს ვერ ვუკეთებდი ამ ფრაზას. „დაუმარცხებელ მტრებში“ შვილებს გულისხმობდა, შვილს დასამარცხებლდ ვერ იმეტებ, როცა მასთან წინააღმდეგობაში ვარდები. მაშ ასე, ყველაზე დიდი სირთულე მხოლოდ ჩემთვის კი არა, ალბათ, ყველა დედისთვის ისაა, როცა დედა-შვილი სხვა და სხვა ენაზე საუბრობენ, როცა შვილთან სასაუბრო ენას ვერ მიაგენი და იძულებული ხარ, დადუმდე, სანამ ან ის, ან შენ იმ ენას ვერ მიაკვლევ, რომელიც ყველა კარს გახსნის. კიდევ ერთ რამეს ვიტყვი: დიდი სიამოვნებით მოვუხდიდი დედაჩემს ბოდიშს, ვინაიდან მეც სხვა ენაზე მოსაუბრე შვილი ვიყავი. სამწუხაროდ, დედა ცოცხალი აღარაა. ასე რომ, ბოდიშის მოხდა იმ ქვეყნად მომიწევს. იმედია, ჩემს გულწრფელობას სწორად შეაფასებთ.

**— პოეტი, რომელიც ყოველმხრივ სათაყვანებელი და მისაბაძია თქვენთვის...**

— დაუფიქრებლად გეტყვით: გალაკტიონია. მისაბაძი კი, ალბათ, ილია ჭავჭავაძეა, როგორც ნამდვილი მამულიშვილი და როგორც საზოგადო მოღვაწე. ისე, არავისთვის არასოდეს მიმიბაძია, პირიქით, ჩაცმითაც კი განსხვავებულად ვიცვამდი, სარდაფში ბებიას ძველ კაბებს ვეძებდი, აბლაბუდიან ხელჩანთებს ვწმენდდი და ვაახლებდი, არასოდეს არავის ვგავდი, სიტყვა „მოდა“ ჩემთვის არ არსებობდა და არც დღეს არსებობს. ჩემს წარმოსახვაში მყავდა ჩემი რჩეული ლიტერატურული გმირები, რომლებმაც ჩემს შეხედულებებზე წარუშლელი კვალი დატოვეს და ბევრმა მათგანმა ჩემი მსოფლმხედველობაც შეცვალა. ბავშვობაში მაუგლის ვბაძავდი, ქალიშვილობაში კი, ჯეინ ეარი გახდა ჩემი სათაყვანებელი ქალი. მთელი ცხოვრება გრაფ როჩესტერს ვეძებდი, სამწუხაროდ, ვერ მივაგენი, ეტყობა, იმ საუკუნეში არ მოვხვდი, გზა ამერია.

**— რას ნიშნავს თქვენთვის „წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია „ივერიაში“ მონაწილეობა და რა არის ეს პროექტი მწერლისთვის?**

— წმინდა ილია მართლის გაზეთ „ივერიის“ პროზა-პოეზიის პრემია „ივერიაში“ მონაწილეობა ჩემთვის ნამდვილად დიდი პატივია. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თქვენი შესანიშნავი პროექტი და მთლიანად თქვენი ორგანიზაცია ილიას სახელთანაა დაკავშირებული და ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს. ჩემთვის საამაყოა თქვენისთანა ადამიანებთან ურთიერთობა, მე ხომ სანთლით ვეძებ საქართველოზე გულწრფელად შეყვარებულ ადამიანებს?! ალბათ, უფლის ნება იყო ჩვენი შეხვედრა. ეს, თავისთავად, ძალიან სერიოზული პროექტია. ყურადღება მისაქცევია ის, რომ ამ პროექტში შესაძლებლობა ეძლევათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, წარმოჩინდნენ და თავი სრულფასოვან ადამიანებად იგრძნონ. როგორც აღვიქვი,

გაგრძელება მე-18 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 | 17

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

საინფორმაციო მხარდაჭერა

# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას თანამედროვე კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამაზე




საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:
(032) 296 90 44
599 54 70 42
595 26 79 46

თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას კრიმინალისტიკის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურების პროფესიულ პროგრამებზე, სადაც ისწავლება თანამედროვე კრიმინალისტიკა გამოძიებაში. (ყოველი საფეხურის დამთავრებისას გაიცემა დიპლომი)

პროგრამის ხელმძღვანელი: სამართლის დოქტორი, პროფესორი ანა ჭილიტაშვილი.

კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს ადაპტირებული კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე გამოძიების მოთხოვნები, დანაშაულის შემთხვევის ადგილის დაცვა, ნივთიერი მტკიცებულებების აღმოჩენა-ამოღება, ფიქსაცია თანამედროვე ფოტო-ვიდეო ტექნიკის გამოყენებით, შეისწავლება თანამედროვე დაქტილოსკოპიის საიდენტიფიკაციო მეთოდები (FBI-ის პროგრამის მიხედვით) და სხვა პრაქტიკული უნარჩვევების განხორციელება სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში.

კრიმინალისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კონკურენტუნარიანი კრიმინალისტი, სადაც შეისწავლება თანამედროვე ტრასოლოგია, ბალისტიკა, გამოძიების დაწყების საფუძვლები და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ტაქტიკა, დანაშაულის კვალიფიკაცია და მტკიცებულებათა მიღების, ფიქსაციის სამართლებრივი საკითხები, გამოძიების კრიმინალისტიკური და სისხლის სამართლის პროცესუალური ეტაპები.

კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამის მიზანია მოამზადოს მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი, პროფესიონალები, სადაც შესწავლას ექვემდებარება გამოძიების ეტაპზე თანამედროვე კრიმინალისტიკური და სასამართლო ექსპერტიზების დანიშვნა, ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების და გახსნის მეთოდიკა, საპროცესო/საგამოძიებო მოქმედების განხორციელების, მტკიცებულებათა სტანდარტის მოპოვების სამართლებრივი საფუძვლები, სისხლის სამართლის საქმის მაკვალიფიცირებელი და პიროვნების საიდენტიფიკაციო ნიშნების დადგენა;

კრიმინალისტიკის პროფესიულ პროგრამას უძღვებიან კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები.

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კრიმინალისტიკის ლაბორატორია და იმიტირებული სასამართლო დარბაზი.

**პროგრამის ხანგრძლივობა და დაშვების წინაპირობა:**

ხანგრძლივობა: პროფესიული საფეხურის თითოეული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს (10 თვე).

**დაშვების წინაპირობა:**

მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ საბაზო განათლების მქონე პირს, მინიმალური ასაკი 16 წელი.

მეოთხე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირს.

მეხუთე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მეოთხე საფეხურების კვალიფიკაციის მქონე პირს.

დასაქმების სფერო:

კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო/ოპერატიულ სამასახურებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის, სასჯელაღსრულების და პრობაციის, თავდაცვის სამინისტროები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური), ადვოკატთა კერძო და სახელმწიფო კორპუსის დარგში, დამოუკიდებელ (კერძო) საექსპერტო ბიუროებში.

პროფესიული პრაქტიკა:

სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხის ამაღლების მიზნით თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული წამყვან კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებთან.

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; სკოლის ატესტატი; 2 ფოტოსურათი (CD-თან ერთად)

**სწავლის საფასური:**

მესამე საფეხურზე: 1200 ლარი.

მეოთხე და მეხუთე საფეხურებზე: 1500 ლარი.

საბუთები მიიღება 1 თებერვლამდე.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ ვებგვერდზე – tbuniver.edu.ge განთავსებული სარეგისტრაციო ფორმა.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## საინფორმაციო მხარდაჭერა

მე-16 გვერდიდან

ამ პროექტის მიზანია, ყველა დროის ტკივილი, სიხარული, პოლიტიკურ-პატრიოტული საკითხები ამოატივტივოს და დადოს მომავალი თაობებისთვის, როგორც ისტორია, ვინაიდან ერის, ქვეყნის სოციალურ მდგომარეობას მწერალსა და პოეტზე უკეთესად ვერავინ გამოთქვამს და ასახავს. თუ ეს პროექტი გაგრძელდება და, ალბათ, უფლის ნებით წარმატებები გექნებათ, ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, ძველ და ახალ თაობათა ნათქვამი სიტყვის ერთმანეთთან შეჯერებისა და ანალიზის უკეთესად გაკეთების, თუ რა სჭირდა ამა თუ იმ დროს ქვეყანას, რა სტკიოდა ხალხს და რა დროს და როგორ იცვლებოდა მდგომარეობები, უკეთესობისკენ თუ უარესობისკენ. ღირსშესანიშნავია, რომ პროექტი მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და ერთმანეთთან აახლოვებთ ყოფითი პრობლემების გამო დაქსაქსულ პოეტებს, მწერლებს და ეს სიყვარული მთელი წელიწადი გრძელდება. შემდეგ კვლავ იწყება ახალი წელი და ისევ თქვენი მეშვეობით გვეძლევა საშუალება, კვლავ ერთად ვიყოთ. ეს შესანიშნავი პროექტი გვაძლევს საშუალებას, ერთად შევაფასოთ ლიტერატურის განვითარების საკითხებიც. ამ პროექტში არც ასაკია შეზღუდული და არც — ადამიანის შესაძლებლობა. ყველა დაფასებული და თანაბარია. არ არსებობს დიდი და პატარა პოეტი. ყველას თანაბრად ეძლევა შანსი, წარდგეს საზოგადოების წინაშე და თავისი სიტყვა თქვას. ეს პროექტი ხელმისაწვდომია ყველა მწერლისა და პოეტისათვის, ამიტომ გამორიცხული არაა, თქვენმა პროექტმა ჩრდილში მდგომი ბევრი ადამიანი წინ წამოწიოს და იქნებ, გენიოსებსაც მიაგნოთ.

— **როგორი დაფასება აქვთ დღეს პოეტებს და მწერლებს?**

— თითქოს ჩემს სულში იხედებით, ისეთ შეკითხვებს მისვამთ, რაც ძალიან მაწუხებს და მტკივა, რაზეც გამუდმებით ვფიქრობ... 25 ივლისს, „ვაჟაობის“ დღესასწაულზე საბოლოოდ დავრწმუნდი, თუ რა წყალწაღებულ მდგომარეობაში იმყოფება ქართული მწერლობა. რა დაფასებაზე შეიძლება ისაუბრო, როდესაც „ვაჟაობის“ დღესასწაულზე, ვაჟას სახლმუზეუმთან, კულტურის მინისტრის გამოჩენის გამო, ღვაწლმოსილი მწერლები და პოეტები მინისტრის დაცვამ და ადგილობრივმა პოლიციამ დიდი პოეტის სახლ-მუზეუმის აივნიდან ქათმებივით ააქშია და მინდორში, თაკარა მზის ქვეშ გარეკა, მხოლოდ რეზო მიშველაძე არ დაიძრა ადგილიდან. ბევრი პოეტი კი, იმ ტერიტორიას ახლოს არ გააკარეს, ვერ გავიგე, რატომ არ ეკადრებოდა კულტურის მინისტრს აივანზე ჩვენთან ერთად დგომა?! მერე, როგორც იქნა, მაყვალა გონაშვილსა და თითო-ოროლა მწერალსა და პოეტს აივანზე ასვლის ნება დართეს. ცოტა ხანი არ იყო გასული, რომ ხელმეორედ მოვარდა ახლა პრემიერ-მინისტრის დაცვა და ახლა მან გადარეკა მინდორში ცხვრებივით გატრუნული მწერალ-პოეტები. მის აღმატებულება პრემიერ-მინისტრსაც არ ეკადრებოდა ჩვენს გვერდით დგომა. ისევ მხოლოდ რეზო მიშველაძემ არ მოიცვალა ადგილიდან ფეხი. ყველა რომ ასე მოქცეულიყო, ჩვენს პატივისცემას ხელისუფლებაც ისწავლის და საზოგადოებაშიც აღვიდგენთ შელახულ სახელს. მწერალი თუ მონად იქცა, საზოგადოებას რა ელის? იყო პოეტი, ეს ნიშნავს, იყო მაგალითი შენი ერისა. ყველაფერ ამის შესახებ ვრცელი წერილი დავდე „ფეისბუქის“ გვერდზე. ღარიბაშვილის ხუთწუთიანი ვიზიტის შემდგომ, მაყურებელიც და ღონისძიების ორგანიზატორებიც ფინია ძაღლივით აედევნენ ბატონ პრემიერს და ღონისძიება ჩაიშალა, ვიღას ახსოვდა მწერალი და პოეტი?! ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს „ვაჟაობა“ კი არა, ღარიბაშვილობა იყო. ყველაზე დიდი სირცხვილი ის იყო, რომ შუა აზიიდან ჩამოსული ღვაწლმოსილი სტუმრები, რომელთაც მშობლიურ ენაზე თარგმნეს ვაჟა და შოთა რუსთაველი, გაოგნებულები დარჩნენ ხელისუფლების ჩვენდამი ასეთი დამოკიდებულებით.

...ახალი ხელისუფლება, რომელიც სათავეში სამართლიანობის აღსადგენად მობრძანდა, არაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ წინამორბედთა მიერ დაშვებული შეცდომები და ვანდალური ქმედებებიდან გამომდინარე, მიღებული შედეგები გამოასწოროს. მწერლებსა და პოეტებს წაართვეს სახლი, რომელიც მათ საჩუქრად თავად მესაკუთრემ გადასცა. „ნაჩუქარის წართმევა“ რომ არ შეიძლება, ეს ბავშვმაც იცის, მაგრამ ვერც ახალმა ხელისუფლებამ ივარგა და ვერ ან არ დაგვიბრუნა უკანონოდ წართმეული ქონება. რა ადგილი გვიკავია? რომელ ადგილზე საუბრობთ?! ადგილიც წაგვართვეს და ქედიც მოგვიხარეს, ზოგ-ზოგიერთების გამოკლებით. იქ, სადაც პირველ რიგში მწერალ-პოეტების ადგილი იყო („მწერალთა კავშირის“ ბაღს ვგულისხმობ) კაფე-რესტორანი გახსნეს და ერთი ფინჯანი ყავა 5 ლარი ღირს, რომელსაც მწერლის გამოფხეკილი ჯიბე ნამდვილად ვერ შესწვდება. აქედან გამომდინარე, ჩვენი კუთვნილი ადგილი „მწერალთა კავშირის“ ბაღში, გარედან შესულ, „კლიენტს“ უნდა დავუთმოთ. ვიღა ითვალისწინებს მწერლისა და პოეტის აზრს?! „მამული, ენა, სარწმუნოება“ — ამ სამ ფენომენზე დგას საქართველოს კეთილდღეობა, სწორედ ენაა ის საძირკველი, ანუ ფესვი, რომელზეც თაობები იზრდება. ესე იგი, ჩვენ, მწერლები და პოეტები (ვგულისხმობ ნამდვილ მწერლებსა და პოეტებს) წარმოვადგენთ საქართველოს კეთილდღეობის ერთ-ერთ ბერკეტს, მაგრამ სამწუხაროდ, ქვეყნის ბერკეტი კი არა, საკუთარი თავის ბერკეტებიც მოგვირყიეს და ლამისაა, თვითმკვლელი არწივებივით მიწას დავენარცხოთ. ვინც ხელისუფლებას გუნდრუკს უკმევს, იცოცხლე, გაპიარებული და გაფოფინებულია, მაგრამ ვინც სიმართლის სადარაჯოზე დგას, მათთვის ყველა გზა მოჭრილია. დღეს არავინ არაფერს ეკითხება მწერლებს. ჩვენი ქვეყნის ბედს, როგორც სურთ, ისე ჭრიან და კერავენ. დიახ! საქართველოს ბედს ისე ჭრიან და კერავენ, როგორც მათ ჯიბეებს სწვდება და სჭირდება. აგერ, შედეგიც სახეზე გვაქვს: ქვეყანა თავზე გვემხობა! გიჟივით გავიძახი, რატო დავდუმებულვართ „ჩვენ, პოეტები საქართველოსი?!“ მაგრამ... დუმილი მპასუხობს, ძველები დაგვიბერდნენ, ახლები კი, ისეთი თარგით გამოჭრეს და შეკერეს, რომ მათ ყურებს ჩემი და ჩემნაირების ძახილი ვერ წვდება. ასე რომ, სამწუხაროა, მაგრამ ამ ეტაპზე ეს ჭეშმარიტებაა!

— **ბოლოს, ქალბატონო დალი, როგორ საქართველოში იცხოვრებდით?**

— ისეთში, სადაც ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულო გახდებოდა რელიგიისა და უფლის სიტყვის ძირფესვიანად შესწავლა. მაშინ არ იქნებოდა ასეთი დონის სულიერი სიბრმავე. სადაც ხელისუფალნი საზოგადოებრივ ადგილებში გამოჩნდებოდნენ დაცვის გარეშე და მე, ჩვეულებრივი მოქალაქე, ან პოეტი, არ ვიგრძნობდი მმართველთა უნდობლობას ჩემს მიმართ, ანუ შიშს. სადაც ვაჟებს აღზრდიდნენ თანამედროვე რაინდებად, ქალებს დაუბრუნებდნენ წართმეულ ქალობას და გოგონებს ასწავლიდნენ მამაკაცის ღირსებისა და საკუთარი პატიოსნების დაცვას. სადაც ქურდობა ჩაითვლებოდა ყველაზე სამარცხვინო ქმედებად. მაშინ არ გვეყოლებოდა ათასნაირი მენტალიტეტის მატარებელი ახალგაზრდობა და იქნებოდა მხოლოდ ერთი საამაყო მენტალიტეტი — კაცობა! სადაც საკუთარი თუ სხვისი დედის გინებისთვის ერი გამოიტანდა განაჩენს, ვინაიდან საკუთარი დედისა და სხვისი დედის გინება, ნიშნავს ღვთისმშობლის გინებას და სანამ ჩვენ ასე მასიურად ღვთისმშობლის მაგინებლები ვიქნებით, სიკეთე არ გვეღირსება. სადაც უმაღლეს საფეხურზე იქნებოდა აყვანილი მშობლების პატივისცემა, დედაშვილობის ფენომენსა და მშობლის დანიშნულებაზე ბავშვობიდან გაანათლებდნენ პატარებს და მათ კოდივით ჩაუდებდნენ სულში მშობლის პატივისცემის რელიგიურ დანიშნულებას. მე ვიცხოვრებდი ისეთ საქართველოში, სადაც სიმართლეს გვირგვინს ვერავინ მოხსნიდა და ის იქნებოდა ჩვენი სამშობლოს კრედოც და ხელისუფალიც!

**ესაუბრა ნუგზარ ჭიაბერაშვილი**

## ჯანმრთელობის გვერდი

# როგორ გავუმკლავდეთ ზამთრის დაავადებებსა და საოფისე ჭარბ წონას



**ეს გვერდი თქვენი ჯანმრთელობის, თქვენი დღეგრძელობის, თქვენი გარეგნული მომხიბვლელობისა და ხალისიანი ცხოვრების ხელშეწყობისთვისაა. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად გავცეთ პასუხი ყველა იმ შეკითხვას, რაც ადამიანს საკუთარი თავის მოვლისთვის სჭირდება ყოველდღე და ყოველ საათს. ვეცდებით, მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებზე დაყრდნობით, პოპულარულად გადმოგცეთ სპეციალისტთა რჩევა-დარიგებები ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად ან მის აღსადგენად და ისეთი ხერხები შემოგთავაზოთ საამისოდ, რაც იოლად, იაფად და სახალისოდაც კი მასაღწევია. თითოეული თქვენგანი აუცილებლად ნახავს მისთვის საინტერესო მასალებს ჩვენს რუბრიკებში: „მამაკაცის ჯანმრთელობა“, „ქალის ჯანმრთელობა“, „ბავშვის ჯანმრთელობა“, „დღეგრძელობის საიდუმლო“, „კოსმეტიკა“, „დაავადებათა ანატომია“, „ხალხური მედიცინა“, „ჯანსაღი კვება“, „ჯანსაღი ცხოვრება“, „კულინარია“, „საყოველდღეო რჩევები“ და ა.შ. დაველოდებით თქვენს შენიშვნებს, სურვილებს, გამოხმაურებებს სხვადასხვა საკითხებზე. გმადლობთ, რომ ჩვენი მეგობარი გახდებით.**

### გულის დაავადებები

**სიცივე, ვიტამინებისა და მზის სხივების უკმარისობა ცუდად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ იჩენს ხოლმე თავს ზამთრის დადგომისთანავე სხვადასხვა დაავადება.**

სტატისტიკით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ზამთარში ორჯერ უფრო მეტად მწვავდება, ვიდრე წლის სხვა დროს. სიცივეში გული იძულებულია, უფრო ინტენსიურად იმუშაოს. ყინვაში სეირნობა ვარდისფერს გვძენს, რომელსაც ბევრი ჯანმრთელობის ნიშნად თვლის. სინამდვილეში, ეს სიცივეზე ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა, რომელიც სისხლძარღვების შევიწროებითა და სხეულის ზედაპირზე სისხლის ნაკადის მოწოლითაა გამოწვეული. შედეგად, იზრდება სისხლის წნევა და, მაშასადამე, გულზე დატვირთვაც.

ზამთარში განსაკუთრებით საშიშია არა მხოლოდ გულით დაავადებულთათვის, არამედ, ჯანმრთელი ადამიანებისთვისაც გრიპის ეპიდემიები და მწვავე ვირუსული დაავადებები. ხშირად გრიპის, ან ანგინის არასწორი მკურნალობა მიოკარდიტს — გულის კუნთის ანთებას იწვევს და ადამიანი გულის უკმარისობამდე მიჰყავს. არანაკლებ საშიშია ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი დავარდნა, რომლის დროსაც იზრდება კორონარული არტერიების სპაზმებისა და ინფარქტების რისკიც.

გარდა ამისა, ზამთარში არასათანადოდ ვიკვებებით და ნაკლებს ვმოძრაობთ. ნაკლებმოძრავი ცხოვრების წესის შედეგად, ორგანიზმს ჟანგბადი საჭირო რაოდენობით არ მიეწოდება და ამიტომ მკვეთრად ქვეითდება ნივთიერებათა ცვლა. ეს კი შესაძლოა, ნაადრევი ათეროსკლეროზის, ინფარქტებისა და ინსულტების მიზეზი გახდეს.

**დასკვნა:** ხშირად იყავით ჰაერზე, თუ ყინვაში გახვალთ, პირველ წუთებში მაქსიმალურად შეიკავეთ თავი აქტიური ფიზიკური მოძრაობებისგან, რათა ორგანიზმმა შეძლოს სხვა ტემპერატურისადმი შეგუება. გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე პაციენტები აუცილებლად უნდა აიცრან გრიპზე.

### ზამთრის დეპრესია და წონის „სეზონური“ მატება

ზამთარში, დღის შემცირება და მზის უკმარისობა თრგუნავს ენდორფინის — „ბედნიერების ჰორმონის“ გამომუშავებას. მისი დონის შემცირებას კი „ზამთრის დეპრესიამდე“ მივყავართ. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა სიცივეზე, რომელიც გენეტიკურ დონეზე შეგვახსენებს, რომ ზამთარი, დაბალ ტემპერატურასა და საკვების უკმარისობის პირობებში, თავის გატანის პერიოდია. დეპრესიიდან გამოსვლა იოლი როდია. ზოგჯერ ფსიქოლოგის დახმარება ხდება საჭირო. ზოგიერთი ცხიმიან, მწარე-ცხარე საჭმელს, ან ტკბილეულს მიაცხრება ხოლმე. მოკლედ, სიმაძღრისადმი მიდრეკილ ადამიანებს ძალიან ხშირად საკვები სჭირდებათ არა ენერგიის წყაროდ, არამედ, „ბედნიერების ჰორმონად“, რომელიც სასურველი ტრაპეზის მიღებისას გამომუშავდება.

ადამიანი გადაძღომამდე შეიძლება მიიყვანოს D ვიტამინის უკმარისობამაც, რომელიც მზის სხივების ზემოქმედებით გამომუშავდება ჩვენს კანში. ამ ვიტამინის უკმარისობის შედეგად კი, სიმაძღრის შეგრძნების შეკავება ხდება. ზამთარში ჭარბი წონის მიზეზი ხდება კიდევ ერთი — ცვლის პროცესების შენელება. სიცივის პირობებში, სწორედ ნივთიერებათა ცვლის შენელების წყალობით, ჩვენი ორგანიზმი უფრო მეტ ენერგიას იღებს, ვიდრე სითბოში — მას ამის უნარი შესწევს. შესაბამისად, კალორიების დიდი რაოდენობა ცხიმების წარმოქმნაზე მიდის. ზამთარში 3-4 კგ-ს მომატება ნორმალურად ითვლება. მეტის კი — უკვე პათოლოგიაა.

### ავიტამინოზი

ზამთრის სიცივეების პერიოდში შეიძლ-

გაგრძელება მე-19 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

20-26 იანვარი | № 2 (317)

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

# ჯანმრთელობის გვერდი

მე-18 გვერდიდან

ება, ჩვენს ორგანიზმს ალიმენტარული ავიტამინოზი დაემუქროს, რომლის სიმპტომებიცაა ხელ-ფეხზე კანის აქერცვლა, ქავილის შეგრძნება, მშრალი და ფერმკრთალი კანი, რომელსაც სირუხე გადაჰკრავს. ამ დაავადების დროს ტუჩების დახეთქვა ხდება, განსაკუთრებით — კუთხეებში. კბილების გახეხვისას, ან მაგარი საჭმლის ღეჭვისას ღრძილებიდან სისხლდენა იწყება. თმა ბრწყინვალებას კარგავს, ტყდება და ჩვეულებრივზე მეტად ცვივა. ფრჩხილებიც მსხვრევადი ხდება.

ვიტამინების უმეტესობას ადამიანის ორგანიზმი საჭმლის საშუალებით იღებს. ამიტომ ჰიპოვიტამინოზი ყველაზე მეტად სწორედ საკვებში მათი უკმარისობითაა განპირობებული. ეს კი, ერთფეროვანი კვებით, ცოცხალი ხილ-ბოსტნეულის ნაკლები მოხმარებით, პროდუქტების თბური დამუშავებითაა გამოწვეული.

გარდა ამისა, ზამთარში უფრო ხშირად ვართ ავად. ანტიბიოტიკების მიღება ნაწლავების ფლორას ვნებს, რაც ვიტამინებისა და მიკროელემენტების შეწოვას აუარესებს. ჰიპოვიტამინოზების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა რაციონალური კვება, კონსერვებზე, ნახევარფაბრიკატებსა და ჰამბურგერებზე უარის თქმა. საჭმელში დაბალანსებული უნდა იყოს ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების შემცველობა. ყოველდღიურ რაციონში უნდა შედიოდეს: ხორცი, ხაჭო, ყველი, კვერცხი, თევზი, ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, მარცვლოვნები.

თუ ჰიპოვიტამინოზი მაინც იჩენს თავს, შეიძლება რაციონს დაემატოს ვიტამინიანი პრეპარატები და პოლივიტამინური კომპლექსები, რომელთა შემადგენლობაშიც მიკროელემენტები შედის. ნებისმიერ შემთხვევაში, ვიტამინები წამალია და მათ მიღებაზე ჯობს, ექიმს შეუთანხმდეთ.

### ალერგია სიცივეზე და კოსმეტიკური პრობლემები

ყინვების დროს შეიძლება, კანი გაღიზიანდეს, დაიწყოს წვა და ქავილი. ამ სიმპტომებთან ერთად, თუ მკვეთრი წითელი გამონაყარიც გაჩნდა, ეს უკვე სიცივის „ჭინჭრის ციების“ ნიშანია, მაგრამ თუ კანი არა მხოლოდ იქავება და წითლდება, არამედ, იქერცლება კიდეც, დიაგნოსტირდება, როგორც სიცივის დერმატიტი. ამიტომ, ზამთარში ძალიან მნიშვნელოვანია კანის დატენიანება. თუ გარეგანად სათანადო კრემები გამოდგება, შინაგანად ორგანიზმს სუფთა სასმელი წყალი უშველის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სიცივეში გასვლის წინ დამატენიანებელი კრემის წასმამ, შეიძლება, კანს სერიოზულად ავნოს. ამიტომ ასეთ საცხებს გარეთ გასვლამდე ერთი საათით ადრე ისვამენ.

პირველივე კოსმეტიკური პრობლემების შენიშვნისთანავე, ექიმს უნდა მიმართოთ. დერმატოზების პროფილაქტიკისთვის კი, მიიღეთ სილამაზის ვიტამინები A, E და C პოლივიტამინებისა და საკვების საშუალებით. სწორედ ეს ვიტამინები უზრუნველყოფს გლუვ კანს, აბრეშუმის თმას და თვალთა ბრწყინვალებას. მიიღეთ ბიფიდობაქტერიები, რომლებიც K და B ჯგუფის (B1,B2 და სხვა) ვიტამინებს წარმოქმნის. ისინი ნივთიერებათა ცვლას აუმჯობესებენ, რაც ხელს ტანადობის შენარჩუნებას უწყობს, ასევე, უზრუნველყოფს მშვენიერ კანს, აფერხებს დაბერების პროცესს და საჭმლის სრულფასოვან შეწოვას ეხმარება.

სიცივეში თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, მიიღეთ ასკორბინის მჟავა, ასევე, სამკურნალო მცენარეების: გვირილის, კალენდულის, პიტნისა და სალბის ზოგადგამაკაჟებელი ნაყენები და ნახარშები. შფოთვებსა და ფსიქიკურ დაძაბულობას, როგორც ზამთრის დეპრესიის შედეგებს, შეგიმსუბუქებთ ანქსიოლიტიკები — მცენარეული წარმოშობის პრეპარატები, რომლებიც განწყობილებას აუმჯობესებს და მათ კრაზანა მიეკუთვნება. ვალერიანი და შავბალახა შეუცვლელია გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის. კუნელი, კატაბალახა, პიტნა, კრაზანა და სხვა ამაგრებს გულის კუნთს, აძლიერებს კორონარულ სისხლის მიმოქცევას, აქვეითებს არტერიულ წნევას და ქოლესტერინის დონეს.

### მუხთალი საოფისე ჭარბი წონა

გიმუხთლებთ, აბა, რა იქნება, თუ მთელი დღე ზიხართ და მხოლოდ ჭამისთვის დგებით?! აშშ-სა და ბრიტანეთში საოფისე სიმსუქნის პრობლემამ იმხელა მასშტაბებს მიაღწია, რომ მსხვილმა კომპანიებმა თავიანთ კორპორატიულ პოლიტიკაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ბრძოლაც დანერგეს. ზოგან თანამშრომლებს ფიტნესს-კლუბებში სიარულისთვის ფასდაკლებით სთავაზობენ აბონემენტებს, ზოგან ლიფტს კეტავენ, ზოგიერთები კი, ჭარბი წონის მოკლებისთვის პრემიებსაც კი უხდიან. ვიდრე ჩვენი ბიზნესმენები აქამდე მივლენ, მათი თაობებიც ჩაივლის და მათი თანამშრომლებისაც. ამიტომ გირჩევთ, თავად იზრუნოთ საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელობაზე. ლიფტსა და ესკალატორზე უარის თქმა ნამდვილად ეფექტურია ფორმის შესანარჩუნებლად. დაგეხმარებათ დილას და საღამოს, ასევე, შესვენების საათებში 15-15-წუთიანი ფეხით გასეირნებაც. მაგალითად, შესვენებაზე, სადილისთვის გამოყოფილი დროდან ჭამის შემდეგ თუ 20 წუთს გაისეირნებთ, ეს არა მარტო მიღებულ კალორიებს დაგაკარგვინებთ, არამედ, განწყობილებასაც აგიმაღლებთ, ყურადღებასაც გაგიუმჯობესებთ და კონცენტრაციის უნარსაც.

და კიდევ ერთი: არ შეინახოთ საჭმელი სამუშაო მაგიდის უჯრაში და მით უფრო — არ დაიდოთ წინ. კემბრიჯის უნივერსიტეტის უკანასკნელი გამოკვლევებით, რაც უფრო ახლოსაა ჩვენთან საკვები და რაც უფრო ხშირად ვუყურებთ, ცდუნება უფრო დიდია, რომც არ გვშიოდეს. არც კი იცით, როგორ იკრებთ კილოგრამებს ჩუმ-ჩუმად მთელი დღე ხან კანფეტის, ხან სხვადასხვა პაწაწინა ნამცხვრეულის ცმაცუნით.

### ორგანიზმიდან სიგარეტის შხამების გამოდევნა

სიგარეტის მავნეობაზე საუბარს არ დავიწყებ. ეს ყველამ კარგად იცით! მხოლოდ აღვნიშნავ, რომ მოწევაზე ფიზიოლოგიური მოთხოვნილება, ჩვეულებრივ, სიგარეტის გადაგდებიდან ერთი კვირის გავლის შემდეგ გადის. რაც შეეხება მოწევით მიღებული შხამების ორგანიზმიდან გამოდევნას, ამას გაცილებით დიდი დრო სჭირდება — მინიმუმ, 3 წელი მაინც. შეგიძლიათ, ეს ვადა შეამჭიდროვოთ და გაწმენდაში დაეხმაროთ თქვენს ორგანიზმს.

**1. კომბოსტო**

კომბოსტოს მოქმედება მიმართულია არა მარტო ტოქსინებისგან ორგანიზმის გაწმენდისკენ, არამედ კუჭ-ნაწლავის სამკურნალოდაც, მათ შორისაა წყლულოვანი დაავადებაც. ამგვარად, კომბოსტოს მირთმევით, ერთბაშად ორი მიმართულებით ვმოქმედებთ: ვახდენთ მძლავრ დეტოქსს და ვიტარებთ მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების პროფილაქტიკას.

**2. ნიორი**

ნიორი შეიცავს ალიცინს — ნივთიერებას, რომელიც ტოქსინების გამოდევნას ეხმარება. ამას გარდა, თავის ძირითად გამწმენდ მოქმედებას ნიორი სუნთქვისა და სისხლძარღვების სისტემებზე ახდენს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი საქმე გვაქვს ხანგრძლივი წევის შედეგების აღმოფხვრაზე.

**3. ვაშლი**

შეიცავს უჯრედისს, რომელიც მძიმე მეტალებს გამოდევნის და შესანიშნავად უმკლავდება სხვადასხვა სახის ტოქსინებს. ორგანიზმის წმენდის შედეგები თვალნათლივ აისახება კანზე, რომელიც გაუწყლოებით ძალიან ზარალდება, თუკი რეგულარულად ეწევით. ამასთან ერთად, დამტკიცებულია ღვიძლის გაწმენდაში ვაშლის სარგებლიანობა.

**4. ნიახური**

კარგად წმენდს სისხლს. ამას გარდა, მძლავრი ბუნებრივი შარდმდენი საშუალებაა, რომელსაც ორგანიზმიდან ბუნებრივი გზით გამოჰყავს დაგროვილი ტოქსინები. ცნობილია ასევე სხვა სასარგებლო თვისებებით.

**5. ბროკოლი**

მართალია ზემოთ კომბოსტოზე ვისაუბრეთ, მაგრამ ბროკოლი მაინც ცალკე უნდა გამოვყოთ — რადგან ეს ორგანიზმში სიგარეტის წევით გამოწვეული დამჟანგველი პროცესების საწინააღმდეგო ნამდვილი სტრატეგიული პროდუქტია. მასში არსებული B ჯგუფის ვიტამინები ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სისტემებს შეწყობილად მუშაობასა და მეტაბოლიზმის აუცილებელი დონის შენარჩუნებაში ეხმარებიან. ასევე დიდი რაოდენობით შეიცავს ბროკოლი C ვიტამინს, რომლის უკმარისობასაც მუდმივად განიცდიან მწეველები.

**6. შტოში**

ეს კენკრა არა მარტო ვიტამინებითა და მიკროელემენტებითაა მდიდარი, რასაც ხანგრძლივი რეგულარული სიგარეტის წევისას კარგავს ადამიანის ორგანიზმი, არამედ ძლიერი დეტოქსიური მოქმედებითაც გამოირჩევა. ამას გარდა, შტოში ნიკოტინის მჟავას შეიცავს, რომელიც ხშირად P ვიტამინსაც უწოდებენ. სწორედ ის დაგეხმარებათ სიგარეტზე უარის თქმაში.

**7. ბროწეული**

ბროწეული ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედებისაა. ის ორგანიზმის უჯრედებზე სიგარეტის ნეგატიურ მოქმედებას ანეიტრალებს. ეს ნაყოფი, ასევე, წმენდს სისხლს და მის ცირკულაციას აუმჯობესებს, ეხმარება კუჭის მოშლილობის დროს, რომელიც ხშირად შეინიშნება მწეველებში.

**8. ფორთოხალი**

მწეველები ხშირად განიცდიან ორგანიზმისთვის მნიშვნელოვანი C ვიტამინის უკმარისობას, რომლითაც ფორთოხალია მდიდარი. მაგრამ თუ სმუზებს მოვამზადებთ (რეცეპტი ადრე შემოგთავაზეთ) და ახალგამოწურულ ფორთოხლის წვენს სტაფილოსაც დავამატებთ, ასეთი ვიტამინური კოქტეილით განიმტკიცებთ იმუნიტეტს და გაგიუმჯობესდებათ სისხლის მიმოქცევა, რაც საერთო დეტოქსიკაციას დაეხმარება.

**9. ისპანახი**

ისპანახის ფოთლები დიდი რაოდენობით ფოლის მჟავას შეიცავს. სწორედ ის ეხმარება დაღლილ ორგანიზმს სიგარეტის წევის ნეგატიურ შედეგებთან ბრძოლაში და აჩქარებს ნიკოტინის გამოდევნას. უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ცვლილება, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ორგანიზმისთვის სტრესია. რეგულარულად ჩართეთ ისპანახი თქვენს მენიუში და სიგარეტზე უარის თქმა რამდენადმე გაგიიოლდებათ.

**10. ჯანჯაფილი**

ეს ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ზარდახშად ითვლება. ის მთავარი პლუსია მათთვის, ვინც უკვე დაანება თავი მოწევას. ჯანჯაფილი დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, რომელსაც აღდგენა სჭირდება სიგარეტში შემავალი ფისებისა და ნიკოტინის მავნე ზემოქმედებით მიღებული დაზიანებების გამო.

**და კიდევ:**

ეცადეთ ხშირად იყოთ სუფთა ჰაერზე. ეს ორგანიზმს ჟანგბადით ამდიდრებს და აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, ანუ ტოქსინები სწრაფად გამოდის ორგანიზმიდან.

დაკავდით ფიზიკური ვარჯიშებით, სპორტით. იდეალურია ცურვა.

თუ უკუჩვენება არ გაქვთ, აუცილებლად იარეთ აბანოში, ან საუნაში. მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით კანის ფორები იხსნება და, ოფლთან ერთად, ორგანიზმიდან ტოქსინები გამოდის.

### ადამიანის ბიორიტმები

ადამიანები ერთმანეთისგან აქტიურობითაც განსხვავდებიან. ზოგისგან უშრეტი ენერგია მოდის, ზოგი კი, მთლად უსიცოცხლოდ გამოიყურება. ყველაფერს თავისი მიზეზიც აქვს და ახსნაც, მათ შორის, ასეთ მდგომარეობასაც.

კონკრეტულად, არსი ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ ბიორიტმებშია.

ბიორიტმები ადამიანის ჯანმრთელობაზე, ძალაზე, რეაქციაზე, ნივთიერებათა ცვლაზე, შრომისუნარიანობაზე, ემოციურობაზე, ლოგიკურ და აბსტრაქტულ აზროვნებაზე უდიდეს გავლენას ახდენს. ბიორიტმები არის ჩვენს ორგანიზმში გარკვეული პროცესების მიმდინარეობის ციკლურობა. მასზე შეიძლება, ზეგავლენა მოახდინოს როგორც ბუნებრივმა, ასევე, სოციალური და ფსიქოლოგიური ხასიათის მოვლენებმა.

მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ინდივიდუალური ბიორიტმი შეიძლება, თქვენს საქმიანობაზე გადააწყოთ, მაინც არ ღირს ადამიანის სადღეღამისო ბიორიტმის დაცვის უარყოფა. ბუნებრივი ბიო-საათების დარღვევამ შეიძლება, ადამიანი სხვადასხვა დაავადებებამდე მიიყვანოს. თავისი ორგანიზმის ბიორიტმების უცოდინარობის გამო, ადამიანი მაშინ იკვებება, როცა ორგანიზმი სერიოზულად უნდა ისვენებდეს და იწმინდებოდეს, ან პირიქით, ადამიანს მაშინ სძინავს, როცა ორგანოები აქტიურად მუშაობს.

მაშ, როგორ ვიცხოვროთ ჰარმონიულად ჩვენს ბუნებრივ ბიორიტმებთან ერთად?

• დილის 5-6 საათი: სხეულის ტემპერატურა მატულობს, იწყება იმ ჰორმონების გამოყოფა, რომლებიც აქტიურობაზეა პასუხისმგებელი. სუნთქვა უფრო ღრმა ხდება, წნევა კი მაღლდება. ორგანოები აქტიურ მუშაობას იწყებენ. ორგანიზმის ყველა ფუნქცია ტონუსშია და ეს მოწოდებაა გამოფხიზლებისკენ!

• დილის 6-7 საათი: კუჭი მაქსიმალურად აქტიურია — საუზმის დროა. სწორედ ამ დროს მიღებული საკვების ყველა კომპონენტი ნაწილდება სათანადოდ და არ ტოვებს არანაირ „მარაგს“ ნადების სახით, რაც ჭარბი წონის მიზეზი ხდება.

• დილის 8-9 საათი: ყველაზე კარგი დროა მარტივი საქმიანობისთვის, მაგალითად, როგორიცაა სახლის მსუბუქი დალაგება, ბაღში იოლი საქმეების შესრულება და ა.შ. ამ დროს აქტიურობის მცირე დაცემა შეინიშნება.

• დილის 9-10 საათი: იმუნიტეტის გაუმჯობესების დროა. შეიძლება, მიიღოთ იმუნიტეტის გამაძლიერებელი სხვადასხვა საკვები დანამატები, ან ვიტამინები. ორგანიზმი უმაღლეს დონეზე მუშაობს, ამიტომ მშვიდად შეგიძლიათ შეუდგეთ აქტიურ გონებრივ, ან ფიზიკურ საქმეს.

• 12 საათი: ერთი ჭიქა ჩაი უნდა დალიოთ, ორგანიზმში გლუკოზა დაქვეითებას იწყებს და საქმისგან ცოტა უნდა დაისვენოთ.

• 13 საათი: სადილის დროა. კუჭი სრული სიმძლავრით მუშაობს და ძალიან ბევრ კუჭის წვენს გამოყოფს.

• 14 საათი: ზედგამოჭრილი დროა ადამიანის აქტიური საქმიანობისთვის. ნებისმიერი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა გადასატანია. მიმდინარეობს აქტიური ცვლის პროცესები, ორგანიზმის გაწმენდა, მაღლდება ორგანიზმში ყველა სისტემის შრომისუნარიანობა.

• 15 საათი: შრომისუნარიანობა სტაბილურია, საუკეთესო დროა გონებრივი დატვირთვისთვის.

• 16-17 საათი: სისხლის ცირკულაციის პიკია. ფიზიკური დატვირთვის ყველაზე კარგი დროა.

• 18 საათი: ვახშმის დროა. ეს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების წარმოქმნის ბოლო საათია.

• 19 საათი: მაღლდება არტერიული წნევა, ადამიანები ცოტა გაღიზიანებული ხდებიან, შესაძლებელია თავის ტკივილი, მაგრამ მსუბუქი ფიზიკური დატვირთვა ცუდი არ იქნება.

• 20 საათი: მშვენიერი დროა ინტელექტუალური საქმიანობისთვის. გონებრივი სახის ნებისმიერ ამოცანას იოლად გადაჭრით.

• 21 საათი: სხეულის ტემპერატურა ქვეითდება, მთელი ორგანიზმი ძილისთვის ემზადება.

• 23 საათი: ძილის დროა!

• შუაღამე: მიმდინარეობს მთელი ორგანიზმის აღდგენა და განახლება.

• ღამის 2-4 საათი: მაქსიმალურად დაქვეითებულია ყველა რეაქცია. ამ დროს მუშაობს მხოლოდ ღვიძლი და ორგანიზმს წმენდს.

• ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დილის 6 საათამდე ადგეთ! ამ დროს ხომ ყველაზე მთავარი ენერგეტიკული პროცესები იწყება!

ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი ბიორიტმების მიხედვით თუ იცხოვრებთ, თავს ბევრად უკეთ იგრძნობთ. ტყუილად ხომ არ ჩადო ბუნებამ ჩვენში ეს შინაგანი ბიოლოგიური რიტმები?!

**მოამზადა ციცინო მჭედლიშვილმა.**

## ერთში ათი

სომეხიც ხარ, ინგლისელიც,
რუსიც ხარ და გერმანელიც,
უნგრეთში კი შენს ჩამოსვლას,
როგორც უნგრელს, ყველა ელის.
შენ ხარ უკრაინელი და
ნაღდი იტალიელი,
ამერიკამ დაგახვედრა
ვარდისფერი იელი.
ნაღდი ჰოლანდიელი ხარ,
პოლონელიც შენა ხარ,
ერთ კაცს ათი კაცის ნიჭი
რა ოხრობამ შეგასხა?
შენი ლოცვისას
ჩაქრა სანთელი,
მადლობა ღმერთს, რომ
არ ხარ ქართველი,
ერთი კაცი იშვი ათად,
რაიც დგება
იშვიათად.

## ედუ და „ნაცები“

ვიხსენებ და
გულზე მომდის
იმ წარსულის განცდა,
მე არავის ვუძვრებოდი,
ვძმობდი
კაცურ კაცთან!
„ნაცებო“, თქვენ
უყვარხართ მტრებს,
აი, ჩემი დარდი,
იმ კაცურკაცს
უღალატეთ
შავი ფერის ვარდით.
ყველაფერი ქართულია,
რაიც მოვა სისხლით,
მოღალატე
განთქმულია
„ნაცი-ონანიზმით“.

## ამერიკის სურვილი

შენ მეორედ
გვარს ვერ გამოიცვლი,
უკრაინას
ხოში ჰქონდეს თუნდაც,
შენ ვინცა ხარ,
უკრაინამ იცის,
მაგრამ ასე
ამერიკას უნდა.

## მადრიდი

ვაი, მიმზერდი ნაგვიდან,
ვიცი, რომ შენს მტრებს მადრიდი,
ბიჭო, კიევში რა გინდა,
კიევს სჯობია მადრიდი.





ზურა მეგრელიშვილის ფოტო




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024
9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით